

173 / 990 / 2

ISSN 0132-5981

გეორგიული
იურიდიკა

საქართველოს იურიისტთა კავშირი

7

სახელმწიფო და სამართალი

63 / 3
178

190

ნომერი

რესპუბლიკის სუვერენიტეტის გარანტიები

□

გაფიცვა

□

პარლამენტარიზმის ისტორიიდან საქართველოში

□

თინათინ წარეთელი — მეცნიერი და მოქალაქე

□

ოფიციალური მასალა

6

SOCIETAS IURISTARUM GEORGIAE
CIVITAS AC IUS
EPHEMERIS SCIENTIFICO-ACTIVA

სარედაქციო სავაჭო:

ვახტანგ აბაშვიდი, ლევან ალექსიძე, ანდრო გაბიაძე, ოთარ გონაძე,
შოთა გორგოძე, გივი ინჟირველი, აკაკი კარანაძე, ოთარ კაციბაძე,
თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ლორია, დურმიუხან ლორია,
გიორგი ნადარეიშვილი, ნოდარ ნიკიერიძე, ვახტანგ რაჭმაძე, ჯურაბ-რატიაძე,
ზრიგოლ როინიშვილი, გიორგი ტყეშელაძე, მინდია უბრაყელიძე,
აკოლონ ფალიაშვილი, იაკობ ფუტყაძე, რევაზ ყიფიანი, თამაზ შავჭავჭავაძე,
ვიქტორ შარაშიანი, ალექსანდრე უშუანაშვილი, რამეზ ჩალაუში,
ირაკლი ჩიქოვანი, სერგო ჯორჯანიძე.

მთავარი რედაქტორი
თევდოზ ნინია

სარედაქციო კოლეგია:

ანზი არსენაშვილი (მეცნიერ-რედაქტორი), ბელა ბერძენიშვილი (პახუხიზმგებელი
მდივანი), ოთარ გამყრელიძე, როლანდ გილიგაშვილი, ავთანდილ დემეტრაშვილი,
ვალერიან ედიშერაშვილი, მიხეილ კეკელია, მზია ლეკვიშვილი,
ალექსი პაპუაშვილი, თეიმურაზ სიღამონია, ალექსანდრე ტალიაშვილი,
ჯონი ხიტუკიანი, რუსუდან უბელიძე, ჯონი ჯალალანია.

სახელმწიფო და სამართალი

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

1 იანვარი
1990

გამოდის 1926 წლიდან

სამიუბელო

საზიხვანო

ჟურნალი — ჩვენი საფიქრალი 3

ეროვნული სუვერენიტეტისათვის

ვალერი ლორია — რესპუბლიკის სუვერენიტეტის დაცვის სამართლებრივი გარანტიები 11

კანონმდებლობის სრულყოფისათვის

სერგო ჯორბენაძე — გაფიცვა (პირველი საბჭოთა კანონი გაფიცვის შესახებ) 19

ოთარ გამყრელიძე — „საქართველოს სსრ წითელი წიგნის“ სრულყოფისათვის 31

ოფიციალური მასალა 37

პირველი ნაბიჯები მეცნიერებაში

დავით მუმლაძე — დანაშაულობის ბიუჯეტი წარსულის მანეთი გადმონაშთების კონცეფციაში 49

პერსონალიზმი

გიორგი ტყეშელაძე — თინათინ წერეთელი 56

პარლამენტარიზმის ისტორიიდან საქართველოში

პაატა სურგულაძე — საქართველოს დამფუძნებელი კრება 62

საქართველოს დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიული ჩანაწერები 63

ბიბლიოგრაფია 78

УКАЗАТЕЛЬ

Уголок для беседы

Журнал — предмет нашей заботы 3

К национальному суверенитету

Валери Лория — Правовые гарантии защиты суверенитета республики . 11

Для совершенствования законодательства

Серго Джорбенадзе — Забастовка. (Первый советский закон о забастовке 19

Отар Гамк्रेлидзе — К совершенствованию «Красной книги Грузинской
ССР» 31

Официальный материал 37

Первые шаги в науке

Давид Мумладзе — Причины преступности в концепции вредных пережит-
ков прошлого 49

Персоналии

Георгий Ткешеладзе — Тинатин Церетели 56

Из истории парламентаризма в Грузии

Паата Сургуладзе — Учредительное собрание Грузии 62

Стенографический отчет 63

Библиография 78



© „სახელმწიფო და სამართალი“, 1990 წ.

გადაეცა წარმოებას 20.12.89 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.01.90 წ.
ფორმატი 70X108¹/₁₆, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი
ფურცელი 7. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,5.
შეკვ. № 2799 ტირაჟი 27.000 უე 07005

შურსალი - ჩვენი საოქრალი

სამართლებრივი სახელმწიფოს აღმშენებლობის პროგრამამ, რომელიც ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების გარდაქმნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა, იურიდიული პრესის წინაშე თვისებრივად ახალი ამოცანები დააყენა. საჯაროობის გარეშე წარმოუდგენელია ადამიანის უფლებების აღიარება და დაცვა, კანონების უზენაესობის დამკვიდრება, ახალი პოლიტიკური აზრდენების შესატყვისი სამართლებრივი შეგნების ჩამოყალიბება. სამართლებრივი სახელმწიფოს ამ უმთავრესი საყრდენების დაფუძნებისა და გაძაგრების მისია სხვა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან ერთად იურიდიულ პრესასაც აკისრია.

58561

სამართლებრივი სახელმწიფოს აღმშენებლობა ახლებურ იურიდიულ აზროვნებას ითხოვს. სამართალმცოდნეობაში, ისე როგორც ჰუმანიტარული აზროვნების ყველა სფეროში, მოწმენი ვართ ღირებულებათა გადაფასების მასშტაბური პროცესებისა. უკუგდებულა ავტორიტარული რეჟიმისათვის დამახასიათებელი სამართალგაგება, რომელიც აიგივებდა სამართალსა და მმართველი აპარატის ნებას. სამართალი ახლა მოიაზრება, როგორც რთული სოციალური, მრავალწახნაგოვანი მოვლენა, რომელიც სახელმწიფოს მიერ დაკანონებულ ნორმებთან ერთად მოიცავს ობიექტური სოციალური ურთიერთობების საფუძველზე წარმოშობილ უშუალო საზოგადოებრივ მოთხოვნებს და მართლშეგნებას. ახლებური სამართალგაგება გამოხატულებას პოულობს თანამედროვე სამართალშემოქმედებაში. იურიდიული პრესა მოვალეა პირუთვნელად ასახოს ის წინააღმდეგობრივი, ცხოვრებისეული პროცესები, რომლებიც განაპირობებენ ამა თუ იმ ნორმის მიღების აუცილებლობას.

წარსულის მწარე გამოცდილებამ დაგვარწმუნა რომ, როცა კანონების უზენაესობა იცვლება უწყებრივი ნორმების დიქტატით, საზოგადოებრივი ინტერესი ადგილს უთმობს უწყებრივ ინტერესს, იზღუდება მოქალაქეთა უფლებები, მართლმსაჯულებაში ფებს იკიდებს გადახრა ბრალდებისაკენ, სასამართლო განმსჯელი საკრებულოდან იქცევა დამსჯელ ორგანოდ, ადამიანებს ეუფლებათ სამართლებრივი ნიპილიზმის სენი, დემოკრატია ადგილს უთმობს ავტორიტარულ რეჟიმს. ამ სავალალო შედეგების თავიდან აცილება მხოლოდ საჯაროობით შეიძლება, როცა პრესას შესაძლებლობა ეძლევა მიუიერძობ-

ბაქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა



ლად ასახოს როგორც სამართალშემოქმედების, ისე სამართალშეფარდების პრაქტიკის ღირსება-ნაკლოვანებანი.

მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებელი სრულიად საფუძვლიანად მოითხოვდა კანონიერების ერთნაირ გაგებასა და განუზრეველ გატარებას საბჭოთა რუსეთის ყველა რეგიონში. მაგრამ ქართველ ბოლშევიკებს ურჩევდა სოციალიზმის მშენებლობის გზაზე მორიდებოდნენ რუსულ შაბლონს. ეს შეგონება დემოკრატიზაციისა და პლურალიზმის პირობებში ფუძემდებლურ მნიშვნელობას იძენს. სამართალი, როგორც უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ ურთიერთობათა მომწესრიგებელი ფენომენი, ფედერაციის პირობებში ამ დებულებას უნდა ემყარებოდეს, ასახავდეს ერის, როგორც თვითყოფადი სოციალური ორგანიზმის სასიცოცხლო ინტერესებს. ქართული იურიდიული ჟურნალის ვალია თანამედროვე ინტენსიური სამართალშემოქმედების პროცესში, როცა მზადდება ახალი კონსტიტუციური და დარგობრივი კანონმდებლობა. წარმოაჩინოს ეროვნული ცხოვრების სწორედ სპეციფიური სფეროები და გზა გაუხსნას ეროვნულ სამართალშემოქმედებას.

საქართველოში, ისე როგორც მთელს საბჭოეთში, ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესი ორგანულად დაუკავშირდა ეროვნულ-დემოკრატიულ მოძრაობას. ეროვნული სახელმწიფოებრიობა, რომელიც თეორიულად, ფედერაციის მოწყობის პოლიტიკური საფუძველი იყო, ითხოვს რეალური შინაარსით შევსებას ანუ ქმედით პოლიტიკურ და იურიდიულ გარანტიებს. მოკავშირე რესპუბლიკის რეალური სუვერენიტეტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი და გარანტია მისი საკანონმდებლო გამგებლობის დამოუკიდებელი სფეროა. ცენტრისა და მოკავშირე რესპუბლიკის გამგებლობის სფეროების გაშიჯნა საბოლოო გამოხატულებას სწორედ მათ საკანონმდებლო კომპეტენციებში პოულობს.

რესპუბლიკის სამართალშემოქმედება უნდა წარმოადგენდეს დემოკრატიული მოძრაობის ყოველი ჯანსაღი სოციალური მოთხოვნის იურიდიული ფორმების ძიებას. ეს ქართული იურიდიული ჟურნალის, ჩვენი სწავლული და პრაქტიკოსი სამართალმცოდნეების მოქალაქეობრივი, მამულიშვილური მოვალეობაა.



ჩვენი ჟურნალის ცხოვრებაში გასულ წელს არაერთი საგულისხმო მოვლენა მოხდა. შეიცვალა ჟურნალის პერიოდულობა, შეიცვალა მისი ორგანიზაციული ქვემდებარეობა. ამჟამად იგი საქართველოს იურისტთა კავშირის ყოველთვიური მეცნიერულ-პრაქტიკული ჟურნალია. აღნიშნულმა სიახლეებმა გავლენა უნდა მოახდინოს მის დანიშნულებასა და პროფილზე. ჟურნალის სამომავლო პრობლემატიკამ ასახვა უკვე პოვა მის ახალ სახელწოდებაშიც.

ჟურნალის სახესა და ღირსებას მართოდენ მისი სარედაქციო კოლეგია ან რედაქტორი როდი განსაზღვრავს; მითუმეტეს, როცა მას საქართველოს იურისტთა კავშირის ორგანო ჰქვია. ყოველი ნომერი კოლექტიური აზროვნების ნაყოფია და ჟურნალის ბედზე ფიქრი ყველას ვალია, ვისთვისაც ძვირფასია ეროვნული იურიდიული კულტურა.

წლის პირველი ნომრის მოწინავე თემა ჩვენი ჟურნალის ამოცანები და საჭირობოროტო პრობლემები გახლავთ. ჟურნალის ახალი ხელმძღვანელობის მოსვლის დღეებშივე სარედაქციო კოლეგიის წევრებისა და ავტორების ერ-

თი ჯგუფი საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის „ბჭოების დარბაზში“ შეიკრიბა. გადაწყვეტიტ მათი საუბარი მკითხველისათვის მიგვეწოდებინა. რედაქტორისა და რედაქციის მუშაკების გარდა საუბარში მონაწილეობენ საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ვიქტორ შარაშენიძე, საქართველოს სსრ მთავარი სახელმწიფო არბიტრი ალექსანდრე კავსაძე, საქართველოს სსრ იურისტთა კავშირის თავმჯდომარე ზურაბ რატიანი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე გრიგოლ დევედარიანი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის დირექტორის მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ჯონი ხეცურიანი, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კავკასიის განყოფილების უფროსი, საქართველოს კპ ცკ-თან არსებული საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი საბჭოს ხელმძღვანელის მოადგილე, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ანზორ გაბიანი, ცენტრის სამოქალაქო სამართლის განყოფილების გამგე, პროფესორი თენგიზ ლილუაშვილი, ცენტრის სისხლის სამართლის სექტორის გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ოთარ გამყრელიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის კათედრის გამგე, პროფესორი გიორგი ტყეშელიაძე, იურიდიული ფაკულტეტის დოცენტი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ლადო ჭანტურია, საქართველოს სსრ პროკურატურის სტატისტიკის განყოფილების გამგე კოკი ნარმანია.

* * *

ანზორ გაბიანი: „საბჭოთა სამართალი“ რესპუბლიკის ერთადერთი იურიდიული ჟურნალია. იგი ერთნიარად საჭიროა როგორც მეცნიერებისათვის, ასევე პრაქტიკოსი მუშაკებისა და სამართლის საკითხებით დაინტერესებული ფართო მკითხველისათვის. ჟურნალში უნდა მოხდეს მეცნიერებისა და პრაქტიკის ერთგვარი სინთეზი. ჟურნალმა უნდა დაიკავოს პრინციპული და მებრძოლი პოზიცია იმ საკითხებზე, რაც საზოგადოებას ადევნებს. დღევანდელ პირობებში, ჟურნალმა უნდა გამოაქვეყნოს ისეთი მასალები, რომლებიც საჭიროა ელემენტარული იურიდიული ცოდნის მისაღებად. ხშირად ერთგვული მოძრაობის ზოგიერთი მესვეური იურიდიული განათლების უმარისობის გამო ჩიხში ექცევა, ზოგიერთი კი შორს დგას პოლიტიკური და იურიდიული რეალობისაგან. შარტო ემოციებზე დაყრდნობა კი არაფერს მოგვცანს.

საჭიროა ჟურნალში იმეჯდებოდეს ყველაფერი, რაც ქართველ იურისტს გამოადგება. მაგრამ რადგან ჟურნალს, მოკულობის თვალსაზრისით, ამის შესაძლებლობა არ გააჩნია, კარგი იქნებოდა ერთი-ორი თემატური დამატების გამოცემა.

ჟურნალში ფართო ადგილი უნდა დაეთმოს სოციოლოგიას. კერძოდ; საჭიროა გამოვიკ-



ანზორ გაბიანი: „ჟურნალში ფართო ადგილი უნდა დაეთმოს სოციოლოგიას“.

ვლით მოსახლეობის მართლშეგნების დონე. ამისათვის უნდა შეიქმნას კითხვარები. ჯერჯერობით ასეთი რამ არ გაკეთებულა. ვფიქრობ, ეს სასარგებლო იქნება როგორც იურისტების, ისე ფართო მკითხველისათვის.

თედო ნინიძე: ბატონო ანზორ, კარგი იქნება, თუ პერიოდულად მოგვაწვდით თქვენი ლაბორატორიის სოციოლოგიური გამოკვლევების შედეგებს. რედაქციას გამიზნული აქვს, თქვენი და სამართლის კვლევის ცენტრის დახმარებით, შემოიღოს რუბრიკა — „საქართველოს ზნეობრივი სტატისტიკა“. საბჭოთა კავ-

შირში ასეთი სტატისტიკა ოციანი წლების შემდეგ არ გაკეთებულა. ქვეყნდებოდა მრავალი, სწორი თუ არასწორი სტატისტიკური ცნობა, მაგრამ ციფრების ენაზე არავინ იცის ქვეყნის თუ ერის ზნეობრივი სახე. უპირველესად, ალბათ დასაზუსტებელია სტატისტიკისათვის საჭირო მონაცემები. ზნეობრივი სტატისტიკის ჩვენული კონცეფცია; რა აუცილებელ ელემენტებს უნდა მოიცავდეს იგი. ალბათ, გახსოვთ დავა, ითვლება თუ არა თვითკვლელობის ოდენობა ზნეობრივი სტატისტიკისათვის აუცილებელ მონაცემად. ეს და სხვა დებულებები ამჟამად დასაზუსტებელია. შესაძლებელია თუ არა ასეთი სტატისტიკის შექმნა დღეს?

ასეთი სტატისტიკის შექმნა აუცილებელიცაა. ჩემი გამოცდილებით, ყველაზე უტყუარი სტატისტიკა იუსტიციის სამინისტროს აქვს. მაგრამ ეს არ იქნება საკმარისი მორალური სტატისტიკის შესაქმნელად. მორალური სტატისტიკის შექმნა შესაძლებელი გახდება მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ თუ საამისო მუშაობას დღესვე შეუდგებით.

ალექსანდრე კავხაძე: ჟურნალს უაღრესად საჭირო საქმეების გაკეთება შეუძლია, როგორც პრაქტიკული, ისე პრობაგანდისტული და სამართალშემოქმედებითი თვალსაზრისითაც. დღეს ძალზე მწვავედ იგრძნობა სამართლებრივი კოდნის დეფიციტი. დაბალია მოსახლეობის მართლშეგნების დონე, კადრების იურიდიული კვალიფიკაცია, მაშინ, როცა საქართველო ისტორიულად მაღალი მართლშეგნების ქვეყანაა. საჭიროა ამ მდიდარი ტრადიციების გამომწეურება და პოპულარიზაცია, რათა ჩვენმა ახალგაზრდობამ გაიგოს, რა იურიდიული კულტურის ქვეყანა ვიყავით და რისი პატრონები ვართ. საუკუნის დამდეგს საქართველოს უდიდესი იურისტები ჰყავდა-

მათი განცობა აუცილებლად მიმაჩნია ფართო საზოგადოებისათვის.

რაც შეეხება დღევანდლობას, ჟურნალმა ფართო პრობაგანდა უნდა გაუწიოს სამართალშემოქმედებას, ახალ კანონპროექტებს. მათი მომზადების სტადიაზე იურისტებმა და ეკონომისტებმა ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე უნდა შეიმუშაონ ისეთი კანონპროექტები, რომლებიც თავიდანვე „მკვდრად-შობილი“ არ იქნებიან, როგორც დღეისათვის „საწარმოს შესახებ“ კანონია. ჟურნალმა დიდი ადგილი უნდა დაუთმოს სამეურნეო დარგის გამოცდილ მუშაკებს. სამეურნეო სამართალი როული, ამოუწურავი დარგია და ხშირად ამ სფეროში დასაქმებული არიან ახალბედა იურისტები, რომლებსაც კვალიფიციური დახმარება ესაჭიროებათ. ჟურნალმა ასევე დიდი ყურადღება უნდა დაუთმოს ახალგაზრდა სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებს. ხშირად ახალგაზრდა სპეციალისტების მიერ შედგენილი იურიდიული დოკუმენტები თავნთი კურიოზულობით უხერხულ მდგომარეობაში გვაყენებს. ამაზე მეტყველებს წარმოებაში დაბრუნებულ საქმეთა ოდენობაც.

გიორგი ტყეშელაძე: ხშირია საყვედურები — იურისტები თანამედროვე ეროვნულ მოძრაობაში ნაკლებად ჩანანო. მიმაჩნია, რომ ეს არასწორი შეფასებაა. იურისტების ერთი ნაწილი მართლაც პასიურობას იჩენს, მაგრამ ნაწილი აქტიურ მოქალაქეობრივ, ეროვნულ პოზიციებზე დგას. ვფიქრობ, სამართალმცოდნეთა მიმართ შექმნილი აზრი ნაწილობრივ ჟურნალისტების ბრალიცაა. ამის მაგალითია იურისტთა კავშირის ახლახან ჩატარებული



ალექსანდრე კავხაძე: „ჟურნალმა ფართო პრობაგანდა უნდა გაუწიოს სამართალშემოქმედებას, ახალ კანონპროექტებს მათი მომზადების სტადიაზე“.



გიორგი ტყეშელაძე: „ჟურნალს უნდა დაერქვას „სახელმწიფო და სამართალი““.

პლენუმი, რომლის შესახებაც არაფერი იცის ფართო საზოგადოებამ, თუ არ ჩავთვლით გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ ძალზე სიტყვაძიწუ ინფორმაციას.

უნდა შეიცვალოს საზოგადოების დამოკიდებულება სამართალმცოდნეთა მიმართ. აქ

შეფასება ცალმხრივი არ შეიძლება იყოს. საზოგადოებამ უნდა დაინახოს კოლოსალური შრომა, რაც პრაქტიკოსი მუშაკების მხრებზე გადადის. ვფიქრობ, საჭიროა ყურნაში სათანადო ადგილი დაეთმოს მათი საქმიანობის წარმოჩენას.

მინდა ჩემი მოსაზრება შემოგთავაზოთ ყურნალის სახელწოდებაზე, მიმაჩნია, რომ ყურნალს უნდა დაერქვას „სახელმწიფო და სამართალი“. თვით ეს სახელწოდება საშუალებას მოგვცემდა თემატიკის გამრავალფეროვნებისათვის. კარგი იქნება, თუ ხშირად მოეწყობა ავტორთა შეხვედრები სხვადასხვა თემაზე. აქვე შემიძლია შემოგთავაზოთ ზოგიერთი მათგანი: „ეკოლოგია და სამართალი“, „დემოგრაფია და სამართალი“, „ფსიქიატრია და სამართალი“ და სხვა.

კიდევ ერთი, ჩვენი პუბლიცისტები აქვეყნებენ საქართველოს 20-30-იანი წლების ისტორიას, ალბათ მართებული იქნება გამოქვეყნდეს ამ პერიოდის იურიდიული დოკუმენტებიც.

ღროა უარე ვთქვათ ისეთ რეცენზიებზე, სადაც ავტორების მხოლოდ ქება-დიდებაა და ნაშრომებს მიეცეს ის შეფასება, რასაც სინამდვილეში იმსახურებენ. რეცენზია უნდა იყოს ობიექტური, სადაც ლაპარაკი იქნება ნაკლებად და დადებით მხარებზე.

ვიქტორ შარაშენიძე: ყურნალთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტა თითოეული ჩვენთაგანის მოვალეობაა. როგორც იქნა მივალწიერ ყურნალის ყოველთვიურობას, იმედი გვაქვს გამოვა დამატებებიც. ყველაფერ ამას გაუერთხილება სჭირდება. ყურნალი უნდა შეიცვალოს გარეგნულად და შინაარსობრივადაც. ის აქტიურად უნდა ეხმარებოდეს ყველა იურიდიულ პრობლემას, რაც საზოგადოებას ადევლებს. სასურველია ხშირად იბეჭდებოდეს მასალები, თუ როგორ ეპყრობა სამართალდამცავი ორგანოების ზოგი-

ერთი მუშაკი ჩვენს სახელმწიფო ენას. ამ მხრივ მეტად საეალალო მდგომარეობა გვაქვს და იმედია, ყურნალი აქ დადებით გავლენას იქონიებს. აუცილებლად მიგვაჩნია, აგრეთვე, იბეჭდებოდეს სასამართლო ეთიკის საკითხები.

ყურნალის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის მიზანშეწონილად მიმაჩნია სარედაქციო საბჭოს შექმნა, რომელიც სათანადო ორგანო იქნება. ამასთანავე ის დაეხმარება რედაქციას ავტორებთან ურთიერთობაში. ასევე აუცილებლად მიმაჩნია, ფართოდ გაშუქდეს ქართული სახელმწიფოებრიობისა და სამართლის უახლესი ისტორიის საკითხები. უნდა დამკვიდრდეს ახალი რუბრიკა — „ქართული სამართლის უახლესი ისტორია“.

ყურნალმა დიდი ყურადღება უნდა დაუთმოს საოჯახო და საქორწინო სამართლის საკითხებს, სოციოლოგიურ გამოკვლევებს, დემოგრაფიულ პრობლემებს; ხელი უნდა შეუწყოს იურისტთა ავტორიტეტის ამაღლებას.

ჯონი ხეცურიანი: ყურნალი უნდა დაინტერესდეს საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის საკითხებით. ჩვენს პრაქტიკაში მიზანშეწონილია დაინერგოს ზოგიერთი ისეთი იურიდიული ინსტიტუტი, რომელიც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში საქმარხანია აპრობირებულია და მათი პროგრესული



ჯონი ხეცურიანი: „ყურნალი უნდა დაინტერესდეს საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის საკითხებით“.

ხასიათი საეკვო აღარ არის. ასევე უნდა გამოქვეყნდეს უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, რადგან საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმების ცოდნა დღეს ფართო საზოგადოებისათვის აუცილებელია.

ახლა ბევრს ლაპარაკობენ რეფერენდუმის შესახებ. ამ ინსტიტუტს ორსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ჩვენს კონსტიტუციაშიც გვაქვს ნორმა რეფერენდუმის შესახებ, მაგრამ იგი არასდროს განხორციელებულა. საჭიროა გავითვალისწინოთ საზღვარგარეთის ქვეყნების



ვიქტორ შარაშენიძე: „სასურველია ხშირად იბეჭდებოდეს მასალები, თუ როგორ ეპყრობა სამართალდამცავი ორგანოების ზოგიერთი მუშაკი სახელმწიფო ენას“.

გამოცდილება რეფერენდუმის მოწყობის შესახებ.

ჟურნალმა უნდა იკისროს მოსახლეობაში სამართლებრივი ცოდნის გავრცელების ფუნქცია. განსახილველი კანონი ჭერ უნდა ქვეყნდებოდეს პროექტის სახით, განმარტებებით, ხოლო როცა კანონის სახეს მიიღებს, უნდა გამოქვეყნდეს კანონი სათანადო კომენტარებით.

თენგიზ ლილუაშვილი: აქ ლაპარაკი იყო სოციოლოგიური კვლევის მასალების გამოქვეყნებაზე. მიმაჩნია, რომ ეს ბევრს არაფერს მოგვცემს. სოციოლოგია ჰირდებთ იქ, სადაც საზოგადოება ნაკლის აღმოსაფხვრელად ყველაფერს აკეთებს, მაგრამ რალაც მიზეზების გამო ნაკლი მაინც რჩება. ჩვენთან ბევრი არაფერი გაკეთებულა და ამდენად, სოციოლოგიური კვლევის მასალების გამოქვეყნება ამ ეტაპზე, ვფიქრობ, უაზრობაა.

აქ იყო წინადადება მოსახლეობის მართლშეგნების დონის გამოკვლევის შესახებ. რა საჭიროა ამის გაკეთება, როცა თითოეულმა ჩვენთაგანმა და ყველამ იცის რეალური სურათი. იგი მეტად დამაფიქრებელია.



თენგიზ ლილუაშვილი: „მოსახლეობამ პოპულარულ ენაზე მომზადებული პუბლიკაციებით უნდა გაიგოს თუ რა არის სამართლებრივი სახელმწიფო“.

მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო თვით ჟურნალისტთა მართლშეგნების დონეზეც. ხშირად ისინი ელემენტალურ იურიდიულ ნორმებში ვერ ერკვევიან, არასწორ შეფასებას აძლევენ ფაქტებს.

ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ სამართლებრივ სახელმწიფოზე, მაგრამ ეს მხოლოდ იურისტებისათვისაა გასაგები, მოსახლეობამ პოპულარულ ენაზე მომზადებული პუბლიკაციებით უნდა გაიგოს თუ რა არის სამართლებრივი სახელმწიფო.

ბევრს ლაპარაკობენ ასევე ადამიანის უფლებებზე, მაგრამ ყველამ იცის კი, რა არის ადამიანის უფლებები? ამ საკითხებს ჟურნალმა პოპულარიზაცია უნდა გაუწიოს, თუ

გვინდა, რომ ავამაღლოთ მოსახლეობის აზროვნების დონე.

ჟურნალში უნდა იყოს მუდმივი რუბრიკა, სადაც გაშუქდება მასალები საქართველოს კონსტიტუციასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ვთქვათ, რა არის სუვერენული უფლებები, და ამ უფლებებიდან რომელი შეიძლება გადავცეთ ფედერაციას.

გრიგოლ დევდარიანი: მოსამართლეები დიდ სამუშაოს ატარებენ. წერენ უამრავ განაჩენს, განჩინებას, გადაწყვეტილებას თუ სხვა დოკუმენტებს. ამ დატვირთვას იმდენი დრო მიაქვს, რომ ისინი ფაქტობრივად კარგავენ თავიანთ პირად ცხოვრებას. ჟურნალმა მკითხველს უნდა გააცნოს მოსამართლეთა საქმიანობა და წარმოაჩინოს ისინი, როგორც პაიროვნებები. ჟურნალმა და ყველამ, ვისაც ეს ევალება, ყოველნაირად უნდა შეუწყოს ხელი მოსამართლის ავტორიტეტის ამაღლებას.



გრიგოლ დევდარიანი: „ჟურნალმა მკითხველს უნდა გააცნოს მოსამართლეთა საქმიანობა და წარმოაჩინოს ისინი, როგორც პაიროვნებები“.

გადასახედა კადრების მომზადების საკითხი იურიდიულ ფაქულტეტზე. ახალ კურსდამთავრებულებს ძალიან უჭირთ იურიდიული დოკუმენტების შედგენა გამართული ქართული ენით. აუცილებელია იურიდიულ ფაქულტეტზე ისწავლებოდეს ისეთი საგნები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ამ ხარვეზის გამოსწორებას, კერძოდ, ლიტერატურის ისტორია, ქართული ენა, სასამართლო ეთიკა და სხვა.

იკო ნარმაია: ჟურნალის მთავარ ამოცანად მიმაჩნია, რესპუბლიკაში დამნაშავეობის აღმოფხვრისათვის აქტიური ბრძოლა. მიზანშეწონილია შემოვიღოთ რუბრიკა „მართლწივის სტატისტიკა“. ეს იქნება სტატისტიკა მცირე კომენტარით, რომელიც მოგვცემს დამნაშავეობის ნამდვილ სურათს. უნდა გავაკეთოთ დამნაშავეობის მიჩქმალვის სტატისტიკაც და საზოგადოებას დავანახოთ ის თანამდებობის პირები, რომლებიც თავიანთი პირადი ინტერე-

სუბის გამო ხელოვნურად ალამაზებენ დამნაშავეობის ფაქტობრივ ვითარებას.

სავალალო მდგომარეობა იქმნება სპეციალისტთა არაკომპეტენტურობის გამო. უამრავი საქმეა გაუხსნელი. ამ საკითხებზე სერიოზული დაფიქრება გემართებს.

ბატონმა გიორგი ტყეშელიძემ ბრძანა, იურისტებს გვსაყვედურობენ დღევანდელი ეროვნული პროცესებისაგან შორს დგომასო. ჩვენს ჟურნალში უნდა ჩავდოთ ეროვნული სული, უნდა ვაჩვენოთ, რომ შეიძლება იყო ადმინისტრაციული ორგანოების სამსახურში, მაგრამ ჩვენა ხარვეზიანი კანონების მიუხედავად, მაინც ეროვნული საქმე აკეთო.

ჩვენში სუსტია იურიდიული ჟურნალისტიკა.




ლადო ჭანტურია: „უნდა შემოვიღოთ ციკლი — „უცხოური კანონმდებლობის ანალიზი“.

ქართველი იურისტების საქმიანობა, რომლებმაც საქართველოს გარეთ მიიღეს იურიდიული კანათლება, ან საქართველოს გარეთ მოღვაწეობდნენ. მათი სახელები ფართოდაა ცნობილი, მაგრამ ჩვენთან მათ ნაკლებად ვიცნობთ.

ოთარ გამყრელიძე: ჩვენს ჟურნალს დღემდე ერთი დიდი ნაკლი აქვს — რატომღაც ის უინტერესოა ფართო ინტელიგენციისათვის. ჯელოფერი უნდა გავაყეთოთ იმისათვის, რომ ჟურნალით დაინტერესდნენ როგორც სპეციალისტები, ისე არასპეციალისტებიც.

კარგი იქნება გამოქვეყნდეს ანკეტები სამართლებრივ საკითხებზე. უნდა აღდგეს ტრადიციული რუბრიკა — „სასამართლო ქრონიკა“. უნდა იბეჭდებოდეს აღვოკატა სიტყვები, ბევრს უნდა ვწერდეთ მორალის საკითხებზე. დღეს ჩვენ ზშირად ვლაპარაკობთ ადამიანის უფლებებზე. მაგრამ სანამ კანონში გვაქვს სიკვდილით დასჯა, ამ უფლებებზე სათქმელი არაფერია. მიზანშეწონილია, რომ ჟურნალმა ამ საკითხებზე წამოიწყოს დისკუსია, უნდა დამკვიდრდეს მეცნიერული კრიტიკა. დროა, მეცნიერები განთავისუფლდნენ



კოკი ნარძანია: „მიზანშეწონილია შემოვიღოთ რუბრიკა „მართლწესრიგის სტატისტიკა“.

რადგან ჟურნალისტებს აკლიათ სამართლებრივი ცოდნა. სამართლებრივ თემებზე რომ წერო, აუცილებელია კარგად ერკვეოდე იურიდიულ ნორმებში. აუცილებლად მიმაჩნია, ამაღლდეს ჟურნალისტთა იურიდიული მომზადების დონე. ზშირად ჟურნალისტები უარყოფით შეფასებებს აძლევენ იურისტების საქმიანობას, რაც არცთუ იშვიათად, სწორედ კანონის უტოლინარობიდან მოდის. ჩვენი ჟურნალი უნდა შეეცადოს იურისტების სამართლიანი ინტერესების დაცვას.

ლადო ჭანტურია: ვთავაზობთ ჩემს მოსახრებას ჟურნალის სახელწოდებაზე, ვფიქრობ, ჟურნალს უნდა დაერქვას „სახელმწიფოსა და სამართლის ქართული ჟურნალი“ ან „ქართული სამართალი“.

რაც შეეხება ჟურნალის მოქმედების გაფართოების არეს, მე იგი ასე წარმომიდგენია: პრაქტიკაში მიღებულია ე. წ. „გვერდების გაცლა“. ამ პრაქტიკას შეიძლება მივმართოთ საზღვარგარეთულ ჟურნალებთან. ჟურნალში ფართოდ უნდა ჩავაბათ არაქართველი მეცნიერები და შემოვიღოთ ციკლი — „უცხოური კანონმდებლობის ანალიზი“.


საზოგადოებებს უნდა გავაცნოთ აგრეთვე იმ



ოთარ გამყრელიძე: „ჩვენს ჟურნალს დღემდე ერთი დიდი ნაკლი აქვს — რატომღაც ის უინტერესოა ფართო ინტელიგენციისათვის“.

პოლიტიკის ზემოქმედებისაგან. საქირთა. ჟურნალში ასევე შემოვიღოთ რუბრიკა — „კანონის უზენაესობა“, სადაც უნდა გავაკრიტიკოთ ის ქვეკანონიური აქტები, რომლებიც აშკარა შეუსაბამობაშია კანონთან.

ზურაბ რატიანი: აქ გამოთქმული შენიშვნების მიუხედავად, ჟურნალს საკმაოდ დადებითი ტრადიციები აქვს, ახლა საჭიროა ახალმა კოლექტივმა გამოიჩინოს სოციალური ალლო და დროის განცდა, ჟურნალმა დროულად უნდა უპასუხოს თანამედროვე პრობლემებს, რომლებიც საბოლოოდ, უმეტეს წილად, სწორედ იურიდიული პრობლემების სახეს იღებს.



ზურაბ რატიანი: „საქირთა ახალმა კოლექტივმა გამოიჩინოს სოციალური ალლო და დროის განცდა“.

საქართველოს იურისტთა კავშირს განზრახული აქვს შექმნას საქართველოში სამართლებრივი აღმშენებლობის სახელმწიფო პროგრამა. პროგრამის შედგენა უკვე დაიწყო სპეციალისტების ერთ ჯგუფს. პროგრამის პროექტი, ალბათ ჟურნალმა უნდა გამოაქვეყნოს და ფართო მსჯელობა გაშალოს მის დებულებებზე. დარწმუნებული ვარ, საზოგადოება მას ისეთივე ინტერესით მოეკიდება, როგორც სხვა სახელმწიფო პროგრამებს. ჩემი აზრით, დღეს საინტერესო მსჯელობა გაიმართა. ისდა დაგვრჩენია, წარმატება ვუსურვოთ რედაქციას და ჩვენს ავტორებს დასმული ამოცანების განხორციელებაში.

ლერი შოშიტაიშვილის ფოტო.

აირჩიეს იურიდიული ფაკულტეტის დეკანი

გაიმართა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა, თანამშრომელთა და სტუდენტთა გაფართოებული საბჭოს სხდომა, რომელმაც იურიდიული ფაკულტეტის დეკანად აირჩია ამავე ფაკულტეტის სამართლის თეორიისა და სახელმწიფო სამართლის კათედრის გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე გივი ზაქარაიას ძე ინჭკირველი.



მალაჩი ლორია

რესპუბლიკის სუვერენიტეტის დაცვის სამართლებრივი გარანტიები

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მეთერთმეტე მოწვევის მეთორმეტე სესიამ მეტად მწიფე მდგომარეობაში კანონები და დადგენილებები მიიღო რესპუბლიკის პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების ცალკეულ საკითხებზე. ისინი საქართველოს სსრ სუვერენულ ინტერესებს გამოხატავენ. ამასთან, ზოგიერთ ასპექტში საკავშირო ყრილობის მოთხოვნებისაგან განსხვავდებიან, თუმცა არავითარ შემთხვევაში არ ეწინააღმდეგებიან საბჭოთა ფედერაციის პრინციპებს და ფუძემდებლურ დებულებებს. უპირაწილია გაირკვეს აღნიშნულ სესიაზე მიღებული აქტების რეალობის საკითხები. მათი რეალიზაციის სამართლებრივი გარანტიები, რათა ისინი „მკვდრად შობილ“ აქტებად არ იქნენ მიჩნეული.

საკითხის ასე დაყენება გამოწვეულია იმით, რომ სსრ კავშირის შექმნის დემოკრატიული საწყისები, რომლებიც განმტკიცებულ იქნა სსრ კავშირის შექმნის შესახებ 1922 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულებაში და სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუციაში, შემდგომში ყოველგვარი საფუძვლის გარეშე შეიზღუდა და სსრ კავშირის 1936 და 1977 წლების კონსტიტუციებმა საბჭოთა კავშირი ფაქტობრივად უნიტარულ სახელმწიფოდ აქციეს, მოკავშირე რესპუბლიკებს წაართვეს პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის შესაძლებლობა. ეს იმ პოლიტიკური რუტინიზმის შედეგია, როდესაც მბრძანებლურ-დიქტატორული მართვის პირობებში მოკავშირე რესპუბლიკები ვერ ბედავდნენ წარმეული უფლებების დაბრუნებაზე ხმის ამოღებას. დღეს, საბედნიეროდ, ამის შესაძლებლობა არსებობს, მით უმეტეს, რომ დასახელებული ხელშეკრულება ძალაშია და ჩვენს ქვეყანაში დაიწყო საბჭოთა ფედერაციის დემოკრატიული პრინციპების აღდგენა.

მოკავშირე რესპუბლიკის სუვერენიტეტის უპირველესი საკითხი სსრ კავშირიდან თავისუფალი და შეუზღუდველი გასვლის უფლებაა. იგი საბჭოთა

* ავტორის ზოგიერთი მოსაზრება რედაქციას სადაოდ მიაჩნია. მაღლიერებით მივიღებთ ყველა საქმიან გამოხატულებას ამ პუბლიკაციაზე.

კავშირის არსებობის ქვაკუთხედი. სსრ კავშირის შექმნის შესახებ 1922 წლის 30 დეკემბრის დეკლარაციაში, რომელიც სსრ კავშირის საბჭოების პირველმა ყრილობამ დაამტკიცა და იგი სსრ კავშირის პირველი კონსტიტუციის (1924 წლის) შემადგენელი ნაწილია, ჩაწერილი: „სოციალისტური რესპუბლიკების ხალხების ნება, რომლებიც ამასწინათ შეიკრიბნენ თავიანთი საბჭოების ყრილობებზე და ერთსულოვნად მიიღეს გადაწყვეტილება „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის“ შექმნის შესახებ, იმის საიმედო თავდებია, რომ ეს კავშირი წარმოადგენს თანასწორუფლებიანი ხალხების ნებაყოფლობით გაერთიანებას, რომ ყოველ რესპუბლიკას უზრუნველყოფილი აქვს კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლება, რომ კავშირში შესვლა ღია ყველა სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკისათვის, როგორც დღეს არსებულის, ისე მომავალში წარმოშობილთათვის, რომ ახალი საკავშირო სახელმწიფო გახდება ხალხების მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და ძმური თანამშრომლობის ჯერ კიდევ 1917 წლის ოქტომბერში საძირკველჩადებული საფუძვლების ღირსეული დაგვირგვინება...“¹.

სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუციის მე-6 მუხლში ჩაწერილია, რომ კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლების შეცვლის, შეზღუდვის ან გაუქმებისათვის საჭიროა ყველა რესპუბლიკის თანხმობა, რომლებიც სსრ კავშირში შედიან. მაშასადამე, თუ რომელიმე რესპუბლიკა ამ საკითხში თანახმა არ იქნება, იგი ვერ გადაწყდება, ხოლო თუ მაინც გადაწყდა, მოწინააღმდეგე რესპუბლიკა სსრ კავშირიდან გასულად ჩაითვლება, ვინაიდან ამ საკითხის გადაწყვეტა ერთხმობის პრინციპის საფუძველზე ხდება.

სწორედ ასეთი დებულებაა ფიქსირებული საქართველოს სსრ კონსტიტუციის 69-ე მუხლის ახალ რედაქციაში, სადაც აღნიშნულია, რომ კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლების გაუქმების ან პირდაპირი თუ არაპირდაპირი შეზღუდვის შემთხვევაში, რომლის აღკვეთის მიღწევა შეუძლებელი გახდება, საქართველოს სსრ საბჭოთა კავშირიდან ავტომატურად გასულად თვლის თავის თავს. ეს გამოწვეულია იმით, რომ ირგვევა 1922 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულება და დეკლარაცია სსრ კავშირის შექმნის შესახებ, რომლის მონაწილეცაა საქართველოს სსრ კავშირის შექმნის პირველ დღიდანვე. ამ შემთხვევაში იგივე უნდა გააკეთონ სხვა მოკავშირე რესპუბლიკებმაც, რაც ფაქტობრივად მოასწავებს სსრ კავშირის დაშლას და ცალ-ცალკე სახელმწიფოებად არსებობას ან ძალადატანებით შემოერთებას, ანექსიას, დაპყრობას. ამ უკანასკნელის გამორიცხვის მიზნით საჭირო იქნება განისაზღვროს ის სამართლებრივი შედეგებიც, რომელიც კავშირიდან გასვლას შეიძლება მოჰყვეს. კერძოდ: უნდა დადგინდეს, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა აღიდგენს ყველა თავის პირვანდელ უფლებას, რომელიც ნებაყოფლობით თუ ძალდატანებით იქნა წართმეული საბჭოთა ხელისუფლების მიერ, კერძოდ, დაუბრუნდება ტერიტორიები მოკავშირე რესპუბლიკებისაგან (სოჭის რეგიონი — რსფსრ-გან, საინგილო — აზერბაიჯანისაგან, ალავერდის რეგიონი — სომხეთისაგან), ხოლო საბჭოთა ხელისუფლების მიერ თურქეთისათვის გადაცემული საქართველოს ტერიტორიების დიპლომატიური გზით უკან დაბრუნებაში საბჭოთა კავშირი (თუ რსფსრ) საქართველოს მხარდაჭერის პოლიტიკას დაადგება. რასაკვირველია, ასეთ შემთხვევაში საქართველომ უნდა მიიღოს სსრ კავშირის სიმდიდრის ის წილი, რომლის შექმნა-

¹ Советские конституции, справочник, Госполитиздат, 1963, стр. 184—185.



შიც 70 წლის მანძილზე მიუღია მას მონაწილეობა (მათ შორის სამხედრო ძლიერების შექმნაში). ამრიგად, სსრ კავშირიდან საქართველოს გასვლა სსრ კავშირის დახმარების გარეშე არ შეიძლება. სხვაგვარად რესპუბლიკა ობობასგან სისხლგამოწოვილ მწერს დაემსგავსება, რომელიც სასიკვდილოდაა განწირული.

მართალია, სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუციის აღნიშნული მეექვსე მუხლის ფორმულირება აღარ არის 1977 წლის კონსტიტუციაში, მაგრამ იგი არავის არ გაუუქმებია, ხოლო 1922 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულება ოფიციალურადაა აღიარებული მოქმედ აქტად. ჩვენ მიგვაჩნია, რომ არც 1936 წლის და არც 1977 წლის კონსტიტუციები არ აუქმებენ 1924 წლის კონსტიტუციას, რამდენადაც ამ უკანასკნელის ორგანული ნაწილია სწორედ 1922 წლის 30 დეკემბრის დეკლარაცია და ხელშეკრულება სსრ კავშირის შექმნის შესახებ. როგორც ცნობილია, 1977 წელს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მე-9 მოწვევის რიგგარეშე მე-7 სესიას, რომელმაც 1977 წლის 7 ოქტომბერს მიიღო დღეს მოქმედი სსრ კავშირის კონსტიტუცია, არ გაუუქმებია არც ერთი საბჭოთა კონსტიტუცია, ამიტომ ამ ნაწილში სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუცია დღეს მოქმედა².

კოლიზია აღნიშნულ საკითხში გამოირიცხულია, რამდენადაც საპირისპირო დებულებები არ არსებობს, ამიტომ რესპუბლიკის კონსტიტუციის 69-ე მუხლის რედაქცია არავითარ ეჭვს არ ბადებს და საჭიროებს კავშირიდან გამოსვლის მექანიზმის ბოლომდე სამართლებრივ რეგლამენტაციას.

მეტად მნიშვნელოვანია სსრ კავშირის კანონების მოქმედების წესი რესპუბლიკის ტერიტორიაზე. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 77-ე მუხლში ცვლილებების შეტანის შესაბამისად, თუ სსრ კავშირის კანონები და კანონქვემდებარე აქტები ეწინააღმდეგებიან საქართველოს სსრ ინტერესებს, მათი მოქმედება შეჩერდება რესპუბლიკის ტერიტორიაზე და დაისმება საკითხი შესაბამისი ორგანოების წინაშე მათი გაუქმების ან შეცვლის შესახებ, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში ეს აქტები არ მოქმედებენ საქართველოს ტერიტორიაზე. ეს არის რესპუბლიკის სუსპენზიური ვეტოს უფლება საკავშირო კანონებისადმი. სკკპ პლატფორმაში „პარტიის ეროვნული პოლიტიკა თანამედროვე პირობებში“, რომლის საფუძველზედაც მიღებულ უნდა იქნეს საკავშირო საკანონმდებლო აქტები, აღნიშნულია: „თუ საკავშირო კანონი სცილდება კავშირის უფლებამოსილებათა ფარგლებს, რესპუბლიკას უფლება აქვს დასვას მისი გაუქმების საკითხი“. როგორც ვხედავთ, ჩვენი პარტია თვითონ აღიარებს მოკავშირე რესპუბლიკების სუსპენზიური ვეტოს უფლებას, ე. ი. საკავშირო კანონის გაუქმების მოთხოვნის უფლებას, როცა ეს კანონი სცილდება კავშირის უფლება-მოსილებათა ფარგლებს. კავშირის უფლებამოსილებათა ფარგლებს საკავშირო კანონი მაშინ გასცდება, როცა იგი დაარღვევს მოკავშირე რესპუბლიკის ინტერესებს, ე. ი. ჩაერევა მისი სუვერენული უფლებების განხორციელებაში.

საკავშირო კანონის გაუქმების მოთხოვნის უფლების აღიარება უსათუოდ ნიშნავს ამ უფლების ბოლომდე განხორციელებას, კერძოდ, ისე, რომ შეაჩეროს გაპროტესტებული კანონის მოქმედება რესპუბლიკის ტერიტორიაზე. მაგრამ თუ ასეთი კანონი არ იქნა გაუქმებული ან შეცვლილი საკავშირო ხელისუფლების მიერ მისი გაპროტესტებას მიუხედავად, ასეთ კანონს, მართალია,

² იხ. „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1977, № 41.



მოკავშირე რესპუბლიკა ვერ გააუქმებს (აბსოლუტური ვეტო), მაგრამ შეუძლია არ გაავრცელოს მისი მოქმედება თავის ტერიტორიაზე, რისთვისაც ამის შესახებ უნდა გამოსცეს სპეციალური საკანონმდებლო აქტი.

სსრ კავშირის ხელისუფლების ორგანოებს არ შეუძლიათ მოკავშირე რესპუბლიკების, როგორც სუვერენული ქვეყნების კანონების გაუქმება. ამ შემთხვევაში, მართალია, ჯერჯერობით მოქმედებს სსრ კავშირის კონსტიტუციის 74-ე მუხლის მოთხოვნა, რომლითაც „საერთო-საკავშირო კანონისაგან მოკავშირე რესპუბლიკის კანონის განსხვავების შემთხვევაში მოქმედებს სსრ კავშირის კანონი“, ე. ი. საკავშირო ხელისუფლება მოკავშირე რესპუბლიკის კანონს ვერ აუქმებს, მაგრამ ავრცელებს თავისი კანონის მოქმედებას რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

სსრ კავშირის კონსტიტუციის 74-ე მუხლის ეს წესი უნდა გაუქმდეს, ვინაიდან ეწინააღმდეგება მოკავშირე რესპუბლიკის სუვერენიტეტს, კერძოდ, მის უფლებას გააპროტესტოს საკავშირო კანონი. საერთოდ საკავშირო კანონის მოქმედების ძალდატანებითი გავრცელება მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე სრულებით არ შეესაბამება საბჭოთა საკავშირო ფედერაციის ნებაყოფლობით. დემოკრატიულ ხასიათს. თუკი გავითვალისწინებთ ისეთ შემთხვევას, როცა ვთქვათ, ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ მიიღოს კანონები, რომლებიც ეწინააღმდეგება სსრ კავშირის კანონს, განა მინც შეუძლია საკავშირო ხელისუფლებას ძალდატანებით გაავრცელოს თავისი კანონი მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიაზე? ან კიდევ, განა შეიძლება საკავშირო ხელისუფლებამ მოითხოვოს მოკავშირე რესპუბლიკის ისეთი კანონის გაუქმება, რომლის ცალკეული საკითხებიც შეიძლება საკავშირო კომპეტენციას განეკუთვნებოდეს? ეს მას არ შეუძლია მოითხოვოს, ვინაიდან საკავშირო კომპეტენცია მოკავშირე რესპუბლიკების მიერ თავიანთი უფლებამოსილების ნაწილის გადაცემით იქმნება, რომელთა გადაწყვეტაშიაც, როგორც ეროვნულ პოლიტიკასთან დაკავშირებით სკკ პლატფორმაშია აღნიშნული, მოკავშირე რესპუბლიკა მონაწილეობს, რასაც „უზრუნველყოფს თითოეული მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენლობა სსრ კავშირის ორგანოებში. აგრეთვე საერთო-საკავშირო გადაწყვეტილებათა შემუშავებისა და მიღების სპეციალური პროცედურების დადგენა“³.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს კანონმდებლობაში არაფერია ნათქვამი საკავშირო ორგანოებში გაგზავნილი რესპუბლიკის დეპუტატების უფლებების დელეგირების შესახებ. ეს დეპუტატები საკავშირო ორგანოებში უნდა გამოხატავდნენ რესპუბლიკის ინტერესებს, და თუ ეს მათ მიერ არ მოხდება, ან აზრთა სხვადასხვაობა წარმოიშვება საქართველოდან გაგზავნილ დეპუტატებს შორის რესპუბლიკის ინტერესების საკითხებზე, რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანო უნდა ლებულობდეს გადაწყვეტილებას იმავე საკითხებზე, რაც სავალდებულო უნდა იყოს რესპუბლიკიდან წარგზავნილი დეპუტატებისათვის.

ჩვენ დღეს ფართოდ და საყოველთაოდ აღვნიშნავთ სადაო საკითხების გადაწყვეტისას კონსესუსის პრინციპის გამოყენებას, რაც გულისხმობს უფლებამოსილ პირთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე საკითხების გადაწყვეტას. სამწუხაროდ, არც ჩვენი კანონმდებლობა და არც საკავშირო ხელისუფლების ორგანოთა მუშაობის პრაქტიკა ამ პრინციპს არ იცავს და ადგილი

³ იხ. გაზ. „კომუნისტი“, 1989 წლის 26 სექტემბერი.

აქვს რესპუბლიკებს შორის დისკრიმინაციას რსფსრ-ს აშკარა უპირატესობით. საცვებით სამართლიანად მიგვაჩნია დეპუტატ დავით ხახუტაიშვილის მოხონა იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე და სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში საკითხები წყდებოდეს არა დეპუტატთა ხმების არითმეტიკული უმრავლესობის, არამედ მოკავშირე რესპუბლიკათა ერთხმეობის მიხედვით. არა თუ ერთხმეობის პრინციპი, არამედ მოკავშირე რესპუბლიკათა უმეტესობის აზრის მიხედვითაც, საკითხის გადაწყვეტაც გამორიცხულია საკავშირო ყრილობასა და უმაღლეს საბჭოში, რომლის არადემოკრატიულობაზეც ჩვენ არაერთხელ მივუთითებდით⁴.

საბჭოთა ფედერაცია განსაკუთრებული სახის ფედერაციაა. მასში შერწყმულია ფედერაციისა და კონფედერაციის ნიშნები. ეს გამოწვეულია იმით, რომ სსრ კავშირში ფედერაცია ეროვნულ სახელმწიფოებრიობას ეყრდნობა, რის გამოც ფედერაციის წევრები ინარჩუნებენ დამოუკიდებლობას, თავიანთ სუვერენიტეტს. ასეთი დამოუკიდებლობის ერთ-ერთი ნიშანია მოკავშირე რესპუბლიკის უფლება შეაჩეროს საკავშირო არასასურველი კანონის მოქმედება თავის ტერიტორიაზე, ხოლო საკითხის შეუთანხმებლობისას არ გაავრცელოს ასეთი კანონის მოქმედება თავის ტერიტორიაზე. ასეთი წესი იშვიათია მეტწილ ფედერაციულ სახელმწიფოებში საზღვარგარეთ (მაგ. აშშ, გფრ-ში და სხვაგან), მაგრამ ამ ქვეყნებში ფედერაცია შექმნილია არა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი, არამედ ტერიტორიული შემოერთების თუ ტერიტორიული დაყოფის საფუძველზე, სადაც ეროვნული სახელმწიფოები არასოდეს არ ყოფილა (თუ იყო, ისიც ფეოდალური დაქუცმაცებულობის პერიოდში ეროვნული განსხვავებულობის გარეშე). ამერიკის კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-4 განყოფილება, მაგალითად, ყოველ შტატს რესპუბლიკური მართვის ფორმას ანიჭებს, მაგრამ იმავე კონსტიტუციის 1-ლი მუხლის მე-10 განყოფილება უფლებას არ აძლევს შტატს დადოს ხელშეკრულებები ან კავშირში შევიდეს სხვა ფედერაციასთან, გამოსცეს კანონები ხელშეკრულებების დარღვევით და სხვ⁵.

მოკავშირე რესპუბლიკა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, სარგებლობს სუვერენიტეტის ყველა ფორმით: სახელმწიფო სუვერენიტეტით, ეროვნული სუვერენიტეტით, ტერიტორიული სუვერენიტეტით, სახალხო სუვერენიტეტით. ეროვნული და ტერიტორიული სუვერენიტეტის ერთ-ერთი გამოვლინებაა მოკავშირე რესპუბლიკის ერის უფლება თვითონვე გადაწყვიტოს თავისი ქვეყნის ეროვნულ-ტერიტორიული მოწყობა და თავისი ბედიც მთლიანად — შევიდეს ფედერაციაში თუ იყოს განცალკევებულად.

ამის შესაბამისად მოკავშირე რესპუბლიკის ერი, სახელმწიფო წყობილების დემოკრატიულობის თუ არადემოკრატიულობის შესაბამისად, წყვეტს საკითხს: მიანიჭოს თუ არა ავტონომიურობის უფლება თავის ტერიტორიაზე მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს. ე. ი. მოაწყოს ან არ მოაწყოს თავის ქვეყანაში ეროვნული უმცირესობებისათვის ავტონომიური ერთეულები. რამდენადაც ახალი ავტონომიური ერთეულების შექმნა ზრდის დეპუტატების რიცხვს სსრ კავშირის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში, ამდენად მათი მხოლოდ შექმნის საკითხი უნდა დაამტკიცოს ხელისუფლების საკავშირო უმაღლესმა ორგანომ (ყრილობამ), მაგრამ არა ავტონომიური ერთეულების

⁴ იხ. უტრნ. „საქართველოს კომუნისტი“, 1988, № 11 და სხვა.

⁵ См. «Конституции буржуазных государств». М., 1982, стр. 25.

გაუქმების საკითხი, რომელიც მხოლოდ მოკავშირე რესპუბლიკის პრეროგატივაა. სსრ კავშირის კონსტიტუციიდანაც მხოლოდ ასეთი დასკვნის გამოტანა შეიძლება. კერძოდ, სსრ კავშირის კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულია, რომ სსრ კავშირის უფლებათა მხოლოდ მიიღოს ახალი რესპუბლიკები მის შემადგენლობაში და დაამტკიცოს ახალი ავტონომიური რესპუბლიკები და ავტონომიური ოლქები, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკების კავშირიდან გასვლას ან ავტონომიური რესპუბლიკების თუ ავტონომიური ოლქების გაუქმებას სსრ კავშირი არც განიხილავს და არც წყვეტს, ვინაიდან ეს საკითხები მხოლოდ მოკავშირე რესპუბლიკის პრეროგატივაა. როგორც ცნობილია სსრ კავშირის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ 1988 წლის 1 დეკემბრის კანონის პროექტში იყო ცდა წყურთმით მოკავშირე რესპუბლიკებისათვის აღნიშნული უზენაესი უფლება და იგი სსრ კავშირის კომპეტენციისთვის გადაეცათ, მაგრამ ეს არ განხორციელდა, ვინაიდან, მაშინ სსრ კავშირი უნიტარულ სახელმწიფოდ იქცეოდა, რაც დაუშვებელია.

მოკავშირე რესპუბლიკაში ავტონომიური ერთეულების შექმნა მოკავშირე რესპუბლიკის ძირეული ერის დემოკრატიულობის მაჩვენებელია; როდესაც ქართველი ერი პატივს სცემს თავის ტერიტორიაზე ოდითგანვე მცხოვრებ ეროვნებებს და ანიჭებს მათ ავტონომიას, ეს არა მარტო ქართველი ერის ღირსებაა, არამედ იმ საზოგადოებრივი წყობილებისაც, რომელსაც იგი აშენებს. მაგრამ თუ ასეთი ერთეულების შექმნა ან უკვე შექმნილის მომავალში არსებობა ხელს უშლის ქართველ ერს თავისი ინტერესების დაცვაში, მას, ქართველ ერს ვერაფერ წაართმევს თავისსავე უფლებას გააუქმოს (მუდმივად ან დროებით) მის მიერვე შექმნილი ავტონომიური ერთეულები.

ასეთი დასკვნა გამომდინარეობს საქართველოს სსრ კანონმდებლობიდანაც. კერძოდ, ჩვენი კონსტიტუციის 68-ე მუხლის ბოლო აბზაცში აღნიშნულია, რომ „სსრ კავშირის კონსტიტუციის 73-ე მუხლში აღნიშნულ ფარგლებს გარეთ საქართველოს სსრ დამოუკიდებლად ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლებას თავის ტერიტორიაზე“, ე. ი. კერძოდ, აუქმებს ავტონომიურ ერთეულებს, რაკი ეს გაუქმება ნახსენებიც კი არ არის არა თუ სსრ კონსტიტუციის 73-ე მუხლში, არამედ მის არც ერთ სხვა მუხლშიც, რაც სავსებით ბუნებრივია სუვერენული რესპუბლიკების ფედერაციაში.

საქართველოს სსრ 1980 წლის 12 ნოემბრის კანონში სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ, მე-3 მუხლში აღნიშნულია, რომ „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საზღვრების შეცვლა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით“⁶, ხოლო ასეთი კანონმდებლობის უფლება ოლქს არ გააჩნია. ჩვენი კონსტიტუციის მე-9 თავში („ავტონომიური ოლქი“), არსად არ არის აღნიშნული, რომ ოლქის საზღვრების შეცვლა ავტონომიური ოლქის თანხმობის გარეშე არ შეიძლება. მაშასადამე, იგი უნდა მოხდეს საქართველოს სსრ სრული დამოუკიდებლობით, ხოლო ოლქის საზღვრების შეცვლა მის გაუქმებასაც ნიშნავს.

ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მდგომარეობა, ე. ი. მისი მმართველობითი ფუნქციები არაფრით არ განსხვავდება ტერიტორიული ოლქის ანალოგიური ფუნქციებისაგან. მათი მმართველობის ორგანოთა სისტემა, ბიუჯეტი, მმართველობის აქტები და ა. შ. სრულიად ერთნაირია. საგულისხმოა აღინიშნოს, რომ სსრ კავშირის სახალხო დემუტატთა ყრი-

⁶ იხ. „საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“. 1980. № 11. (დანართი).



ლობა სსრ კავშირის კონსტიტუციის 73-ე მუხლის თანახმად საერთოდ განიხილავს ავტონომიური ოკრუგების საკითხს (არც შექმნის, დამტკიცებისა და არც გაუქმების საკითხებს); მაშასადამე, ეროვნულ-ტერიტორიული ერთეულები (ავტონომიური ოკრუგი და ავტონომიური ოლქი) სსრ კავშირის კონსტიტუციას გათანაბრებული აქვს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებთან (ოლქებთან, მხარეებთან, რაიონებთან, სოფლებთან) და მათ შექმნა-გაუქმებას მოკავშირე რესპუბლიკის პრეროგატივად თვლის, რაც სავსებით ნორმალურია.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ არ ითვლება არც სამართლებრივი აქტებით, არც ოფიციალურად და არც ფაქტობრივად ფედერაციულ რესპუბლიკად. არასოდეს არ ეწოდებოდა საბჭოთა საქართველოს ფედერაციული რესპუბლიკა რსფსრ-ს მსგავსად, ვინაიდან საქართველოში ავტონომიური ერთეულები შეიქმნა საქართველოს მკვიდრ მიწაზე და ავტონომიებს სახელმწიფოებრიობის პრეტენზიის უფლებაც კი არ ჰქონდათ. ისინი ფაქტობრივად იყვნენ ეროვნულ-ტერიტორიული და არა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ერთეულები. ამაზე ნათლად მეტყველებს სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუცია, რომლის მე-15 მუხლში (შენიშვნაში) პირდაპირაა აღნიშნული, რომ აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი გათანაბრებული არიან უფლებებში, როცა თითოეული მათგანი თითო-თითო დეპუტატს წარგზავნიდნენ ეროვნებათა საბჭოში.

58567

საბჭოთა კავშირის, როგორც განსაკუთრებული ფედერაციულ-კონფედერაციული გაერთიანების განვითარება უნდა წარიმართოს მოკავშირე რესპუბლიკათა სუვერენიტეტის სრული აღდგენით. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მე-11 მოწვევის მე-12 სესიის სულისკვეთებაც აქეთაქნ იყო წარმართული ყველა ის საკითხი, რომელიც სესიაზე გადაწყდა და წამოიჭრა, გადასაწყვეტად თავსდება საკავშირო ფედერაციის ფარგლებში და სრულებითაც არ ეწინააღმდეგება მის არსებობას. უფრო მეტიც, ჩვენ ვფიქრობთ კიდევ უფრო მეტი უფლებების დაბრუნებას სსრ კავშირისაგან რესპუბლიკის სრული სუვერენიტეტის აღსადგენად. ამ მხრივ ერთ-ერთი მწვავე საკითხია რესპუბლიკის საჯარისო ფორმირებების შექმნა. ამ საკითხის შესასწავლად, უზენაესი საბჭოს მიერ შექმნილია სპეციალური კომისია. საკითხის სამართლებრივი მხარე კი ასეთია:

სსრ კავშირის შექმნამდე საქართველოს გააჩნდა დამოუკიდებელი კომპეტენცია საჯარისო ფორმირებების დარგში და შექმნილი იყო კიდევ შესაბამისი მმართველობის ორგანო ეროვნული საჯარისო ფორმირებებით. სსრ კავშირის შექმნისას მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული თავდაცვის საქმე და საჯარისო ფორმირებების ხელმძღვანელობა სსრ კავშირის გამგებლობისადმი ყოფილიყო გადაცემული, რის გამოც სსრ კავშირის 1924 წლისა და 1936 წლის კონსტიტუციები (1944 წლამდე) შეიცავდნენ მითითებებს შეიარაღებული ძალების ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობის საკავშირო გამგებლობისადმი მიკუთვნების შესახებ (შესაბამისად მუხ. 1. 1924 წლის კონსტიტუციაში და მუხ. 14 1936 წლის კონსტიტუციაში). მაგრამ 1944 წელს საბჭოთა ჯარების წარმატებებისა და ეროვნული საჯარისო ფორმირებების გამართლების შედეგად, აგრეთვე საერთაშორისო არენაზე მოკავშირე რესპუბლიკების უფლებების გაფართოების შედეგად სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ

2. „სახელმწიფო და სამართალი“, № 1.

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.

მიიღო კანონები თავდაცვისა და საგარეო საქმეთა დარგებში კომპიუტერული მოკავშირე რესპუბლიკებისათვის გაზიარებისა და თავდაცვისა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატების საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანოებად გადაქცევის თაობაზე. ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პირველი მოწვევის მეშვიდე სესიაზე მიღებულ 1944 წლის 17 მარტის კანონში აღნიშნულია: „შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონისა „მოკავშირე რესპუბლიკების საჯარისო ფორმირებათა შექმნისა და ამასთან დაკავშირებით თავდაცვის სახალხო კომისარიატის საერთო-საკავშირო სახალხო კომისარიატიდან საკავშირო-რესპუბლიკურ სახალხო კომისარიატად გარდაქმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო აღდგენს: შეიქმნას საქართველოს სსრ თავდაცვის საკავშირო-რესპუბლიკური სახალხო კომისარიატი“⁷.

ეს კანონი დღემდე არ გაუქმებულა ოფიციალურად, თუმცა ფაქტობრივად იგი არ შესრულებულა. 1977 წლის 7 ოქტომბერს მიღებულ იქნა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია, რომელმაც ყოველგვარი დასაბუთებისა და სამართლებრივ აქტებში ცვლილებების შეტანის გარეშე სსრ კავშირის გამგებლობაში გამოაცხადა თავდაცვის ორგანიზაცია და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობა საერთო-საკავშირო თავდაცვის სამინისტროთი. რამდენადაც ახალი კონსტიტუციის მიღებას არ მოჰყოლია ძველი კონსტიტუციისა და ზოგიერთი სხვა საკანონმდებლო აქტების გაუქმება, რომელთაგანაც ზოგიერთის არსი და დანიშნულება საკანონმდებლო წესით სულ არ არის განსაზღვრული (მაგ. თავდაცვის საბჭო, რომელიც მხოლოდ ნახსენებია სსრ კავშირის კონსტიტუციის 121-ე მუხლის მე-5 პუნქტში), თავდაცვის დარგში ხელისუფლების ასეთი უზურპაცია მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტის დარღვევაა. ამიტომ სავსებით დროულად მიგვაჩნია ჩვენს რესპუბლიკაში ეროვნული საჯარისო ფორმირებების აღდგენა და თავდაცვის სამინისტროს შექმნა, რასაც დიდი ხანია ელოდება ქართველი ხალხი და რაც ჭერ კიდევ 1944 წელს უნდა მომხდარიყო.

⁷ იხ. საქართველოს სსრ კანონთა, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა კრებული, 1938-1975, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო, თბილისი, 1976, გვ. 98.

ლურ-პოლიტიკურად ერთიან სოციალისტურ საზოგადოებაში გაფიცვა მკრე-
ხელობად ჩანდა. ახლაც სიტყვა „გაფიცვა“ ყველას აფრთხობს. ამგვარ შემთხვე-
ვებში მართლაც დიდი თვალეები აქვს — რაც ყველასა და თითოეულის ცხვირწინ
ხდება. ასე გაფორიანებს, მისი იურიდიული მოწესრიგებისაქენ ისწრაფვი და
იქვე შიშობ, ახსენო თუ არა ის, რაზედაც მთელი განსჯა და წუხილია.

სესიაზე კანონპროექტის განხილვის დროს კარგად გრძნობდნენ, „გა-
ფიცვის“ ცნების შემოტანა დაარღვევდა ჩვენს მედიდურ კონსტიტუციურ
ფასადს.

წყევლა-კრულვა გაფიცვების წინააღმდეგ არც ახლა წყდება: ადრე არ
ყოფილა იგი, რატომ არის ახლა? შვიდი ათეული წლის მანძილზე მტკიცე
თარგი ჩამოყალიბდა: სოციალიზმის განმასხვავებელი თვისება იმაშია, რომ
მისთვის უცხოა გაფიცვები. ამ ტრადიციულ მტკიცებას იმეორებს, მაგალი-
თად, ქართულ ენციკლოპედიაში გაფიცვების შესახებ სტატიის ავტორი: „მხო-
ლოდ 1917, დიდი ოქტ. სოც. რევოლუციის გამარჯვების და კაპიტალის დამ-
ხობის შემდეგ მოისპო რუსეთში საგაფიცო მოძრაობის წინამძღვრები“ (ტ. 3,
გვ. 17).

ამაყობდნენ კიდევ იმით, რომ ჩვენში არა თუ გაფიცვები, არამედ მისი
წინამძღვრებიც კი აღმოფხვრილია.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოფნის დროს, კითხვაზე თუ რატომ
არ აქვთ საბჭოთა კავშირში მუშათა კლასს ისეთი დიდი დემოკრატიული
უფლება, როგორც გაფიცვების უფლებაა ნიკიტა ხრუშჩოვი მარტივი კაცის
კმაყოფილებით პასუხობდა: ვის უნდა გაეფიცოს მუშათა კლასი, ჩვენთან
მუშათა სახელმწიფოა და თავის თავს ხომ ვერ გაეფიცებიანო.

ყველაფერი ეს მართლაც ეთანხმებოდა ახალი წყობის უკონფლიქტო-
ბის თეორიას, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია ხრუშჩოვისათვის 1962 წელს
სისხლში ჩაეხშო მუშათა გაფიცვები ნოვოჩერკასკში, რომელიც შემდგომ
თითქოს „ანტისოციალისტურ“ გამოსვლებში გადაიზარდა.

ტაბუ, სიტყვა „გაფიცვაზე“, დღეს მაინც თავისას აკეთებს.

1989 წლის 3 ოქტომბერს სსრ კავშირის უზანაესი საბჭოს სესიაზე გა-
მომსვლელ დეპუტატთა უმრავლესობა მოითხოვდა განსახილველი კანონის
სახელწოდებაში პირდაპირ თქმულიყო, რომ იგი გაფიცვების მომწესრიგე-
ბელი აქტია; იყო კომპრომისული წინადადებაც — კოლექტიური შრომის
დავების (კონფლიქტების) გადაწყვეტასთან ერთად სათაურში თქმულიყო
გაფიცვების შესახებაც. საკითხის სიმწვავე შეანელა იმან, რომ კენჭის ყრის
წინ დაპირების მსგავსი წინადადება წამოაყენეს, აქაოდა გაფიცვებისათვის
მომავალში სპეციალური კანონი შემუშავდებო.

დაბოლოს, 1989 წლის 3 ოქტომბერს აღრინდელი ვარიანტით გაფიცვებ-
ზე მითითების გარეშე მიღებულ იქნა სახელწოდება „კანონი კოლექტიური
შრომითი დავების (კონფლიქტების) გადაწყვეტის წესის შესახებ“. ამას ხმა
მისცა ორასოცდაცამეტმა დეპუტატმა, ასოცდაცამეტი წინააღმდეგი წავიდა,
ოცდაათმა კი თავი შეიკავა¹.

1989 წლის 9 ოქტომბრის კანონში დაყენებული სწრაფვაა, კოლექტიური
შრომითი დავები (კონფლიქტები) არ მიიყვანონ გაფიცვებამდე. აქვე გავიხ-
სენოთ, რომ ამჟამად მოქმედმა შრომის სამართლის აქტებმა საკმაო სისრუ-

¹ Бюллетень совместного заседания Совета Союза и Совета Национальностей. — вторая сессия Верховного Совета Союза ССР; 1989, № 7, с. 18.



ლით მოაწესრიგეს ინდივიდუალური შრომითი დავების მწვავე საკითხები კოლექტიური დავების მოწესრიგება კი მათ უგულვებელყვეს, თუმცა კარგად იცოდნენ, რომ ცხოვრებაში ასეთი დავები ყოველთვის არსებობდა.

კოლექტიური დავების ამგვარი უგულვებელყოფა არ ყოფილა დამახასიათებელი ოცინი წლების შრომის კანონმდებლობისათვის. ინდივიდუალური შრომითი დავების განხილვის წესით კოლექტიური დავების გადაწყვეტა შეუძლებელია. ეს კარგად ესმოდათ 1922 წელს რსფსრ შრომის კოდექსის შემდგენლებს. (ეს კოდექსი 1923 წლის 25 იანვრიდან შემოღებულ იქნა სამოქმედოდ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე). იგი, მართალია არ ხმარობდა სიტყვა გაფიცვას, არც პირდაპირ კრძალავდა მას, მაშინ როცა იმდროინდელ კოდექსებში წარსულის უარმყოფელი პოლემიკური ნორმებიც იშვიათობა როდი იყო.

შრომის სამართლის კოდექსი ითვალისწინებდა კოლექტიური (ჯგუფური) დავების გადაწყვეტის შესაძლებლობას საწარმოს შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიებისა, მომრიგებელი კამერებისა და სამედიატორო სასამართლოების მიერ, აგრეთვე სახალხო სასამართლოების განსაკუთრებულ (შრომით) სესიებზე. აქ იხილებოდა კოლექტიური ხელშეკრულებებიდან გამომდინარე შესაძლო დავები. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა გაფიცვების მოწესრიგებას ნების დროს დაშვებულ კერძო საწარმოებში².

ნებზე უარის თქმამ შეამცირა კოლექტიური ხელშეკრულებების მნიშვნელობა. მას შემდეგ, რაც გაერთიანდა შრომის სახალხო კომისარიატი და სრულიად საკავშირო პროფესიული კავშირების ცენტრალური საბჭო, მომრიგებელი კამერები და სამედიატორო სასამართლოები, რომლებიც უმთავრესად კოლექტიურ შრომით დავებს იხილავდნენ, ლიკვიდირებულ იქნა. 1934 წლიდან, კოლექტიური ხელშეკრულებების გაუქმებასთან ერთად, კოლექტიური დავების განხილვა შეწყდა³.

მაღე დადგა დრო, როცა არა თუ კოლექტიური დავები, არამედ ყოველი კოლექტიური წერილიც კი თითქმის სახელმწიფო დანაშაულის დონეზე განიხილებოდა.

ამჟამად მოქმედ საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსში საზოგადოდ ხსენებაც არ არის კოლექტიური შრომითი დავებისა. ცხადია კოლექტიური ხელშეკრულებების გამოყენების პრაქტიკას სულაც არ ძალუძს კოლექტიური დავების საკითხების მოგვარება. ამიტომაც მისასაღმებელია, რომ საბჭოთა კანონმდებლობამ პირველად, პირდაპირ (თუმცა მრავალი დათქმით) გაფიცვების სამართლებრივი მოწესრიგება გაითვალისწინა.

საკითხის დადებითი გადაწყვეტა დიდი ხანია შეპირობებული იყო საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ვალდებულებებით, ე. ი. საერთაშორისო სამართლებრივი მოწესრიგების პრიმატით. სსრ კავშირმა ჯერ კიდევ 1973 წლის 16 სექტემბერს რატიფიკაცია გაუკეთა „ეკონომიკური, სოციალური და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტს“, რომლის მეორე მუხლით განსაზღვრულია, რომ პაქტის მონაწილე სახელმწიფოს მოვალეობათა შორისაა—

² იხ. О. Н. Волкова, Ю. В. Лебедев, К разработке закона о забастовках в СССР, «Советское государство и право», 1989, № 10, с. 90.

³ იხ. С. А. Иванов, На пути к новой концепции трудового права: О коллективных трудовых спорах и забастовках; «Советское государство и право», 1989, № 9, с. 59.



უზრუნველყოს „უფლება გაფიცვაზე იმ პირობით, რომ იგი განხორციელდება თითოეული ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად“.

ბუნებრივია, საერთაშორისო პრაქტიკა და დასავლეთის მრავალი ქვეყნის გამოცდილება გამოიყენეს ამ ახალი საკანონმდებლო აქტის შემქმნელებმა. საქმე იქამდე მივიდა, რომ არ ერიდებოდნენ პირდაპირ რჩევების მიღებას, რათა განხორციელებულიყო მთავარი მიზანი, არ გადაიზარდოს კოლექტიური კონფლიქტები მაინც და მაინც გაფიცვებში, მით უფრო მასობრივ გაფიცვებში.

გაფიცვების შესახებ კანონპროექტის შემმუშავებელი კომისიების ხელით მთავარი მომხსენებელი ნ. გრიცენკო — კავშირის საბჭოს შრომის, ფასებისა და სოციალური პოლიტიკის საკითხების კომისიის თავმჯდომარე, 1989 წლის 3 ოქტომბერს ამბობდა, რომ „ამერიკაში ჩვენი შეხვედრების დროს შრომის საკითხებზე მრჩეველთან ბატონ ფრიმენტან, ვიკითხეთ, რა სიხშირით გადაიზრდება ხოლმე კონფლიქტები გაფიცვებში; 100 შემთხვევიდან დაახლოებით 5 შემთხვევაში, ასე გვიპასუხეს, რამდენადაც გაფიცვა სასარგებლო არ არისო, საჭიროა ჯერ წინასწარ დააგროვო რესურსები და ა. შ.“⁴.

მართლაც, საზოგადოების ნორმალური განვითარებისათვის არ შეიძლება არ ვისწრაფვოდეთ გაფიცვების თავიდან აცილებისაკენ. სამწუხაროდ, სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც წინასწარვე მაქსიმალურად აგვაცდენდა გაფიცვების შესაძლებლობას, ჩვენ ჯერ არა გვაქვს. წუხილით უნდა აღვნიშნოთ, რომ 1989 წლის 9 ოქტომბრის კანონი გამსჭვალულია სურვილით თავიდან აგვაცილოს გაფიცვები და ამ მიზნით რაც შეიძლება გაახანგრძლივოს წინასაგაფიცვო მოლაპარაკება. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მწარე გამოცდილება გვეუბნება, რაც უფრო ართულებს გაფიცვების წესებს ნორმატიული აქტი, მით უფრო არაეფექტურია იგი და საბოლოოდ მკვდრად მობილ იურიდიულ აქტად შეიძლება იქცეს.

ცხადია საზოგადოება არ შეიძლება ხელოვნურად ახალისებდეს გაფიცვებს, მაგრამ მას შემდეგ, როცა ის მოხდება, უნდა არსებობდეს რეგულირების სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც მომავალში ხელს შეუწყობს იმას, რომ თავიდან ავიცილოთ გაფიცვები და მაქსიმალურად შევამციროთ ზარალი, რომელიც მას ახლავს.

ახლად მიღებული კანონის თხუთმეტი მუხლიდან პირველი ხუთი წინასაგაფიცვო ურთიერთობის მოწესრიგებას ეძღვნება. მათი ნაკლი ის კი არ არის, რომ ისწრაფვის საქმე არ მიიყვანოს გაფიცვამდე, არამედ ის, რომ მეტად „მშვიდად“ წარმოიდგენს ამ დავას და ზედმეტ მნიშვნელობას მიაწერს პროცედურული ნორმების დაცვას, არ განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა ფასდებოდეს მისი დარღვევის ხარისხი. მაგალითად, წერილობითი ფორმის დაუცველობა ყოველთვის არ უნდა იყოს საკმარისი გაფიცვის უკანონოდ გამოცხადებისათვის.

იურიდიულ-ტექნიკურად არ არის ზუსტი, ყოველი გაფიცვა კოლექტიური შრომითი დავის (კონფლიქტის) გადაწყვეტის უკიდურეს ზომად გამოვაცხადოთ (მუხ. 7). ამგვარი შეფასებითი მომენტი იმისათვის კეთდება, რომ გვიჩვენოს გაფიცვების არასასურველობა, მაგრამ იგი ასუსტებს იმ თანამ-

⁴ Бюллетень совместного заседания Совета Союза и Совета Национальности; 1989, № 7, с. 13.

დებობის პირთაგან პასუხისმგებლობის სრული მოცულობით მოთხოვნას, რომელთა ბრალითაა გამოწვეული ვაფიცვა.

სრული გაუგებრობისა და გაფიცვების შიშის კარნახითაა შექმნილი მე-8 მუხლის მეორე ნაწილი. ამ მუხლის პირველ ნაწილში საკვებით ბუნებრივად განსაზღვრულია იმ ორგანოს კომპეტენცია, რომელიც სათავეში უდგას ვაფიცვას, მეორე ნაწილში კი ვკითხულობთ „თავის უფლებამოსილების განხორციელებისას ორგანოს, რომელიც სათავეში უდგას ვაფიცვას, უფლება არა აქვს მიიღოს გადაწყვეტილებანი, რომლებიც განეკუთვნება საწარმოს ადმინისტრაციის, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების, აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციების კომპეტენციას“. ასეთი პოლემიკური ნორმა სრულიად გაუმართლებელია; ვინაიდან ეს ისედაც ცხადია. მისი შემოტანა იმის შიშითაა ნაკარნახევი, რომ საგაფიცვო კომიტეტებმა არ აიღონ ზედმეტი ხელისუფლება და არ შექმნან ორხელისუფლებიანობის საფრთხე.

სამწუხაროდ კანონში არ არის განსაზღვრული საგაფიცვო კომიტეტების უფლებამოსილების ხანგრძლივობა; სახელდობრ, როდის შეწყვეტენ ისინი ფუნქციონირებას.

მე-8 მუხლის ბოლო ნაწილში კი მითითებულია: „შეთანხმების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში ორგანოს, რომელიც სათავეში უდგას ვაფიცვას, უბრუნდება თავისი უფლებამოსილება“. აქ ნათელი არ არის, თუ როდის ჩამოერთვა მას ეს უფლებამოსილება. ამგვარი წინააღმდეგობები გამოწვეულია იმით, რომ კანონმდებელი მზად არ არის სრულ ლეგალურ კალაპოტში წარმართოს კოლექტიური კონფლიქტების გადაწყვეტა და ამით უნდობლობას უცხადებს საგაფიცვო ორგანოებს.

ამ ვითარებაში შეცდომაა უცხოეთის ქვეყნების გამოცდილების ბრმად, უკრიტიკოდ გადმოტანა. როგორც ცნობილია, უცხოეთის ქვეყნებში ვაფიცვების საკითხს თავისუფალი პროფკავშირები განსაზღვრავენ, ჩვენთან კი ამ კანონით უცნაურადაა განსაზღვრული საბჭოთა პროფკავშირების როლი: მათ ვაფიცვები თითქოს არ ეხებათ. ისინი თითქოს გვერდზე დგანან, მეტიც — კანონის მეორე მუხლის ბოლო ნაწილით კოლექტიური შრომითი დავის (კონფლიქტის) ყოველი შემთხვევა ადმინისტრაციამ და პროფკავშირულმა კომიტეტმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებსა და ზემდგომ სამეურნეო და პროფკავშირულ ორგანოებს, აქ განსაზღვრული არ არის პროფკავშირების პოზიცია, ისინი ხელს უწყობენ თუ უშლიან ვაფიცვებს. მართალია ვაფიცვა უკიდურესი ღონისძიებაა იმ თვალსაზრისით, რომ მის თავიდან აცილებას უნდა ვისწრაფვოდეთ, მაგრამ ეს პროცესი რომ ლეგალურ კალაპოტში წარიმართოს, მას პროფკავშირული ორგანიზაციები უნდა ხელმძღვანელობდნენ, როგორც კოლექტიური ინტერესების დამცველნი. ამ გზით ვაფიცვებს ყველაზე ნაკლები ზიანი შეიძლება მოყვეს. ყოველივე ამისათვის კი აუცილებელია პროფკავშირების ძირეული რეორგანიზაცია. ამ მიმართულებით ახალ კანონს ჯერ არაფერი გაუკეთებია. ერთადერთი რაც კანონპროექტის შესახებ მთავარმა მომხსენებელმა ნ. გრიცენკომ თქვა ისაა, რომ „გამოვდივართ რა მსოფლიო პრაქტიკიდან და ვიღებთ მხედველობაში, რომ სამართლებრივ სახელმწიფოს ვქმნით, სადაც ყვე-

ლა საზოგადოებრივი სისტემა და სტრუქტურა უნდა ამუშავდეს, საჭიროა ეს ფუნქცია პროფკავშირულ კომიტეტებს დაევალოს⁵.

დიდმნიშვნელოვანი საკანონმდებლო ნოველა მე-13 მუხლის მესამე ნაწილი, რომლითაც გაფიცულთათვის მატერიალური დახმარების აღმოსაჩენად, შრომით კოლექტივებს უფლება აქვთ შექმნან ფონდი ნებაყოფლობითი შენატანებისა და შეწირულობათა ხარჯზე, აგრეთვე სპეციალური სადაზღვევო ფონდი კოლექტიური ხელშეკრულების (შეთანხმების) შესაბამისად.

მომავალ პროფკავშირებს უნდა ჰქონდეთ მსგავსი ფონდები, რათა ერთის მხრივ, დაკული იქნას დემოკრატიული უფლება გაფიცვაზე და მეორე მხრივ, პროფკავშირებს შეეძლოს ზემოქმედების მოხდენა, რომ არ ხდებოდეს გაფიცვები სერიოზული მოტივების გარეშე, რომ გაფიცვაზე უარი უფრო საშიში არ იყოს, ვიდრე თვითონ გაფიცვა.

უნდა ითქვას, რომ ამგვარი სადაზღვევო ფონდების შექმნა გაფიცვების დროს, უცხო არ ყოფილა ოციანი წლების ნორმატიულ აქტებში.

1929 წლის 13 იანვარს სსრ კავშირის ცაკისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით აკრძალული იყო გადახდევინება პროფკავშირული ორგანიზაციების საგაფიცვო ფონდებზე⁶.

გაფიცვაში მონაწილეთა მატერიალური დახმარების აღმოჩენის უფლება აქვთ აგრეთვე ყველა გარეშე ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს, მათ შორის უცხოურსაც. ამგვარი დახმარების აკრძალვა კანონსაწინააღმდეგო მოქმედება იქნებოდა.

გაფიცვის მოწყობა კოლექტივის უფლებაა, მასში მონაწილეობა კი ინდივიდუალური უფლებაა. უაღრესად მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, რომ გაფიცვაში მონაწილეობის უფლება პირს არ უნდა წაერთვას და მეორე მხრივ, გაფიცვაში არავინ არ უნდა ჩააბან იძულებით, სწორედ ეს არის განსაზღვრული კანონის მე-7 მუხლის ბოლო ნაწილით, რომ „არავინ არ უნდა აიძულონ მონაწილეობა მიიღოს ან უარი თქვას გაფიცვაში მონაწილეობაზე“. კანონი აქ უაღრესად ლაკონურია, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მისი ძლიერი მხარე როდია. კარგია, რომ გაფიცვებში მონაწილეობა თავისთავად არ განიხილება კანონსაწინააღმდეგო მოქმედებად, ყოველ შემთხვევაში, ვიდრე სასამართლოს მიერ იგი არაკანონიერად გამოცხადებულა. ადრე გაფიცვების ამკრძალავი არავითარი კანონი არ გვქონია და სულერთია, მაინც გაფიცვები უკანონოდ ცხადდებოდა.

რამდენადაც გაფიცვები სინამდვილეა, არ შეიძლება მისი მოწესრიგება სამართლებრივი საშუალებების გარეშე. ამასთან ყველაფერი ეს კანონით უნდა გაკეთდეს, ისე, რომ შემდგომ არ შეიქმნას საჭიროება რაიმე ქვეკანონური აქტისა, ან ინსტრუქციისა, რომელიც გაფიცვის შედეგებს მოაწესრიგებდა. ახლა ვიცით, რომ კანონით არავის არა აქვს უფლება იძულებისა გაფიცვებში მონაწილეობაზე და არც იმაზე, რომ არ მიიღონ მონაწილეობა გაფიცვებში. ცუდია, რომ კანონით არ არის განსაზღვრული, თუ რა სამართლებრივი შედეგები მოსდევს ამას. ეს კარგად უნდა იცოდნენ გაფიცულებმაც, რომ მათ არ შეექმნათ ილუზია შეუზღუდველი მოქმედებისა და განუკითხაობისა, თითოეული მათგანისთვის კარგად უნდა იყოს ცნობილი მათი კანონ-

⁵ Бюллетень совместного заседания Совета Союза и Совета Национальностей: 1989, № 7, с. 14.

⁶ იხ. ს. ა. ივანოვის დასახელებული წერილი, გვ. 62.

ნიერი მოქმედების ფარგალი სად თავდება, მეორეს მხრივ, თანამდებობის პირებმა კარგად უნდა იცოდნენ, რომ არცერთ გაფიცულზე არ შეიძლება სოციალური კონტროლის ისეთი ღონისძიების განხორციელება, რომელიც კანონით პირდაპირ არაა გათვალისწინებული. ჭერ-ჭერობით ჩვენი კანონი არ ითვალისწინებს გაფიცვებში მონაწილეობის იძულებისათვის, ანდა ხელის შეშლისათვის კონკრეტულ სამართლებრივ შედეგებს გადაუდებლად საჭიროა ამგვარი შემოქმედების მოსაწესრიგებლად რესპუბლიკური კანონმდებლობის შექმნა.

კანონის მე-10 მუხლით არა მარტო საწარმოს ადმინისტრაცია, არა მარტო საგაფიცვო კომიტეტი, არამედ გაფიცვის ყველა მონაწილე მოვალენი არიან ხელი შეუწყონ საწარმოს სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას, კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. არ შეიძლება მუშაობის შეწყვეტა, თუ ეს საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, უწყვეტად მოქმედ საწარმოთა შეჩერება, რასაც შეიძლება მოჰყვეს მძიმე და საშიში შედეგი.

გაფიცვებში მონაწილეობა, როგორც აღვნიშნეთ ცალკეული პირის ინდივიდუალური ნებით ხდება, ამიტომ კოლექტივის გადაწყვეტილება მისთვის სავალდებულო არ არის. კანონის მე-13 მუხლი იცავს იმათ ინტერესებს, ვინც გაფიცვაში არ მონაწილეობენ, მაგრამ გაფიცვის გამო შესაძლებლობა არა აქვთ თავიანთი სამუშაო შეასრულონ. საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია მოვალენი არიან მათ შეუნარჩუნონ ხელფასი, ვინაიდან სამუშაოდან მოცდენა ხდება მუშაკების ბრალის გარეშე. სხვანაირად წყდება გაფიცულთა ქონებრივი ინტერესები იმის მიუხედავად კანონიერად ცნობილია თუ არა გაფიცვა; გაფიცვის დროის მანძილზე მის მონაწილე მუშაკებს ხელფასი არ უნარჩუნდებათ, მაგრამ უნარჩუნდებათ საერთო და უწყვეტი სტაჟი, სახელმწიფო-სოციალური დაზღვევის უზრუნველყოფის უფლება.

სასამართლოს მიერ უკანონოდ ცნობილი გაფიცვის მოწყობა, მასში მონაწილეობა, მე-14 მუხლით განიხილება შრომის დისციპლინის დარღვევად და მას შეძლება მოჰყვეს დისციპლინური სასჯელისა და მატერიალური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენება. ამავე მუხლით გათვალისწინებულია დისციპლინური პასუხისმგებლობა იმ ხელმძღვანელებისა და თანამდებობის პირების, რომლებსაც ბრალი მიუძღვით კოლექტიური შრომითი დავების (კონფლიქტების) წარმოქმნაში, ან მომრიგებელი კომისიის ანდა შრომითი არბიტრაჟის გადაწყვეტილებათა აღსრულების დაყოვნებაში, ამასთან ისინი შეიძლება განთავისუფლდნენ თანამდებობიდან, ხოლო თუ მათ მოქმედებას მოჰყვა მატერიალური ზარალი — მატერიალური პასუხისმგებლობაც სამ თვემდე თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

მომავალმა კანონმა გაფიცვების შესახებ უნდა გაითვალისწინოს თუ რა მომენტიდან იანგარიშება უკანონო გაფიცვების შედეგები მისი მონაწილისათვის, სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე თუ გამოტანის შემდეგ, როცა გაფიცულისათვის ახლა გახდა ცნობილი მისი უკანონობა. ახალი კანონის მე-12 მუხლით სასამართლოს მიერ გაფიცვის უკანონოდ ცნობა ავალდებულებს შრომით კოლექტივს შეწყვიტოს გაფიცვა და შეუდგეს მუშაობას. ნეგატიური სანქციები ამ დღიდან უნდა იქნეს გამოყენებული, ვინაიდან პირისათვის მხოლოდ ამის შემდგომ ხდება ცნობილი, რომ გაფიცვა უკანონოა.

სასამართლოს გარდა არცერთ ორგანოს არ შეუძლია გაფიცვა ცნოს უკა-

ნონოდ. საქმე ისაა, რომ უფლება გაფიცვაზე კონსტიტუციური უფლების
დონეზე განიხილება; ამიტომაც მისი ჩამორთმევა სხვა სახელმწიფო ორგანოებში
ებს არ შეუძლიათ.

მხოლოდ სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს ან მოკავშირე რესპუბლიკის
უზენაეს საბჭოს შეუძლია გადადოს გაფიცვა, ანდა შეაჩეროს იგი ორ თვემდე
ვადით. მათი სესიებს შორის პერიოდში კი ამგვარი უფლება აქვთ შესაბა-
მის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმებს.

კანონის მე-11 მუხლი ჩამოთვლის იმ საწარმოებს და ორგანიზაციებს,
სადაც გაფიცვები არ დაიშვება, სამწუხაროდ კანონმდებელი ზედმეტად გა-
იტაცა იმ იურიდიულ პირთა ჩამოთვლამ, სადაც არ უნდა ზღვობდეს გაფიც-
ვები, იმის დაუნახავად შესაძლოა თუ არა ამ მოთხოვნის რეალიზაცია. ამ
დარგებში წარმოშობილი გაფიცვების მოწესრიგებას ეს უთუოდ გაამართ-
ლებს. გრძობდნენ რა ამ საფრთხეს კანონმდებლებმა შეიმუშავეს მე-11 მუხ-
ლის მეორე ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს ამ დარგებში წამოჭრილი
კონფლიქტის გადაწყვეტის გზას იმით, რომ აქ შრომით კოლექტივებს, შე-
მარტვებელი პროცედურის სტადიის გავლის შემდეგ, უფლება აქვთ მიმართონ
თავიანთი კანონიერი უფლებების და ინტერესების დასაცავად პირდაპირ მო-
კავშირე რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს, რომელიც თავის მხრივ ვალდებუ-
ლია განიხილოს გაფიცულთა მოთხოვნები და პასუხი გასცეს მათ არაუგვიან-
ნეს ერთი თვის ვადისა.

გაფიცვების წინაისტორია ჩვენში მაინც ისეთი მშვიდი გზით ვერ ხორ-
ციელდება, როგორც ეს კანონმდებელს სურს. გვხვდება „მოულოდნელი“,
„უეცარი“ გაფიცვები, რომელიც სრულიადაც ვერ ეტევა ადმინისტრაცი-
ისა და შრომითი კოლექტივის კონფლიქტის ფარგლებში. ეს კანონის მიღე-
ბის დღეებშიც გამოვლინდა, როცა ქვეყანას გაფიცვების ახალმა ტალღამ გა-
დაუარა.

ვორკუტის მეშახტეთა იმდროინდელმა გაფიცვებმა, რომლებსაც კომპ-
ლექსური ხასიათი ჰქონდა, აჩვენეს ახალი კანონის ნაკლი, როცა მართოდენ
პროცედურული წესების გამო, გაფიცვები უკანონოდ გამოცხადდა. ბევრს
უკვირდა კიდევ, როგორ ვერ გაუძლო კანონმა ძალაში შესვლის რამდენიმე
დღის შემდეგ პრაქტიკულ გამოცდას. სსრკ უზენაესი საბჭოს 1989 წლის 31
ოქტომბრის სხდომაზე ერთ-ერთი დეპუტატი სერიოზულ გაკვირვებას გამოთ-
ქვამდა — ეს-ესაა გაფიცვების შესახებ კანონი მივიღეთ და გაფიცვები მაინც
ზღვბაო.

გაფიცვების აღმოფხვრის ყველაზე რეალური გზა არის იმ გარემოებათა
აღმოფხვრა, რომელიც გაფიცვების წინაპირობაა და რასაც სათანადო სამარ-
თლებრივი უზრუნველყოფა უნდა. კაპიტალისტურ ქვეყნებში ისწავლეს გა-
ფიცვების წინააღმდეგ ეფექტური სამართლებრივი მექანიზმის გამოყენება.
ტყუილად ერთობა საბჭოთა ტელევიზია, როცა ნიშნისმოგებით აჩვენებს თუ
როგორ ახერხებენ კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშაობის ჩაშლის თავიდან
აცილებას, მაგალითად სასწრაფო დახმარების გაფიცულ ექიმთა შეცვლას
სამხედრო ექიმებით და ა. შ. ჩვენშიც უნდა ამოქმედდეს ეფექტური მექა-
ნიზმი გაფიცვების ნეგატიური შედეგების შენელებისათვის.

გაფიცვა სხვადასხვა სახის შეიძლება იყოს. ძნელად თუ შეხვდებით
„წმინდა“ სახის გაფიცვას, მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკურს, მხოლოდ ეკო-
ლოგიურს, მხოლოდ პოლიტიკურს. ამიტომაც მათი გამიჭვნა არც თუ ისე



იოლია. კემეროვოს აუზის მეშახტეთა გაფიცვებში ეკონომიკური მოთხოვნებზე, ჭარბობდა, მაგრამ იყო კი ეს წმინდა ეკონომიკური გაფიცვა? ერთნიშნა პასუხი აქ ძნელია. მაგალითად, ჩვენში ფასების შეცვლა მარტო ეკონომიკის საკითხი როდია. კემეროვოს საგაფიცვო კომიტეტის თავმჯდომარე თეიმურაზ ავალიანი გაფიცულ მეშახტეებზე ამბობდა, რომ „თვით ე. წ. პოლიტიკურ მოთხოვნებში, ჩვენ ვეხებით ეკონომიკურ პოლიტიკას, ვცდილობთ რა მის შემობრუნებას ადამიანისაკენ“ და რომ „შეიძლება სწორედ ფასების პოლიტიკაა არასწორი, როცა ერთი ტონა ქვანახშირისა და ერთი ბოთლი არყის ფასი თანასწორია“⁷.

შეიძლება მარტო პოლიტიკური გაფიცვა უწოდო იმას, რასაც 1989 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე ადგილი ჰქონდა სომხეთის მიმართ?

ეს არ ყოფილა წმინდა პოლიტიკური მიზნებისათვის მხოლოდ ეკონომიკური მეთოდების გამოყენება. ბოიკოტსა და საბოტაჟში ტრანსპორტის მუშაკების გარდა მონაწილეობდა მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი. ეს არ ყოფილა გაფიცვა, იგი ისეთი ვითარება იყო, როცა სამეურნეო ქაოსსა და განუკითხაობის სფეროში შევდივართ, როცა ქვეყანას არ შეუძლია მიიღოს არა თუ დაგეგმილი პროდუქტია მეზობელი რესპუბლიკიდან, არამედ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ტრანზიტული ტვირთი. სწორედ ამ საკითხის განხილვის გამო სსრკ უზენაესი საბჭოს სესიაზე 1989 წლის 3 ოქტომბერს დებუტატი სომხეთიდან პროფ. ლ. არუთუნიანი ამბობდა, რომ „გაფიცვა ეს არის მშრომელთა უფლებების დაცვის საშუალება, ბლოკადა კი გამოქვაბულის დროინდელ ადამიანებიდან მომდინარე დემოკრატიის ჩახშობის მეთოდიაო“⁸.

ბევრი დებუტატი მთელი რიგი განვითარებული ქვეყნების მაგალითებიდან გამომდინარე დაჟინებით მოითხოვდა პოლიტიკური გაფიცვების უარყოფას, მაგრამ ავიწყდებოდათ, რომ გაფიცვის აკრძალვა მისგან თავის დაცვას როდი ნიშნავს. ყარაღანდელი მეშახტეები ითხოვდნენ აქტიუბინსკის პოლიგონზე მიწისქვეშა ბირთვული აფეთქებების გაუქმებას. ამას გაფიცვის რომელიმე კონკრეტულ სახეს ვერ მიაწერ. უზენაესი საბჭოს სესიის პერიოდში გაფიცული ვორკუტელი მეშახტეები უარს ამბობდნენ ადმინისტრაციასთან მოლაპარაკებაზე, აცხადებდნენ, რომ მათ გაფიცვას ზოგად პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს და იგი შრომითი დავების იმ ორმხრივი განხილვის ჩარჩოებში ვერ ჩაეტყვა, რაც ახალ მიღებული კანონითაა გათვალისწინებულიო. როცა მოვლენა ასე ხშირია, ყოვლად გაუმართლებელია კითხვა: უნდა იყოს თუ არა პოლიტიკური გაფიცვები. მთავარია, როგორ მოვაწესრიგოთ იგი სამართლებრივი ნორმებით.

უზენაესი საბჭოს სესიაზე, კანონმდებელთა ერთი ნაწილი ცდილობდა გვერდი აეგლო ამ მწვავე საკითხისათვის, მაგრამ მაინც იძულებული გახდნენ. საბოლოოდ ჩაეწერათ კანონში დამოკიდებულება პოლიტიკური გაფიცვების მიმართ. ამ კანონში ერთადერთი პუნქტია მე-12 მუხლისა პოლიტიკური გაფიცვების შესახებ, რომ უკანონოდ ჩაითვლება და არ დიშვება გაფიცვები „საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ძალადური დამხობისა და შეცვლის შესახებ მოთხოვნების, აგრეთვე იმ მოთხოვნების წამოყენებასთან დაკავშირებული მოტივებით, რომლებსაც მოსდევს ეროვნული და

⁷ «Московские новости», 1989, 6 августа.

⁸ Бюллетень совместного заседания Совета Союза и Совета Национальностей; 1989, № 7, с. 35.

რასობრივი თანასწორუფლებიანობის დარღვევა“⁹, მაშასადამე, ისეთი პოლიტიკური გაფიცვები, რომლებიც არ არიან დაკავშირებული აღნიშნულ კურ მოთხოვნებთან და მოტივებთან, დაშვებულია.

1989 წლის 16 აგვისტოს „იზვესტიაში“ გამოქვეყნებულ კანონპროექტში კი აკრძალული პოლიტიკური გაფიცვების უფრო ფართო ცნება იყო გათვალისწინებული, ვინაიდან ზემოთ უკვე ხსენებულს ემატებოდა გაფიცვები „იმ მოტივებით, რომლებიც დაკავშირებულია მოთხოვნებთან, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სსრკ კონსტიტუციას“.

უზენაესი საბჭოს სესიაზე მწვავე დაპირისპირება მოხდა პოლიტიკური გაფიცვების მოწინააღმდეგეებსა და მომხრეებს შორის. ჩვეული ერთსულოვნებით გამოვიდნენ მის წინააღმდეგ ბალტიისპირელი დემუტატები. ისინი კატეგორიული წინააღმდეგი იყვნენ ყოველგვარი პოლიტიკური გაფიცვისა.

რით უნდა აიხსნას ეს?

1989 წლის ზაფხულში დაიწყო ესტონეთში მცხოვრებ რუსულენოვანი მოსახლეობის უმწვავესი პოლიტიკური გაფიცვები, შორს მიმავალი ფართი ძალების შთაგონებით. ამან სერიოზული საფრთხე შეუქმნა პატარა რესპუბლიკის მთელ სახალხო მეურნეობას. კანონი კი, რომელიც აკრძალავდა გაფიცვებს არ არსებობდა. ესტონელმა იურისტებმა გამოსავალი ნახეს თავიანთი რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მიღებულ დადგენილებაში „რესპუბლიკის კანონიერებისა და მართლწესრიგის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“, რომლითაც გაფიცვების შეჩერება უნდა მომხდარიყო. ამას გაკვირვებით შეხვდნენ ცენტრის იურისტები მოსკოვში. ისინი წერდნენ: „ჩვენს მახსოვრობაში ასეთი რამ პირველად ხდება — კანონმდებელი ეყრდნობა არა ჩამოყალიბებულ და დამტკიცებულ საკავშირო კანონს... არამედ მხოლოდ... პროექტს!“

პროექტს, რომელიც მორიგ სესიაზე შეიძლება უარყონ ანდა გადააკეთონ⁹.

რატომ მოხდა ყოველივე ეს?

აქ ესტონელ იურისტებს გარკვეული ინტერესების დაცვისათვის იურიდიული უვიცობა არ გამოუჩენიათ. სინამდვილეში ესტონელები ეყრდნობოდნენ არა პროექტს, არამედ სსრკ უმაღლესი საბჭოს 1989 წლის 2 აგვისტოს დადგენილებას „კოლექტიური შრომითი დავეების გადაწყვეტის წესის შესახებ სსრკ კანონის პროექტის შესახებ“, რომლის მეორე მუხლში სიტყვასიტყვით ჩაწერილია, რომ უზენაესი საბჭო იწონებს წარმოებებიდან მოსულ მთელი რიგი სახალხო დემუტატების წინადადებას, გაფიცვების როგორც კოლექტიური შრომითი დავეების გადაწყვეტის უკიდურესი საშუალების შეჩერებას, ვიდრე მიღებული იქნება და ამოქმედდება სსრკ კანონი ამგვარი დავეების გადაწყვეტის შესახებ“.

როგორც ხედავთ საკავშირო იურიდიული ბაზა ესტონელებს ჰქონდათ, თუმცა ეს ცენტრმა არ მიიღო და ესტონეთის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილება გააუქმა. მაინც უნდა ვთქვათ, რომ ღრმა პოლიტიკური სარჩული ახლდა ესტონეთსა და მოლდავეთში გაფიცვებს ისე როგორც პოლიტიკურ გაფიცვებს სსრკ სხვადასხვა რეგიონებში. მაშასადამე, როგორი უსიამოვნოც არ უნდა იყოს ეს გარემოება, პოლიტიკური გაფიცვები ჩვენში რეალობაა ამგვარი გაფიცვების წინააღმდეგ ბრძოლა მარტო გაბრაზებული,

⁹ Е. Кубанков, К. Сиворцов, А как с правами? «Правда», 1989, 13 августа.

თუნდაც მრისხანე განკარგულებებით არ შეიძლება. ამგვარი გაფიცვები უნდა გამორიცხავდეს არა მარტო წარმოების საბოტაჟს და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას, რომელსაც არც თუ იშვიათად სამეურნეო ანარქია და ქაოსი მოსდევს, არამედ ყოველგვარ არარეალურ მოთხოვნებს, როცა მაგალითად გაფიცვას პირობად უთქვამენ, რომ ვიდრე არ შეგვიქმნით ავტონომიურ რესპუბლიკას, ანდა არ გარდავიქმნით მოკავშირე რესპუბლიკად, მუშაობას არ განვაახლებთო. გაფიცვებთან ხუმრობა არ შეიძლება. გაფიცვა უბრალო ალიაქოთი არაა. საჭიროა საქართველოს რესპუბლიკური კანონმდებლობა გაფიცვების შესახებ, რომელიც მოაწესრიგებდა პოლიტიკურ გაფიცვებსაც, ჩვეულებრივ რომ სცილდება ადმინისტრაციისა და საწარმოო კოლექტივის დავას. გაფიცვის მონაწილეებს კარგად უნდა ესმოდეთ, რომ ეს უფლება მათ აუცილებლობის დროს უნდა გამოიყენონ და არ მიმართონ გაფიცვებს მაშინ, როცა მოთხოვნების გადაწყვეტის უფრო ეფექტური გზაა კრებები, დემონსტრაციები და მიტინგები.

შიში პოლიტიკური მოტივებით გაფიცვების ჩატარებისა ჩვენში დღემდე პანიკურ სახეს იღებდა. უპირველესად ცდილობდნენ გაფიცვების ორგანიზატორებისა და წამქეზებლების გამოვლენას და დასჯას და არა იმ პირობების აღმოფხვრას, რომლებმაც გაფიცვები გამოიწვიეს.

წარსულის ერთი მხვანე სენი ისაა, რომ თითოეული მოწოდება გაფიცვებისაკენ სწორედ ამგვარ პანიკურ დაბნეულობასა და შიშს წარმოშობს სულერთია ვისგანაც არ უნდა მომდინარეობდეს ამგვარი მოწოდება. სულ ახლახან სსრ კავშირის სახალხო დემუტატების მეორე ყრილობაზე დასჯასაც მოითხოვდნენ იმ დემუტატების ა. სახაროვის მეთაურობით, რომლებიც გამოვიდნენ მიმართვით გამაფრთხილებელი გაფიცვების მოწყობის შესახებ. არ კმარა გაფიცვების უზნეობად და ავანტიურად გამოცხადება, უნდა დავდლიოთ წარმოდგენა, რომ აკრძალვით ყველაფრის მიღწევა შეიძლება, მითუმეტეს არ შეიძლება გაფიცვისაკენ მოწოდება თვით აჯანყების მოწოდების დონეზე განვიხილოთ. გაფიცვების ამგვარ შიშს ხელმძღვანელ პირთა სიმხდალესა და კარიერიზმთან შეზავებულს უმძიმესი სოციალური შედეგები შეუძლია გამოიწვიოს. იშვიათი როდია, როცა გაფიცვა არ მომხდარა, მაგრამ წარმოიდგენენ რა სამეურნეო შედეგები შეიძლება მოჰყვეს მას, აბსოლუტურ ბოროტებად გვისახავენ ამ შედეგებს, თუმცა ის ჯერ არ დამდგარა. შორეულ მაგალითებს არ მოვიყვანთ.

1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიაში უკანასკნელი როლი როდი შეასრულა იმ შიშმა, რაც მოჰყვა მოწოდებას საყოველთაო გაფიცვის შესახებ.

სსრკ სახალხო დემუტატთა საბჭოს პირველ ყრილობაზე უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ლუკიანოვი გამარჯვებულის პოზით კითხულობდა თბილისიდან გამოგზავნილი საზარელი დეპეშების დედნებს, რომლებშიც ერთ-ერთ ყველაზე დიდ ბოროტებად სწორედ გაფიცვებისაკენ მოწოდება განიხილებოდა.

1989 წლის 7 აპრილს გაგზავნილი დეპეშა იუწყებოდა: „ექსტრემისტულად განწყობილი ელემენტები... მოუწოდებდნენ გაფიცვებისაკენ“, ხოლო ტრაგედიის შემდეგ, 1989 წლის 9 აპრილს დაწერილ დეპეშაში, რომელიც ცინიზმის, სიმხდალისა და ფალსიფიცირების სამარცხვინო ნარეგია, ნათქვამი იყო: „მომიტინგეები, რომელთა შორის ცოტა არ ყოფლა მთვრალეები, რომლებმაც ნარკოტიკები გამოიყენეს, რესპუბლიკის მთელ მოსახლეობას მოუ-

წოდებდნენ გაფიცებისაკენ, სამოქალაქო დაუმორჩილებლობისაკენ იმათთან ანგარიშსწორებაზე, ვინც მათ არ ეთანხმებოდნენ“.

1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის გამომკვლევე კომისიის სხდომაზე საქართველოს მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ყველაზე დიდ შიშს განსაკუთრებით იმის გამო გამოთქვამდა, რომ მოწოდება გაფიცებისაკენ საფრთხეს უქმნიდა თვით თავდაცვითი, სტრატეგიული მნიშვნელობის სამრეწველო ობიექტებსო, თუმცა მანამდე თბილისში არცერთი ფაბრიკა და ქარხანა გაფიცვის გამო არ გაჩერებულა.

არავითარი საფრთხე გაფიცვების შედეგად მოსალოდნელი დიდი ზარალისა არ შეიძლება გახდეს საფუძველი მოქალაქეთა მიმართ დაშვებული უკანონობის გასამართლებლად.

აუცილებელია გაფიცვის როგორც ცივილისტური ფაქტის იურიდიული შეფასება. გაფიცვის ყველაზე მძიმე შედეგი ჩვეულებრივ ის მატერიალური, ქონებრივი ზიანია, რომელიც მას თან ახლავს. მარტო 1989 წლის 11 თვის განმავლობაში გაფიცვების შედეგად სსრკ-ში 7,5 მილიონი კაცდღე დაიკარგა და სახალხო მეურნეობისაგან არ იქნა მიღებული 2 მილიარდზე მეტი პროდუქცია.

ზარალის ანაზღაურების მექანიზმის გამოყენებას გაფიცვების დროს, მთელი რიგი სპეციფიკური ნიშნები ახლავს.

გაფიცვები ცივილისტური პოზიციებიდან დასავლეთის ქვეყნებში კარგადაა შესწავლილი, სახელდობრ თუ როგორ შეიძლება გაფიცვა ვალდებულების შესრულებისაგან განთავისუფლების ანდა უფრო მეტად შესრულების გადადების პირობად იქცეს. ამიტომ გაფიცვებს განიხილავენ სახელმეკრულებო ურთიერთობის შეუსრულებლობის ანდა არაჯეროვნად შესრულების პირობად, როცა იგი მხარის ბრალის გარეშე ხდება, არ იმყოფებოდა მისი კონტროლის ქვეშ და ყოველთვის არ შეეძლო მისი გათვალისწინება.

აქ ერთ გადახვევას, ალბათ გვაპატიებს მკითხველი. 1985 წლის აპრილში თბილისის უნივერსიტეტში სამოქალაქო სამართლის კათედრის ბაზაზე ჩატარდა სსრკ-სა და გერ-ის იურისტთა სიმპოზიუმში ეკონომიკური თანამშრომლობის სამართლებრივ საკითხებზე. გერმანელი ცივილისტები აღნიშნავდნენ, თუ როგორ უნდა ამსუბუქებდეს პასუხისმგებლობას გაფიცვების გამო სახელმეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობა. ერთ-ერთმა მოსკოველმა სწავლულმა იურისტმა გამარჯვებულის რიხით თქვა:

— გაფიცვები რომ ხდება ეს თქვენი ბრალია, სხვას ნუ აბრალებთ. შექმენით ისეთი საზოგადოება, როგორიც ჩვენშია და გაფიცვები აღარ იქნებაო. დღეს საექვოა იგივე განცხადებინა თავმოწონე იურისტს.

რასაკვირველია გაფიცვა არ არის ის ძალა, რომელზედაც მითითება ავტომატურად მხარეს ვაათავისუფლებდა პასუხისმგებლობისაგან. მეტად მნიშვნელოვანია ახალი კანონის მე-7 მუხლით დადგენილი წესი, რომლის თანახმად მომავალი გაფიცვის შესაძლებლობის შესახებ ადმინისტრაცია დაუყოვნებლივ აფრთხილებს მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს, სატრანსპორტო ორგანიზაციებს, აგრეთვე სხვა დაინტერესებულ საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, ეს აუცილებელია გარდა იმისა, რომ თვითონ ორგანიზაციის ბრალიც შეიძლება იყოს გაფიცვის ფაქტში.

სამოქალაქო სამართლებრივი შედეგების განსაზღვრა უკანონო თუ კანონიერი გაფიცვების დროს მომავალში ნორმატიულად გადასაწყვეტია. სამწუ-

ბაროდ დეკლარაციული მნიშვნელობისა ახალი კანონის ბოლო, მე-15 მუხლი, რომლის მიხედვით სხვა საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ან მოქალაქეებისათვის გაფიცვის შედეგად მიყენებული ზარალი ანაზღაურდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. აქ სრულიად უგულვებელყოფილია ის, რომ ჯერჯერობით ჩვენ არა გვაქვს მოქმედი კანონი, რომელიც გაფიცვის ფაქტის ცივილისტურ შეფასებას მოგვცემდა.

1989 წლის 9 ოქტომბრის კანონი მართლაც არ არის იურიდიული შედეგური, თუმცა იგი პირველი აუცილებელი ნაბიჯია ამ დარგში იურიდიული ნიპილიზმის დაძლევის გზაზე.



ოთარ გაგუჩაძე

„საქართველოს სსრ წითელი წიგნის“ სრულყოფისათვის

ბუნების დაცვის დღევანდელმა რთულმა ვითარებამ წარმოქმნა „წითელი წიგნის“ შემოღების აუცილებლობა. ამჟამად მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მოქმედებს ასეთი წიგნები, რომლებითაც შესაბამისი ქვეყნების ტერიტორიაზე დაცულია ცხოველთა და მცენარეთა იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი სახეობანი. 1963 წელს გამოიცა „საერთაშორისო წითელი წიგნი“, ხოლო 1974 წლიდან მოქმედებს „საბჭოთა კავშირის წითელი წიგნი“.

ანალოგიური წიგნი ჩვენში შეიქმნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 31 ივლისის № 546 დადგენილებით. ამავე დადგენილებით დამტკიცდა „წითელი წიგნის“ დებულება და მასში შეტანილი ცხოველებისა და მცენარეების იშვიათი და გადაშენების პირას მისულ სახეობათა ნუსხა დანართის სახით (პ. პ. 2, 3).

ხსენებული დადგენილებით დაევალა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს 1978 წელს საგამომცემლო გეგმაში შეეტანა „საქართველოს სსრ წითელი წიგნი“ და გამოეცა იგი ხუთი ათასი ცალი ტირაჟით.

ამ დადგენილების საფუძველზე „საბჭოთა საქართველომ“ 1982 წელს მართლაც გამოსცა ხუთათასიანი ტირაჟით ეს წიგნი საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გრიფით. „წითელი წიგნი“ კარგად არის ილუსტრირებული ფერადი ფოტოებით და აღჭურვი-

ლია შესაბამისი რუკებით. ეს წიგნი მისი შემდგენელი კოლექტივის დახმარებით შრომის ნაყოფია და უნდა ვიფიქროთ, რომ ასახავს კიდევ შესაბამის მეცნიერებათა თანამედროვე დონეს. წიგნმა, როგორც მკითხველისათვის ცნობილია, 1985 წლის სახელმწიფო პრემიაც კი მიიღო. ამჟამად, რამდენადაც ეს პრესის მასალებიდან ირკვევა, მზადდება „საქართველოს სსრ წითელი წიგნის“ მეორე გამოცემა. ამიტომ გადავწყვიტეთ, მკითხველისათვის გაგვეზიარებინა ჩვენს მოსაზრებანი იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც „წითელი წიგნის“ 1982 წლის გამოცემაში შეიმჩნევა, რათა მეორე გამოცემა უფრო სრულყოფილი გამოვიდეს.

ვიდრე ჩვენთვის საინტერესო საკითხს უშუალოდ შევხებოდეთ, წინასწარ გვინდა განვაცხადოთ, რომ ჩვენს კომპეტენციაში არ შედის და ამიტომ არც ვაპირებთ წიგნის იმ თვალსაზრისით განხილვას, რომელიც მეცნიერების სხვა დარგის სპეციალისტთა, კერძოდ, ზოოლოგების, ბოტანიკოსების, გეოგრაფების უშუალო შესწავლის საგანია. ჩვენ ამჟამად გვინტერესებს „საქართველოს სსრ წითელი წიგნის“ 1982 წლის გამოცემის იურიდიული მხარე, რადგანაც ეს წიგნი, უპირველეს ყოვლისა, იურიდიული დოკუმენტია, რომელიც შესაბამის მეცნიერულ საფუძველს ემყარება. ამას მიგვანიშნებს თვითონ სახელწოდება „წითელი წიგნი“. წითელი ფერი ხომ საზოგადოდ აკრძალვას გულისხმობს. ამიტომ ამ წიგნში შეტანილი ცხოველისა და მცენარის ამა თუ იმ სახეობის მოპოვება და სხვაგვარი გამოყენება აკრძალული უნდა იყოს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს მიერ. ასეთ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. აი, რას ვკითხულობთ „წითელი წიგნის“ დებულებაში: „საქართველოს სსრ „წითელ წიგნში“ ამა თუ იმ ცხოველებისა და მცენარეების სახეობათა შეტანის შესახებ წინადადებებს იხილავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი და წარუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად“ (პ. 3).

სამწუხაროდ, ეს გარემოება არ გაუთვალისწინებიათ ამ წიგნის 1982 წლის გამოცემის შემდგენლებს და იშვიათი და გადაშენების გზაზე მდგარი ცხოველებისა და მცენარეების ნუსხები, რომლებიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზემოთ დასახელებული დადგენილებით არის დამტკიცებული, თვითნებურად შეუცვლიათ და შემდეგ წიგნში ისე შეუტანიათ, რომ ეს ცვლილებანი წინასწარ მინისტრთა საბჭოსთან აღარ შეუთანხმებიათ, თუმცა ეს მათი პირდაპირი მოვალეობა იყო.

მაგალითად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 31 ივლისის № 546 დადგენილებით დამტკიცებული „წითელი წიგნის“ ნუსხაში შეტანილი იყო გარეულ ცხოველთა 36 სახეობა (12 სახის ძუძუმწოვარი, 19 სახის ფრინველი, 4 სახის ქვეწარმავალი და 1 სახის თევზი). 1982 წელს გამოცემული „წითელი წიგნის“ შესაბამისი ნუსხა კი შეიცავს გარეულ ცხოველთა 65 სახეობას. საქმე ის არის, რომ მთავრობის დადგენილებით დამტკიცებულ ნუსხას არაოფიციალურად აქვს გამოკლებული ორი სახის ცხოველი (ველის კატა და ლელიანის კატა), ხოლო ასევე არაოფიციალურად დაუმატებიათ 31 სახეობის ცხოველი.

გაცილებით უფრო ძლიერ არის შეცვლილი მცენარეთა ნუსხა. მხოლოდ განსხვავება ის არის, რომ, თუ ცხოველთა სახეობების ნუსხა გაზრდილია აქ, პირიქით, მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული მცენარეთა ნუსხა სამჯერ მეტად შეუმცირებიათ შემდგენელებს თავიანთი ინიციატივით,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 31 ივლისის № 546 დადგენილებით დამტკიცებული „წითელი წიგნის“ ნუსხაში ჩამოთვლილია 557 სახის მცენარე, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე გვხვდება, მაშინ, როცა ამ წიგნის შემდგენლებს ეს რაოდენობა თვითნებურად შეუმცირებიათ 161-მდე.

ამაზე შეიძლება გვიპასუხონ, რომ პირვანდელი ნუსხები ნაჩქარევად იყო შედგენილი და წიგნის გამოცემის დროს ისინი კიდევ ერთხელ შემოწმდა და დაზუსტდა. მაგრამ ეს გასამართლებელი საბუთი არ არის, რადგანაც „წითელი წიგნი“ ჩვეულებრივი მეცნიერული ნაშრომი როდია. იგი, როგორც უკვე ვთქვით, იურიდიული დოკუმენტია, რომელიც კრძალავს ნუსხებში შეტანილი გარეული ცხოველებისა და მცენარეების მოპოვებას. მაგალითად, „დებულებაში“ ვკითხულობთ: „საქართველოს სსრ წითელ წიგნში“ შეტანილი იშვიათი და გადაშენების გზაზე მდგარი გარეული ცხოველებისა და მცენარეების ყველა სახეობა ექვემდებარება სახელმწიფო დაცვას“ (პ. 2), ესე იგი, მათი მოპოვება აკრძალულია. ამიტომ ამ ნუსხების ყოველგვარი ცვლილება უნდა მოხდეს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს საგანგებო დადგენილებით.

სწორედ ეს აკრძალვა აძლევს „წითელ წიგნს“ პრაქტიკულ დანიშნულებას, რომლის გარეშე ის ვერ იქნება „წითელი წიგნი“. ეს სახელმძღვანელო უნდა იყოს ყველასათვის, ვინც კი გარეული ცხოველისა და მცენარის მოპოვებას თუ სხვაგვარ გამოყენებას აპირებს. მაგრამ იგი სარეკომენდაციო წიგნი როდია, არამედ ბუნების კოდექსია, ესე იგი, კანონია ამ სიტყვის ფართო გაგებით, საიდანაც ჩვენ უნდა გავიგოთ, რისი უფლება გვაქვს და რისი უფლება არა გვაქვს.

ჩვენდა გასაოცრად „საქართველოს სსრ წითელი წიგნის“ 1982 წლის გამოცემიდან კაცი ვერ მიხვდება, რომელი ცხოველის ან მცენარის მოპოვებაა აკრძალული და რომლის მოპოვება არის ნებადართული. მაგალითად, როგორ უნდა მოიქცეს კაცი, რომელიც გადაშლის ამ წიგნს და კრელტყავას გამო წაიკითხავს: „დასაცავად მიღებული ზომები. საქართველოს ტერიტორიაზე კრელტყავას დასაცავად არავითარი ზომები არ არის მიღებული“, ხოლო დაცვის აუცილებელ ღონისძიებად მიჩნეულია „კრელტყავაზე ნადირობის სრული აკრძალვა“ (გვ. 18). ასევე მოითხოვს „წითელი წიგნი“, რომ აიკრძალოს კავკასიური ფოცხვერის და ამიერკავკასიური ზაზუნას მოპოვება (იხ. გვ. 22, 24), მაშინ, როცა ამ ცხოველის მოპოვება უკვე აიკრძალა მთავრობის 1977 წლის 31 ივლისის № 546 დადგენილებით, რომლითაც ეს წიგნი შეიქმნა.

ასეთსავე ნუსხას ვხედავთ „წითელი წიგნის“ ამ გამოცემაში მცენარეთა მიმართაც. მრავალთაგან დავასახელებ მხოლოდ ორ მაგალითს. ელდარის ფიჭვის გამო აქ ნათქვამია: „დაცვის აუცილებელი ღონისძიებები: სასტიკად (!) უნდა აიკრძალოს ჭრა, საქონლის ძოვება...“ (გვ. 81). ამ ტექსტს მოსდევს სახელგანთქმული ბიჭვინთის ფიჭვის დახასიათება, სადაც ასევე აღნიშნულია: „უნდა აიკრძალოს ჭრა და ძოვება ამ ფიჭვის გავრცელების მთელ ტერიტორიაზე...“ (გვ. 82). კითხულობ ამ სტრიქონებს და არ გინდა დაიჯერო, რომ „საქართველოს სსრ წითელი წიგნის“ 1982 წლის გამოცემის შემდგენლები არც ამ წიგნის დებულებას გასცნობიან და არც მთავრობის ზემოთ დასახელებული დადგენილებით დამტკიცებულ ნუსხას, რომლითაც ელდარის ფიჭვის და ბიჭვინთის ფიჭვის მოჭრა კარგა ხანია აკრძალულია.



რა უნდა მოვთხოვოთ ამის შემდეგ რიგით მკითხველს, მაშინ, როცა „წითელი წიგნის“ შემდგენლებსაც კი არ სცოდნიათ, რომელი სახეობის ცხოველის მოპოვება და ხის მოჭრა არის აკრძალული და რომლის არა. მკითხველმა ხომ შეიძლება ავტორიტეტადაც კი წარმოიდგინოს ეს წიგნი და იფიქროს, რომ, რაზან ამა და ამ ცხოველის ან მცენარის ხელის ხლება ჯერ კიდევ არ არის აკრძალული, გადაწყვიტოს მათი მოპოვება. ასე, რომ ამ წიგნის პრაქტიკული გამოყენება, ვიდრე ეს შეცდომები არ გასწორებულა, ყოვლად შეუძლებელია.

„წითელი წიგნის“ 1982 წლის გამოცემაში ამა თუ იმ ცხოველისა და მცენარის თანამედროვე მდგომარეობის ამსახველი ცალკეული მონაცემები ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებს შეიცავს, რაც შემდეგ გამოცემაში ასევე უცილობლად უნდა შესწორდეს. მაგალითად, ძელქვის გამო ამ წიგნში ნათქვამია: „არის თუ არა დაცული. შეტანილია „საბჭოთა კავშირის წითელ წიგნში“, დაცულია აჯამეთის ნაკრძალსა და ბაბანეურში“ (გვ. 151). აქ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებაა მოცემული: 1) რაზან ძელქვა შეტანილია „საბჭოთა კავშირის წითელ წიგნში“, ცხადია, მისი მოჭრა აკრძალული უნდა იყოს მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და 2) საქართველოში ძელქვა, თურმე ნუ იტყვიოთ, დაცული ყოფილა მხოლოდ აჯამეთისა და ბაბანეურის ნაკრძალებში, თითქოს საქართველოს დანარჩენი ტერიტორია, სადაც იმავე „წითელი წიგნის“ ცნობით, ძელქვა გავრცელებული (სამეგრელო (სენაკი), იმერეთი, აჯამეთის გარდა (ყვირილა, წყალ-წითელა, რიონი, შორაპანი), გურია (საჯავახო) და სხვ.) საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ ყოფილიყოს მოქცეული.

კიდევ მეტიც. მომდევნო აბზაცში ძელქვის მიმართ ისეთი აზრია გამოთქმული, რომელიც ყოველივე ზემოთქმულს თავდაყირა აყენებს. აქ ვკითხულობთ: „დაცვის აუცილებელი ღონისძიებები. კატეგორიულად (!) უნდა აიკრძალოს ჭრა... (იქვე). კი მაგრამ, თუ ეს მცენარე შეტანილია „საბჭოთა კავშირის წითელ წიგნში“, მაშინ მისი მოჭრაც აკრძალული ყოფილა და რომელ „კატეგორიულ“ (თითქოს არაკატეგორიული აკრძალვაც არსებობდეს) აკრძალვაზე შეიძლება ამის შემდეგ ლაპარაკი?! წიგნის შემდგენლებს ამასობაში მხედველობიდან გამორჩენიათ უმთავრესი, კერძოდ, ის, რომ ძელქვის მოჭრა აკრძალულია საქართველოს სსრ-მინისტრთა საბჭოს ზემოთ არაერთხელ მითითებული დადგენილებით.

არ იფიქრო მკითხველო, თითქოს ეს წინააღმდეგობრივი აზრები წიგნში მხოლოდ ძელქვას შეეხებოდეს. მსგავს სურათს ვხედავთ ცხოველთა და მცენარეთა სხვა სახეობების მიმართაც (იხ. მაგალითად პონტოს მუხა, გვ. 120-121, კაკალი, გვ. 125, ლაფანი; გვ. 125—126 და ა. შ.). „წითელი წიგნის“ ხსენებული ტექსტები სხვა მხრივაც საკიროებენ დახვეწას, რაზედაც აქ, უადგილობის გამო, აღარაფერს ვიტყვი.

დავგრჩა განსახილველი კიდევ ერთი პრინციპული საკითხი. „საქართველოს სსრ წითელი წიგნის“ 1982 წლის გამოცემაში დამატებით შეტანილია ცოცხალი და არაორგანული ბუნების ძეგლები (დიდხნოვანი ხეები, გეოლოგიურ-გეომორფოლოგიური და ჰიდროგრაფიული ძეგლები). როგორც წინასიტყვაობიდან ირკვევა, ანალოგიური ძეგლები, გარდა „საქართველოს სსრ წითელი წიგნისა“, მსოფლიოს არცერთი სხვა ქვეყნის „წითელ წიგნში“ არ ყოფილა შეტანილი. რამდენად მისაღებია ეს სიახლე, რომელიც, იმავე წინასიტყვაობის ცნობით, საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწი-

ყო კომიტეტის თაოსნობით ყოფილა შემოტანილი „საქართველოს სსრ წითელი წიგნი“ 1982 წლის გამოცემაში?

პირდაპირ უნდა ვთქვა, რომ აღნიშნული ძეგლები ამ წიგნში მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული დებულების დარღვევის ხარჯზეა შემოტანილი და ამიტომ მომავალ გამოცემაში, რამდენად უცნაურადაც არ უნდა მოეჩვენოს ეს აზრი ვინმეს, ისინი აღარ უნდა შევიდეს. დებულებაში ხომ გარკვევით წერია: „საქართველოს სსრ წითელ წიგნში“ შეიტანება რესპუბლიკაში გავრცელებული იშვიათი და გადაშენების გზაზე მდგარი ცხოველებისა და მცენარეების სახეობები...“ (პ. 1).

„წითელი წიგნი“ 1982 წლის გამოცემის შემდგენელთა განცხადება, რომ ფლორასა და ფაუნასთან ერთად ჩვენი ბუნების უნიკალურ ძეგლებს არანაკლები დაცვა და გაფრთხილება ესაჭიროება (იხ. წინასიტყვაობა), ვერ გაამართლებს მათ პოზიციას. ასე რომ გავყვეთ და ყველაფერი, რასაც დაცვა და გაფრთხილება ესაჭიროება, „წითელ წიგნში“ შევიტანოთ, მაშინ ეს წიგნი დაკარგავს თავის ფუნქციას და ისე გაიბერება რომ მისი გამოყენება შეუძლებელი გახდება. დღეს უკვე გაისმის ხმები: „წითელ წიგნში“ შესატანი მარტო არაორგანული ბუნების ძეგლებიც კი იმდენად ბევრი გროვდება, რომ ამ წიგნის მეორე გამოცემა ერთ ტომში ვეღარ მოთავსდება (იხ. „საქართველოს ბუნების დაცვა“, კრებული, XIII, 1985, გვ. 115). ასევე ბევრი დაგროვდება ალბათ ცოცხალი ბუნების ძეგლებიც... ხვალ შეიძლება დადგეს „წითელ წიგნში“ ნაკრძალების და ბუნების სხვა ობიექტების შეტანის საკითხიც... როგორც ჩანს, ეს არც ისე იოლად გადასაწყვეტი საკითხია.

ჩვენი „წითელი წიგნი“ შემდგენლებს ამაოდ ჰგონიათ, რომ ამ სიახლით წინ გაუსწრეს სხვა ენებზე გამოცემული „წითელი წიგნების“ შემდგენლებს, რომლებიც ამ წიგნებში მხოლოდ ცხოველთა და მცენარეთა სახეობების შეტანით შემოიფარგლნენ და ბუნების სხვა კომპონენტების შეტანაზე არც უფიქრიათ.

მაგრამ მთავარი ეს როდია. მთავარი აქ ის არის, რომ ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების ძეგლების შეტანა „წითელ წიგნში“ ამ წიგნის ბუნებას, მის არსს ეწინააღმდეგება, ეს ძეგლები, როგორც ვიცით, ინდივიდუური ნიშნებით განსაზღვრული საგნებია. მაგალითად, რიწის ტბა, სათაფლია თუ „ხე პატრიარქად“ წოდებული 1800 წლის უთხოვარი, რომელიც ბაწარას სახელმწიფო ნაკრძალში დგას, განუუმეორებელია და სხვა ასეთი საგანი დედამიწის ზურგზე არ არსებობს.

მთავრობის მიერ დამტკიცებული დებულების თანახმად კი „წითელ წიგნში“ უნდა შევიდეს იშვიათი და გადაშენების პირას მდგარი გარეული ცხოველებისა და მცენარეების სახეობანი, რომლებიც ინდივიდუური კი არა, გვაროვნული ნიშნებით არიან განსაზღვრული. „წითელი წიგნი“ კონკრეტულად ამ ნიაშორს, ამ ირემს ან უთხოვარის ამა თუ იმ ძირს კი არ იცავს, არამედ ნიაშორის სახეობას საერთოდ, კავკასიური ირმის სახეობას საერთოდ, უთხოვარის სახეობას საერთოდ და ა. შ.

რიწის ტბა ერთადერთია და განუუმეორებელი, იგი ან არის ან არ არის, ხოლო ამა თუ იმ ცხოველის ან მცენარის სახეობა რიცხობრივი თვალსაზრისით მერყეობს, მოძრავია. ეს სახეობა ან მატულობს რიცხობრივად ან კლებულობს, მცირდება. ამიტომ ხვალ-ზეგ ცხოველთა და მცენარეთა ამა თუ იმ სახეობამ რაოდენობრივად შეიძლება ისე მოიმატოს, რომ საჭირო გახდეს მისი ამოღება „წითელი წიგნიდან“. სწორედ ამიტომ ჩაიწერა დებუ-

ლებაში: „ცხოველების ან მცენარეების ის სახეობები, რომლებიც „საქართველოს სსრ წითელ წიგნში“ შეტანის შემდეგ აღსდგნენ ან გადაშენდნენ რესპუბლიკის ტერიტორიიდან, ამოირიცხება „საქართველოს სსრ წითელი წიგნიდან“ (პ. 5). მაგრამ არასოდეს არ დადგება ალბათ ეს საკითხი იმავე რიწის ტბის მიმართ, რომლის არც მოცულობა, არც რაოდენობა არ იცვლება და მისი ხელყოფის საფრთხეც არ გაივლის, ვიდრე ადამიანის მავნე ზემოქმედება ბუნებაზე გაგრძელდება.

როგორც ვხედავთ, „საქართველოს სსრ წითელი წიგნის“ 1982 წლის გამოცემის შემდგენლებს ამ წიგნში ისეთი საგნები შეუტანიათ, რომლებიც სხვადასხვა ბუნებისა არიან და ამის გამო სხვადასხვა სამართლებრივ რეჟიმს უნდა ექვემდებარებოდნენ. ამით მე სულაც არ მინდა დავამცირო ამ წიგნში შეტანილი ცოცხალი და მკვდარი ბუნების ძეგლთა მნიშვნელობა და მოვითხოვო მათი დაცვის შესუსტება. მე ვამტკიცებ მხოლოდ იმას, რომ ამ ძეგლების შეტანა „წითელ წიგნში“ გამართლებული არ არის არც იურიდიულად (დებულებით) და არც არსებითად. ეს ძეგლები ცალკე ღირებულების სახით შეიძლება გამოიცეს და ეცნობოს საზოგადოებას მათი დაცვის აუცილებლობა.

რაც შეეხება „საქართველოს სსრ წითელი წიგნის“ მომავალ, მეორე გამოცემას, ის ზუსტად დებულების მიხედვით უნდა მომზადდეს. „წითელი წიგნი“, ჩემი აზრით, ისევე უნდა გამოიცეს, როგორც ჩვეულებრივი ნორმატიული აქტი. მე უკვე ვწერდი („მნათობი“, 1985, № 6), რომ ეს წიგნი უნდა იხსნებოდეს მთავრობის იმ დადგენილებით, რომლითაც იგი შეიქმნა. ამას უნდა მოჰყვეს „საქართველოს სსრ წითელი წიგნის“ დებულება და ამ წიგნში შემავალი ცხოველებისა და მცენარეების სახეობათა ნუსხები, რომლებიც მთავრობის შესაბამისი დადგენილებით იქნება დამტკიცებული. დარწმუნებული ვარ, რომ მხოლოდ ამ სახით გამოცემულ „წითელ წიგნს“ შეუძლია შეასრულოს თავისი პრაქტიკული დანიშნულება და მოემსახუროს ჩვენი ფაუნისა და ფლორის დაცვის დიდმნიშვნელოვან საქმეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოში

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის

დადგენილება

სასამართლოების მიერ საბინაო დავათა განხილვისას კანონმდებლობის
 გამოყენების ზოგიერთი საკითხის შესახებ

მოქალაქეთა კონსტიტუციით გარანტირებული ბინის უფლება უზრუნველყოფილია სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის განვითარებით და დაცვით, ბინების მშენებლობის პროგრამის განხორციელებით.

საბინაო ფონდის სწორი და სამართლიანი განაწილება, მისი ჭეროვნად გამოყენება და მოვლა-პატრონობა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი ამაღლების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა.

მოქალაქეთა, აგრეთვე კომუნალური ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების საბინაო უფლებათა დაცვაში დიდი მნიშვნელობა აქვს სასამართლოების მიერ საბინაო კანონმდებლობის განუხრელად დაცვას.

ბოლო დროს მიღებულია არაერთი საკანონმდებლო აქტი საბინაო სამართლებრივი ურთიერთობის სფეროში, რამაც ზოგიერთი საკითხის განმარტების საჭიროება წარმოშვა.

ამ მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი
ადგენს:

1. განმარტოს სასამართლოებს, რომ სასარჩელო განცხადების მიღების დროს აუცილებელია სასამართლო ქვემდებარეობის საკითხის შემოწმება.

ამასთან მხედველობაშია მისაღები, რომ

ა) სასამართლოს ქვემდებარეა დავები:

— საცხოვრებელ სადგომზე გაცემული ორდერისა და საცხოვრებელ სადგომზე ქირავნობის ხელშეკრულების ბათილად ცნობისა (საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 58-ე მუხლი); ქირავნობის ხელშეკრულების შეცვლისა (საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 99-ე მუხლი); საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 102-ე, 103-ე, 104-ე, 105-ე, 107-ე მუხლებისა და 109-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლებით გამოსახლე-

ბისა. სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომიდან გამოსახლებისა (საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 116-ე მუხლი); დაეები საცხოვრებელი სადგომის მიცემისა იმ საფუძვლებით, რომლებიც გამომდინარეობს სამოქალაქო სამართლებრივ ვალდებულებებიდან (სახლის აღებასთან, კაპიტალური რემონტის ჩატარებასთან, სახლის არასაცხოვრებლად გადაკეთებასთან და ა. შ. დაკავშირებით); დაეები საცხოვრებელი სადგომის გამოყოფისა იმ სახლებში, რომლებიც აშენებულია საწარმოს მუშაკებისა და მათი ოჯახის წევრთა მონაწილეობით (საცხოვრებელი სადგომის მიცემის პირობით სადგომის მშენებლობაში მონაწილეობის შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად);

— დამქირაველისათვის გათავისუფლებული იზოლირებული საცხოვრებელი სადგომის მიცემისა იმ ბინაში, სადაც იგი ცხოვრობს, თუ სათანადო ორგანომ უარი უთხრა მას საცხოვრებელი სადგომის მიცემაზე ან ამ სადგომზე ორდერი მიეცა სხვა პირს (საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 56-ე მუხლი);

— საცხოვრებელი სადგომის გადაკეთებასა და დაგეგმარებისა, როდესაც ამის წინააღმდეგია გამქირავებელი, დამქირავებელი ან მისი ოჯახის წევრები, თუ ამაზე არის სახალხო დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის ნებართვა (საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 93-ე მუხლი);

— საერთო საცხოვრებელიდან პირების გამოსახლებისა, რომელიც მათ მიეცათ მუშაობის ან სწავლების გამო (საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 120-ე მუხლი), აგრეთვე დაეები იმ პირთა გამოსახლებისა, რომელნიც შესახლდნენ საერთო საცხოვრებელში სხვა საფუძვლებით;

— სამოქალაქო სამართლებრივი ვალდებულებების შესრულებიდან გამომდინარე იმ სახლში საცხოვრებელი სადგომის მიცემისა, რომელიც აშენებულია საწარმოს მუშაკებისა და მათი ოჯახის წევრთა მონაწილეობით.

ბ) სასამართლოს არ ექვემდებარება დაეები:

— კაპიტალური რემონტის დროს დამქირაველისათვის სხვა კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სადგომის მუდმივად მიცემისა. ამ შემთხვევაში საცხოვრებელი სადგომის მუდმივად მიცემა შეიძლება მხოლოდ დამქირავებლის, დამქირავებლის და მისი ოჯახის წევრების თანხმობით (საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 94-ე მუხლის მეხუთე ნაწილი);

— სახალხო დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის ან დამქირავებლის მიმართ (საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 93-ე მუხლი) დამქირავებლისათვის მის მიერ დაკავებული საცხოვრებელ და დამხმარე სათავსოების გადაკეთებასა და დაგეგმარებაზე ნებართვის მიცემისა.

— დამქირავებლის მოთხოვნა ამავე ბინაში მცხოვრებ სხვა დამქირავებლის საცხოვრებელ სადგომზე უფლებადაკარგულად ცნობის შესახებ დადგენილ ვადაზე ზევით მისი არყოფნის გამო (საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 69-ე მუხლი). რამდენადაც ასეთ ცნობას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ იმ პირთა განცხადებით, რომლებიც დაკავშირებულნი არიან პირთა ქირავნობის ერთიანი ხელშეკრულებით, მათ შორის აგრეთვე დამქირავებელთან, როგორც ხელშეკრულებაში მონაწილე მხარესთან.

— დაეები იმ პირთა გამოსახლებისა, რომელთა გამოსახლება საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 101-ე მუხლის თანახმად უნდა გადაწყდეს აღმინისტრაციული წესით.

2. კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით სხვა კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სადგომის ან სხვა საცხოვრებელი სადგომის მიცემით მო-

ქალაქთა გამოსახლების შესახებ სასარჩელო განცხადების მიღებისას მოსამართლე ვალდებულია, შეამოწმოს არის თუ არა განცხადებაში მითითებული თავისუფალი საცხოვრებელი სადგომი, რომელიც უნდა მიეცეს გამოსახლებულს. თუ ეს მითითებული არ არის, სასამართლოს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 137-ე მუხლის შესაბამისად გამოაქვს განჩინება, რომ სასარჩელო განცხადებას არ მიეცეს მსვლელობა. რასაც აცნობებს მოსარჩელეს და მისცემს მას ვადას ხარვეზის შესავსებად. დანიშნულ ვადაში ამ მოთხოვნის შეუსრულებლობისას განცხადებას მსვლელობა აღარ ეძლევა და მოსარჩელეს უბრუნდება.

3. საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის მე-60 მუხლის შესაბამისად საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაცია როგორც გამჭირავებელი, შეიძლება იყოს მხარე საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე დაეებისა (მაგალითად, დაეები ბინის ქირის ოდენობის შესახებ, საცხოვრებელი სადგომის კეთილმოწყობის, ობიექტების დაზიანებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ და ა. შ.)

იმ შემთხვევაში, როდესაც საკითხის გადაწყვეტა განეკუთვნება საბინაო ფონდის მმართველობის განმხორციელებელ ორგანოთა კომპეტენციის (საცხოვრებელი სადგომის მიცემა, მათი გაცვლა, დაჯავშნა და ა. შ.) მხარედ შეიძლება იყოს მხოლოდ ეს ორგანო.

4. სასამართლოები ვალდებული არიან ფართობზე უფლებდაკარგულად ცნობის საფუძველით მოპასუხის გამოსახლების შემთხვევაში გამოითხოვოს დოკუმენტი, რომ მოსარჩელეს უფლება აქვს წარადგინოს სარჩელი გამოსახლების თაობაზე იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის მე-19 მუხლიდან გამომდინარე ბინიდან გასახლების მოთხოვნის უფლება აქვს იმ პირს, ვისაც აქვს საბინაო ფონდის გამგებლობის უფლება.

5. სასამართლოებმა ფართობზე უფლებდაკარგულად ცნობის თაობაზე სარჩელების განხილვის დროს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 11-52 მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით უნდა გამოითხოვონ მტკიცებულებანი, რომელნიც ადასტურებენ დამჭირავებლის სადაო ბინიდან წასვლის დროს და ხანგრძლივობას, კერძოდ, საბინაო წიგნიდან ამონაწერი, აქტები, წერილები, ცნობები საბინაო-საექსპლუატაციო კანტორიდან, სასწავლო დაწესებულებიდან, სამხედრო კომისარიატიდან, სამედიცინო დაწესებულებიდან, კავშირგაბმულობის განყოფილებიდან და სხვა.

მხარეთა და პროცესის სხვა მონაწილეთა მიერ ურთიერთ საწინააღმდეგო დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში სასამართლომ უნდა გამოითხოვოს ამ დოკუმენტების გამკეში დაწესებულებებიდან ცნობა მათი გაცემის საფუძველის შესახებ, საჭიროების შემთხვევაში დაკითხოს დოკუმენტების გამკეში პირები ან გაარკვიოს მათი გაცემის საფუძველი.

მოპასუხე, როდესაც ბინაში არ ცხოვრებს ხსნის იმით, რომ ბინით სარგებლობის უფლებას არ აძლევდნენ, სასამართლომ უნდა გამოითხოვოს სახლმმართველობის აქტი, მოპასუხის განცხადებები, რომლებითაც მან მიმართა სათანადო ორგანოებს, ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან სხეულის დაზიანების თაობაზე და სხვა დოკუმენტები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მოპასუხეს ზღუდავდნენ ესარგებლა სადაო ფართობით.

ამასთანავე სასამართლომ უნდა შეამოწმოს რომ არ ენახება ბინიდან დროებით გასულ პირს უფლება საცხოვრებელ ფართობზე საქართველოს სსრ

საბინაო კოდექსის 69-ე მუხლით გათვალისწინებული საშელდავითო ბის გამო.

6. სასამართლოების ყურადღება მიექცეს იმას, რომ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 149-ე მუხლის შესაბამისად ბინიდან გამოსახლებისა და საცხოვრებელი ფართობის გამოყოფის თაობაზე საქმეების სასამართლო გარჩევისათვის მომზადებისას მოსამართლე ვალდებულია, გამოითხოვოს მტკიცებულებანი იმ პირებზე, რომლებიც დამქირავებელთან თანაბარი უფლებებით სარგებლობენ და ეკისრებათ ქირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა მოვალეობა (საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 62-ე მუხლი) და სხვ.

დამქირავებლის ოჯახის წევრებს განეკუთვნებიან მასთან მუდმივად მცხოვრები მეუღლე, მათი მშობლები. სხვა პირები იმ შემთხვევაში შეიძლება ცნობილი იქნეს მისი ოჯახის წევრებად, თუ ისინი დამქირავებლის და მისი ოჯახის წევრების ნათესავებია ან დამქირავებლის კმაყოფაზეა შრომის უუნარობის გამო. ამ შემთხვევებში აუცილებელია დამქირავებელთან მუდმივად ცხოვრება და მასთან საერთო მეურნეობის წარმოება (ერთიანი ბიუჯეტი, საერთო საოჯახო ინტერესები, ურთიერთდახმარება; ურთიერთზრუნვა და ა. შ.).

7. სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად დამქირავებელს უფლება აქვს დადგენილი წესით, მასთან ერთად მცხოვრები ოჯახის წევრების თანხმობით ჩასახლოს თავისი მეუღლე, შვილები, მშობლები, სხვა ნათესავეები და შრომისუუნარო კმაყოფაზე მყოფი პირები საცხოვრებელ სადგომში, რომელიც მას უკავია.

დადგენილი წესით ჩასახლებად ითვლება, როგორც წესი, ბინაში შესახლება სათანადო ჩაწერით. ამავე დროს სასამართლოს შეუძლია ცნოს ბინაში შესახლებული პირის უფლება ბინის ფართობზე, როდესაც ამ პირს ჩაწერაზე უსაფუძვლოდ ეთქვა უარი. ბინის ფართობზე უფლების ცნობის საკითხის გადაწყვეტის დროს ყურადსაღები გარემოებაა შესახლებული პირის სხვა ბინით უზრუნველყოფის საკითხი, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს საქმის განხილვის დროს.

შესახლებაზე ოჯახის წევრთა თანხმობა შეასძლებელია გამოიხატოს ამ პირის ბინაში ხანგრძლივი დროით ცხოვრებით დამქირავებლისა და ოჯახის წევრთა წინააღმდეგობის გარეშე.

8. სასამართლომ შეიძლება ცნოს სადგომზე იმ პირის დამოუკიდებელი უფლება, რომელიც რეგისტრირებულ ქორწინებაში არ არის დამქირავებელთან ან მისი ოჯახის წევრთან მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეს პირი სადაო ბინაში შესახლდა ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრის თანხმობით დამქირავებელთან ან მისი ოჯახის წევრთან საქორწინო საოჯახო ურთიერთობის დამყარების მიზნით და არა ქვემოქირავნის ან დროებითი მდგმურის უფლებით. ამავე დროს ამ პირს არ უნდა ჰქონდეს უფლება სხვა საცხოვრებელ სადგომზე, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს აგრეთვე საქმის სხვა კონკრეტული გარემოებანი (შვილები, ერთად ცხოვრების ხანგრძლივობა და სხვ.)

9. როდესაც დავა ენება ბინის გაცვლას იმ პირებთან, რომელთა მოქმედების გამო შექმნილია გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის მათ ერთ ბინაში ან სახლში ერთად ცხოვრებას (საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 109-ე მუხლის მეორე ნაწილი) სასამართლომ უნდა გამოითხოვოს:

მტკიცებულებანი ერთად ცხოვრების შეუძლებლობის შესახებ (სათანადო

კომისიის აქტი, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა ან ცნობა (სამკურნალო დაწესებულებებიდან მოსარჩელის დაზიანების შესახებ) და სხვა მასალები, რაც ადასტურებს მოპასუხეთა მხრივ სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების სისტემატურ დარღვევას.

მილიციის და პროკურატურის ოქმები, სასამართლო განაჩენის და გადაწყვეტილების, აგრეთვე ამხანაგური სასამართლოს და საზოგადოებრივი ორგანიზაციების გადაწყვეტილების ასლი, რომლებიც მიუთითებენ, რომ მოპასუხის მიმართ ადრე მიღებული იყო ზემოქმედების ზომა.

ბინის გაცვლის შესახებ მოსარჩელის და მესამე პირის განცხადება. ამონაწერი პირადი ბარათებიდან, რომლებიც მოიცავენ ცნობებს დამქირაველების, მათი ოჯახის წევრების და ბინის ფართობის შესახებ.

გასაცვლელი ბინის ვარიანტები (ბინების გეგმა-ნახაზი, გასაცვლელი ბინის ვარგისიანობის დავის შეთხვევაში სანიტარული დაწესებულების დასკვნა).

ამ კატეგორიის საქმეთა განხილვის დროს სასამართლომ უნდა გამოარკვეოს მოპასუხის ბრალეულობის ფაქტი იმის შესახებ, რომ მოპასუხის მოქმედების გამო შეუძლებელია ერთად ცხოვრება, გაცვლის იმ ვარიანტზე, რომელიც წარმოდგენილია დაინტერესებული პირის მიერ მესამე პირების და საბინაო ორგანოს თანხმობა.

გაცვლის საქმეთა განხილვის დროს სასამართლომ საქმეში, როგორც მესამე პირი მოსარჩელის მხარეს, უნდა ჩააბას იმ ბინის დამქირაველები და მისი სრულწლოვანი ოჯახის წევრები, რომელთანაც გაცვლა უნდა მოხდეს.

10. სასამართლოებმა საცხოვრებელი ფართობის გაყოფის საქმეთა განხილვის დროს უნდა გამოითხოვონ:

ამონაწერი საბინაო წიგნიდან და პირადი ბარათიდან.

ბინის გეგმა თითოეული ოთახის ფართობის ჩვენებით.

საბინაო-საექსპლოატაციო კანტორიდან ცნობა იმის შესახებ, რომ დამქირაველებმა უარი განაცხადა ცალკე ქირავნობის ხელშეკრულების დადებაზე.

ცნობები მოსარჩელის შრომის ხელფასის, სტიპენდიის, პენსიის და სხვა შემოსავლის ოდენობის შესახებ.

თუ ბინის გეგმა არ იძლევა გარკვეულ შესაძლებლობას ფართობის იზოლირებულად გამოყოფის შესახებ, მოსამართლეს საქმის განსახილველად დანიშნამდე ერთპიროვნულად შეუძლია დანიშნოს ექსპერტიზა ფართობის გამოყოფის ტექნიკური შესაძლებლობის შესახებ. მოახდინოს ადგილობრივი დათვალიერება, გამოითხოვოს ცნობა სანინსპექციიდან ბინის ვარგისიანობის შესახებ.

11. საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 62-ე მუხლის მიხედვით დამქირაველის ოჯახის წევრები, რომლებიც მასთან ერთად ცხოვრობენ, დამქირაველის თანაბრად სარგებლობენ ყველა უფლებით და ეკისრებათ საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა მოვალეობა. ეს წესი ვრცელდება დამქირაველის ოჯახის ყოფილ წევრებზეც, რომლებიც განაგრძობენ ამავე სადგომში ცხოვრებას. დამქირაველის ოჯახის ყოფილი წევრების მიერ სადგომიდან ფართობის გამოყოფის დავების განხილვისას — სასამართლოებს, ყველა ცალკეულ შემთხვევაში კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით შეუძლია გადაუხვიოს ფართობით სარგებლობის თანაბრობის პრინციპს თუ სადგომიდან შესაძლებელია გამოიყოს დამოუკიდებელი იზოლირებული ფართობი ოჯახის თითოეულ წევ-

რზე, საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 48-ე მუხლით დადგენილ ნორმის ფარგლებში. მითუქმეტეს თუ ფართობის თანაბრად გაყოფა შეუძლებელია მისი გადაკეთებისა და გადაგეგმარების გარეშე.

ამავე დროს მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 61-ე მუხლის მიხედვით ქირავნობის ხელშეკრულების დამოუკიდებელი საგანი შეიძლება იყოს ამავე კოდექსის 48-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი საცხოვრებელი სადგომის მისაცემი ნორმის, ე. ი. 9 კვ. მ. ფართობის სადგომიც. ამის გამო არ შეიძლება სარჩელის უარყოფა იმ საფუძვლით, რომ დადგენილი ნორმის ფარგლებში ფართობის გამოყოფა შეუძლებელია ფართობის სიმცირის ან სხვა გარემოებათა გამო (ტექნიკური პირობები, ან სხვა ყურადსაღები გარემოებები).

12. საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 63-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით ამ მუხლის შესაბამისად საცხოვრებელ სადგომში ჩასახლებული პირნი იძენენ ოჯახის ყველა დანარჩენი წევრის თანაბრად საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლებას, თუ ჩასახლებისას არ ყოფილა სადგომით სარგებლობის სხვა შეთანხმება დამქირავებელთან და მათთან ერთად მცხოვრებ ოჯახის წევრებთან. ამის გამო სასამართლო მოვალეა საფუძვლიანად შეამოწმოს არსებობდა თუ არა ასეთი შეთანხმება (მაგალითად: რომ ახლად დაქორწინებულები დამოუკიდებლად ისარგებლებენ ბინის რომელიმე ოთახით და სხვა). ეს გარემოება სასამართლოს უფლებას აძლევს გადაუხვიოს ბინის სარგებლობის თანაბრობის წესს და ფართობის გაყოფის დავა გადაწყვიტოს შეთანხმების მიხედვით.

13. საცხოვრებელი ფართობის გაყოფის თაობაზე სარჩელის განხილვისას ოჯახის წევრის უფლება დამატებით ფართობზე მხედველობაში მიიღება თუ ამ წევრის უფლება დამატებით ფართობზე გათვალისწინებული იყო ბინის განაწილების დროს. ასეთ შემთხვევაში დამატებითი ფართობი გასაყოფი ფართობის საერთო ოდენობაში არ შეიტანება.

14. სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ისეთი საბინაო დავების განხილვის დროს, როგორცაა ფართობზე უფლებდაკარგულად ცნობა, გამოსახლება, გაცვლა, ორდერის ბათილად ცნობა და გამოსახლება, ბინაში შესახლება, აუცილებლად უნდა ჩაებან ის პირები, რომელთა უფლებებსაც შესაძლოა შეეხოს აღძრული დავის გადაწყვეტა, კერძოდ: დამქირავებლის ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრი, რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის ბინის გაცვლის შემთხვევაში ის პირები ვის ბინაზედაც გაცვლა უნდა მოხდეს, ორგანიზაცია ან დაწესებულება ვის გამგებლობაშიც სადაო ბინის ფონდია და სხვა.

სასამართლომ უნდა მოისმინოს ამ პირთა, მათ წარმომადგენელთა ან რწმუნებულთა ახსნა-განმარტებები. კანონის მოთხოვნის ამ წესის დარღვევა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 320-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გადაწყვეტილების გაუქმების უდაო საფუძველია.

15. სასამართლოებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ საბინაო კანონმდებლობის დარღვევას და დავათა წარმოშობის მიზეზების დადგენას, ყველა საჭირო შემთხვევაში რეაგირება მოახდინონ კერძო განჩინებებით და ამ განჩინებებზე კონტროლით გაარკვიონ თუ რა ზომები იქნა მიღებული წარმოება-დაწესებულებების, უწყებების, სახალხო დეპუტატთა რაიონული

და საქალაქო საბჭოების ცალკეულ თანამდებობის პირთა მიერ საბინაო კანონმდებლობის დარღვევის აღმოფხვრისათვის.

16. საქმეების საკასაციო და ზედამხედველობის წესით განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცევს ქვემდგომი სასამართლოების მიერ ამ კატეგორიის საქმეთა გარჩევისას დაშვებულ შეცდომებს და არც ერთი შეცდომა არ დარჩეს რეაგირების გარეშე. გაირკვეს სასამართლომ მიიღო თუ არა ზომები საბინაო დავების წარმომშობი მიზეზების გამოსავლინებლად და აღსაკვეთად.

17. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიას, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ უმაღლეს სასამართლოებს, სამხრეთ ოსეთის საოლქო სასამართლოს, თბილისის საქალაქო სასამართლოს, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო სასამართლოებს, სისტემატურად განაზოგადონ საბინაო საქმეთა განხილვის სასამართლო პრაქტიკა და განახორციელონ ღონისძიებანი საბინაო დავების წარმომშობი მიზეზების აღსაკვეთად.

18. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1984 წლის 27 დეკემბრის დადგენილება „სასამართლოთა მიერ საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის გამოყენების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ა. კარანაძე.
პლენუმის მდივანი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი ვ. თორღია.

1989 წლის 29 ივნისი.



საქართველოს სსრ პროკურატურაში

საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიამ იმსჯელა გუდაუთის რაიონის პროკურატურის მიერ 1989 წლის ივლისის მოვლენების შემდეგ საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ოპერატიული მდგომარეობის გაჯანსაღებისა და სტაბილიზაციისათვის გაწეული მუშაობის შესახებ.

გუდაუთის რაიონის პროკურორი ამხ. ი. მ. გუმბა კოლეგიის სხდომაზე არ გამოცხადდა.

კოლეგიამ აღნიშნა, რომ გუდაუთის რაიონის პროკურორმა ამხ. ი. მ. გუმბამ სსრკ პროკურატურის შესახებ კანონის მე-3 მუხლის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, არ განახორციელა სამართალდაცვითი ორგანოების საქმიანობის ქმედითი კოორდინაცია დანაშაულთან და სხვა დარღვევებთან საბრძოლველად, სხვა სახელმწიფო ორგანოებთან ერთად არ შეიმუშავა დანაშაულის თავიდან აცილების ღონისძიებები, რის შედეგადაც რაიონში ადგილი ჰქონდა სოციალისტური კანონიერების უხეშ დარღვევებს.

1989 წლის ცხრა თვის განმავლობაში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, გუდაუთის რაიონში მძიმე დანაშაულთა რიცხვი 51,5 პროცენტით გაიზარდა, მათ შორის განზრახი მკვლელობა მცდელობებთან

ერთად 300 პროცენტით, გაუპატიურება მცდელობებთან ერთად 200 პროცენტით, ხულიგნობა 88,8 პროცენტით. ფაქტობრივად ჩაშლილია უშრომელ შემოსავლებთან, სოციალისტური საკუთრების დატაცებებთან, მექრთამეობასთან ბრძოლა. 33,3 პროცენტით შემცირდა სახელმწიფო ქონების მითვისებისა და გაფლანგვის, 31,2 პროცენტით — სპეკულაციის, 57,1 პროცენტით — მყიდველთა მოტყუების გამოვლინება.

დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში, აშკარა უმოქმედობასა და სერიოზულ ხარვეზებთან ერთად, უკიდურესად არადამაკმაყოფილებელია წინასწარ გამოძიებაზე, სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეების განხილვაზე საპროკურორო ზედამხედველობის მდგომარეობა. რაიონის პროკურატურაში უკანონოდ ამბობდნენ უარს სისხლის სამართლის საქმეების აღძვრაზე (გუმბა და სხვ.), დაუსაბუთებლად წყდებოდა და ჩერდებოდა საქმეები. გარდა ამისა, ადგილი ჰქონდა საბრალდებო დასკვნების დამტკიცებას საქმეებზე, რომლებზედაც შემდგომში გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი ან შეწყვეტილია მარეაბილიტირებელი საფუძვლებით ან დაბრუნდა დამატებით გამოძიებაზე.

გუდაუთის რაიონის პროკურორის ამხ. ი. მ. გუმბას მუშაობაში აღნიშნული და სხვა დარღვევები იყო აფხაზეთის ასსრ პროკურატურის ოპერატიული თათბირის და კოლეგიის განსჯის საგანი. მაგრამ მან აღნიშნულიდან არ გამოიტანა სათანადო დასკვნები.

უკანასკნელი წლების განმავლობაში აფხაზეთის ასსრ-ში გამწვავდა ერთაშორისი ურთიერთობა ქართველი და აფხაზი ეროვნების წარმომადგენელ პირთა შორის. გუდაუთის რაიონი იქცა ერთაშორისი შუღლის გაღვივების ერთ-ერთ კერად.

რაიონის პროკურორმა ამხ. ი. მ. გუმბამ, ერთაშორისი ურთიერთობების მოწესრიგების, კანონიერებისა და მართლწესრიგის უზრუნველყოფაზე საპროკურორო ზედამხედველობის განხორციელების, ერთაშორისი შუღლის გაღვივების აქტიური მონაწილეების მხილებისა და დანაშაულებრივ გამოვლინებების აღკვეთის ნაცვლად, თავისი მიმნებებლობით მნიშვნელოვანწილად ხელი შეუწყო რაიონში უკანონობისა და ნაცონალიზმის გამოვლინებებს. ამა წლის აპრილში გუდაუთის რაიონში აფხაზი ეროვნების პირთა ჯგუფები სამართალდაცვითი ორგანოების წარმომადგენელთა თვალწინ არაერთხელ დაესხნენ თავს ტრანსპორტს, რომელსაც ქართველი ეროვნების მგზავრები გადაჰყავდა, იყენებდნენ ცეცხლსასროლ იარაღს, უშენდნენ მათ ქვებს, დაჭრეს, ცემეს ადამიანები.

ამ და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებებმა კიდევ უფრო გაამძაფრეს საერთო სიტუაცია და, თავის მხრივ, იქცნენ 1989 წლის 15-21 ივლისის ტრაგიკულ მოვლენათა ერთგვარ წინაპირობად. შინაგან საქმეთა ორგანოების საქმიანობაზე საპროკურორო ზედამხედველობის სრული არარსებობის, რაიონში მიმდინარე მოვლენებში ჩაურევლობის, კუთხურობის გამოვლენის შედეგად, 16 ივლისს გუდაუთის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებაში აფხაზი ეროვნების პირებს ყოველგვარი წინააღმდეგობების გარეშე გაეცათ მოსახლეობისაგან, მათ შორის ქართველი მოსახლეობისაგან, ადრე ამოღებული სანადირო თოფები. ამის შემდეგ, 16 ივლისს დღის განმავლობაში და ღამით, 17 ივლისს, ორგანიზებული იქნა ცივი, ცეცხლსასროლი, ავტომატური იარაღით და ფეთქებადი ნივთიერებებით შეიარღვებული დიდი რაოდენობის აფ-

ბაზი ეროვნების პირების არაერთგვარადი გადაყვანა ქ. გუდაუთიდან ოჩამჩირის რაიონში.

გუდაუთის რაიონის პროკურორის ამხ. ი. მ. გუმბას მიერ დამნაშავეობასთან ბრძოლის, სოციალისტური კანონიერების და მართლწესრიგის დაცვის მუშაობის არაღმარაგადი დასაყრდენი ორგანიზაციის შედეგად ა. წ. 15-დან 20 ივლისის განმავლობაში რაიონში საყოველთაოდ ირღვეოდა საზოგადოებრივი წესრიგი: ორგანიზებულ იქნა ქუჩების პიკეტირება, რაშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ მილიციის მუშაკები; ჩადენილ იქნა 30-მდე მძიმე დანაშაული: განზრახი მკვლელობა, სხეულის მძიმე დაზიანება, ყაჩაღური თავდასხმა, ხულიგნობა და სხვა, რომელთა უმრავლესობა გაუსხსნელია. ამის გამო შეიქმნა განუკითხაობის და დაუსჯელობის ვითარება, რომელსაც ხელს უწყობდნენ რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები.

უფრო მეტიც, თვით ამხ. ი. მ. გუმბა, ავლენდა რა გაუბედაობასა და უპრინციპობას, დაივიწყა უცხო მკაცრების პოზიცია, არ მიიღო კანონიერი ზომები სისხლის სამართლის საქმის აღძვრისათვის, ხელს უწყობდა თვით გუდაუთის რაიონის პროკურორის თანაშემწის ამხ. შენგელაიას ოჯახზე შეიარაღებული თავდასხმის ფაქტის დაფარვას, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1989 წლის 16 ივლისს.

რაიონის პროკურორი ამხ. ი. მ. გუმბა ივლისის მოვლენათა შემდეგაც არ იღებდა არავითარ ზომებს გუდაუთის რაიონში მართლწესრიგის განმტკიცებისა და ერთაშორისი ურთიერთობების ნორმალიზაციისათვის. იჩენდა პასიურობას, არ აძლევდა შექმნილ სიტუაციას სწორ სამართლებრივ-პოლიტიკურ შეფასებას, ქმნიდა სრული წესრიგის მოჩვენებით სურათს, ცდილობდა შეემსუბუქებინა საქმის ფაქტობრივი მდგომარეობა. არ მიუღია ზომები აფხაზი ეროვნების პირთა მიერ მოქალაქეების ალაფისა და გოგლიძის ცემისა და სხეულის დაზიანების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და დამნაშავეთა დადგენისათვის.

მითითებული დანაშაულის დაფარვის მიზეზების ასახსნელად ქ. სოხუმში საქართველოს სსრ პროკურორთან მოწვევისას ამხ. გუმბა და გუდაუთის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსი ამხ. ანქვაბი, ცდილობდნენ გაემართლებინათ თავიანთი უმოქმედობა და დაუდევრობა. უფრო მეტიც, ამხ. ი. მ. გუმბამ არ გაიაზრა საკუთარი უმოქმედობის არსი, არ მისცა მომხდარ მოვლენებს სწორი შეფასება, უარი განაცხადა განმარტების მიცემაზე და გამოავლინა უდისციპლინობა, თავს არიდებდა საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიის სხდომაზე გამოცხადებას.

კოლეგიის დადგენილებით: ამხ. ი. მ. გუმბას მუშაობა, 1989 წლის ივლისის მოვლენების შემდეგ გუდაუთის რაიონში საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ოპერატიული მდგომარეობის გაჯანსაღებისა და სტაბილიზაციისათვის მიჩნეულ იქნა არაღმარაგადი დასაყრდენი. რაიონში ერთაშორის უფლის გამოვლინებაზე რეაგირების სამართლებრივი ღონისძიებების მიუღებლობის, სამსახურებრივ მოვალეობათა შეუსრულებლობის დამნაშავეობასთან ბრძოლის ორგანიზაციის ჩაშლისათვის. შინაგან საქმეთა ორგანოების საქმიანობაზე, დანაშაულთა გახსნაზე და გამოძიებაზე არაღმარაგადი დასაყრდენი ზედამხედველობისა და სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევისათვის იუსტიციის მთავარი მრჩეველი ივანე მიქტატოვის ძე გუმბა მოიხსნა გუდაუთის რაიონის პროკურორის თანამდებობიდან და განთავსდნენ პროკურატურის ორგანოებიდან.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროში

რესპუბლიკაში მიმდინარე სამართალშემოქმედებით საქმიანობასა და საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტის შემუშავებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ მიზანშეწონილად ჩათვალა შეკრიბოს და შეისწავლოს საქართველოს სსრ სახელმწიფო ისტორიული არქივის ფონდებში დაცული 1918-1921 წლებში გამოცემული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტები, აღნიშნულის თაობაზე სამინისტროს კოლეგიამ ჯერ კიდევ ამ ექვსიოდე თვის წინ იმსჯელა და დადგენილებით დაამტკიცა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც მიეცა კიდევ კონკრეტული დავალებები. ამასწინათ ჩატარებულმა კოლეგიამ კი უკვე მოისმინა სამუშაო ჯგუფის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიში და თავისი შეფასება მისცა ეროვნული სამართალშემოქმედების ისტორიის ამ მეტად საინტერესო პერიოდს.

კოლეგიაზე აღინიშნა, რომ სამუშაო ჯგუფმა უკვე მოიძია და შეკრიბა ისეთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტები, როგორცაა საქართველოსა და რუსეთს შორის დადებული ხელშეკრულება; საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი; აფხაზეთის ავტონომიური მმართველობის დებულება; საქართველოს სენატის დებულება; კანონები მოქალაქეობის, მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის, შრომის ხელშეკრულების შესახებ; კანონპროექტები საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს მოქალაქეობის მიღებისა და დაკარგვის, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს, დაბატიმრებულთა სწავლა-განათლებისა და სამუშაოდ მოწყობის შესახებ; ადგილობრივ თვითმმართველობით ორგანოებში ენის ხმარების შესახებ და ა. შ. სულ 67 აქტი.

სამინისტროს მიაჩნია, რომ მოძიებული სამართლებრივი აქტების პუბლიკაცია და მათი ფართო საზოგადოებრიობისათვის გაცნობა ხელს შეუწყობს რესპუბლიკაში მიმდინარე საკანონმდებლო მუშაობის გაუმჯობესებას და აამაღლებს მოსახლეობის მართლშეგნებას.

ამასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიამ მიიღო შესაბამისი დადგენილება.

საქართველოს სსრ სახელმწიფო არხიტრაჟის პრაქტიკა

სასარჩელო სახელმწიფოების ვადა რეპრესულ სარჩელაზე გა-
მოითვლება თანხის უაქცეპტოდ (უფარო წესით) ჩამოწერის შესახებ
ბანკის უაქტოგინების დღიდან

მთავარიუველირვაკრობის მოსკოვის ცენტრალურმა საბითუმო ბაზამ კალუგის საცალო გაერთიანების მაღაზია „კრისტალს“ გაუგზავნა თბილისის საიუველირო ქარხნის შეფუთული ოქროს ნაწარმი. ნაწარმის მიღების დროს ექსპერტის დასკვნით 5 ბეჭედს აღმოაჩნდა საწარმოო დეფექტები.



უხარისხო ბეჭდები გაერთიანებამ დაუბრუნა თბილისის საიუველირო ქარხანას, მაგრამ ამ უკანასკნელმა მათ მიღებაზე უარი განაცხადა ნაწარმის შენახვის საგარანტიო ვადის გასვლის მოტივით.

გაერთიანება არ დაეთანხმა ქარხნის განცხადებას და ჩამოაწერა მას უაქცეპტო წესით უხარისხო ბეჭდის ღირებულება და ჯარიმა უხარისხო პროდუქციის მიწოდებაზე, ხოლო სატრანსპორტო და ექსპერტიზის ხარჯები მოსკოვის ცენტრალურ ბაზას. ამასთან უნდა აღინიშნოს, ბაზამ საქონლის გაგზავნა სავაჭრო ქსელში მისი შემოწმების გარეშე მოახდინა სავსებით სწორად, რადგანაც „ოსტ-25-565581“ (სიუველირო ნაწარმი) განრიგი 3-ის თანახმად იგი ახორციელებს მუდმივ კონტროლს მხოლოდ შეფუთვის ხარისხზე.

საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟმა განიხილა რა დაეა, ბაზას უარი უთხრა უაქცეპტო წესით ჩამოწერილი თანხის უკან დაბრუნებაზე.

ზედამხედველობის წესით მასალების გადასინჯვისას გაერთიანების მოქმედება ჩაითვალა სწორად, ხოლო ბაზის მოთხოვნა დამამზადებლისაგან რეგრესის წესით თანხის ამოღებაზე — დასაბუთებულად.

„სახელმწიფო არბიტრაჟების მიერ უხარისხო და არაკომპლექტური პროდუქციისა და საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული სამეურნეო დავების განხილვის შესახებ“ სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის ინსტრუქციის 21-ე პუნქტის საფუძველზე რეგრესულ სარჩელებზე სასარჩელო ხანდაზმულობა გამოიანგარიშება ბანკის მიერ უაქცეპტო წესით შესაბამისი თანხის ჩამოწერის შეტყობინების დღიდან.

მოცემულ შემთხვევაში ბანკის შეტყობინება ბაზის ანგარიშიდან უაქცეპტო წესით თანხის ჩამოწერის შესახებ მიღებულ იქნა 1988 წლის იანვარში, ხოლო სახელმწიფო არბიტრაჟს ბაზამ სარჩელით მიმართა 1988 წლის ივნისში. ე. ი. სასარჩელო ხანდაზმულობის ექვსთვიან ვადაში. სარჩელი დაკმაყოფილდა დამამზადებლის — თბილისის საიუველირო ქარხნის ანგარიშზე. (საქმე № 6-2/47).

მხარეთა შორის ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე უთანხმოების მიუღწევლობის შემთხვევაში მათ შორის წარმოშობილი დავა განიხილება დაინტერესებული მხარის განცხადების საფუძველზე

ყარაბულაღის ფაბრიკა „საყოფაცხოვრებო ავეჯმა“ სარჩელით მიმართა საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟს, რათა არ გაეუქმებინა ხელშეკრულება, რომელიც მას დადებული აქვს შპონის მიწოდებაზე ქ. თბილისის საავეჯო ნაწილების კომბინატთან.

საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებით მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელზე და ხელშეკრულება შპონის მიწოდების შესახებ გაუქმდა.

საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის დადგენილებით გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა. ფაბრიკამ განცხადებით მიმართა სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟს მისი გადასინჯვის შესახებ.

როგორც საქმის მასალებიდან ჩანს, მხარეებს შორის არსებობს ხანგრძლივი სამეურნეო კავშირი შპონის მიწოდებაზე. მიმწოდებელმა — თბილისის საავეჯო ნაწილების კომბინატმა — 1988 წლის 14 ივნისს წერილით აცნობა მყიდველს მისი თანხმობა 1988 წლისათვის დადებული ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე 1990 წლის 31 დეკემბრამდე. მაგრამ შემდგომ

1988 წლის 20 ოქტომბერს წერილით უარი უთხრა ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე და მოითხოვა მისი გაუქმება. მყიდველმა ხელშეკრულების გაუქმებაზე თანხმობა არ მისცა.

საწარმო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის მიწოდების შესახებ დებულების 24-ე პუნქტის საფუძველზე მხარეთა შორის ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მათ შორის წარმოშობილი დავა სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ განიხილება დაინტერესებული მხარის განცხადების საფუძველზე.

აღნიშნულ შემთხვევაში არბიტრაჟისათვის განცხადებით ხელშეკრულების გაუქმების შესახებ უნდა მიემართა მიმწოდებელს — თბილისის საავტოო ნაწილების კომბინატს. რამდენადაც სახელმწიფო არბიტრაჟს არ ჰქონდა საფუძველი განეხილა მყიდველის სარჩელი, სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟმა გააუქმა საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილება და დადგინობა და საქმე შეწყვიტა წარმოებით (საქმე № ნ-2/832).

შავუთშის პირობების დადგენით ღია მოკრავი უმადგანლოდით გაგზავნილი ტვირთის გაფუჭების შემთხვევაში გადამრიდავი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან

რესპუბლიკურმა გაერთიანება „სომხსაშენტყეკალად მომარაგება-გასაღებამ“ პერმის საფანერო კომბინატიდან მიიღო ღია მოკრავი შემადგენლობის ნახევარ ვაგონში ჩატვირთული ხისა და ბურბუშელის ფილა.

ვაგონი იმყოფებოდა ძებნაში და მიღებულ იქნა დამატებითი ზედდებულებით. ფილები აღმოჩნდა ატკეცილი, აქერცილი და ამობერილი.

რკინიგზამ ტვირთის შემოწმებაზე და კომერციული აქტის გაცემაზე უარი განაცხადა. მიმღებმა გაასაჩივრა რკინიგზის უარი და პრეტენზიით მიმართა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს, რომელმაც იგი უშედეგოდ დატოვა. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟმა უხარისხო ფილების ღირებულების გადახდა დააკისრა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს, რადგან ჩათვალა, რომ პროდუქციის გაფუჭების მიზეზი იყო ტვირთის დაგვიანებით მიტანა დანიშნულების ადგილზე. ზედამხედველობის წესით საქმის მასალების შემოწმებით დადგინდა, რომ პროდუქციის სრული დაზიანება გამოწვეული იყო გამგზავნის ბრალით, რომელმაც ტვირთი გაგზავნა წყალგაუმტარი ქაღალდით შეფუთვის გარეშე. მაძიებლის მიერ პროდუქციის ხარისხის შემოწმება ჩატარდა ექსპერტიზის მონაწილეობით.

სახელმწიფო სტანდარტის (10632-77) შესაბამისი პუნქტების მიხედვით ფილების გადატვირთვა უნდა წარმოებდეს სუფთა და მშრალი სატრანსპორტო საშუალებებით, ატმოსფერული ნალექებისა და მექანიკური დაზიანებისაგან აუცილებელი დაცვის პირობით.

ექსპერტიზის დასკვნით ფილები დაზიანდა ატმოსფერული ნალექების დიდი ხნით ზემოქმედების შედეგად, წყალგაუმტარი შესაფუთი მასალის უქონლობის გამო, რამაც ვერ უზრუნველყო ტვირთის დაცვა ტრანსპორტირების დროს.

აღნიშნული მიზეზების გამო ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო გათავისუფლდა პასუხისმგებლობისაგან, ხოლო ტვირთის ღირებულება გადახდა პერმის საფანერო კომბინატს. (საქმე № ნ-2/658).

დავით მუხლაძე

დანაშაულობის მიზეზები ნარსულის გავნა გადმონაშთების კონსეფსიები

დანაშაულობის მიზეზების კვლევის პრობლემა ყოველთვის აქტუალურია კრიმინოლოგიაში, რადგან მათი დადგენა ნიშნავს იმას, რომ რეალურად დავსახოთ დანაშაულობის თავიდან აცილების გზები.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში დანაშაულობის მიზეზთა კვლევას ფაქტორთა თეორიის მიხედვით წარმართავდნენ. ეს თეორია თავდაპირველად ევროპელი კრიმინოლოგების ე. ფერის, ფ. ლისტის და სხვათა ნაშრომებში აისახა, ხოლო რევოლუციამდელი რუსეთის წარმომადგენლებმა იგი ინერციით განაგრძეს.

ფაქტორთა თეორიამ პასუხი ვერ გასცა კრიმინოლოგიის ერთ-ერთ ძირითად კითხვას — არსებობს თუ არა რაიმე კანონზომიერება დანაშაულობის მიზეზებში, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შესაძლებელია თუ არა ისინი მიზეზობრიობის პრინციპით აგხსნათ?

ისტორიამ მთელი სიმწვავით დააყენა დანაშაულობის მიზეზთა ახლებურად კვლევის საჭიროება და ეს მისია იკისრა კონცეფციამ, რომელიც ჩვენს კრიმინოლოგიურ მეცნიერებაში წარსულის გადმონაშთების სახელწოდებითაა ცნობილი.

წარსულის გადმონაშთების კონცეფციას საფუძველი ჩაეყარა სოციალისტური საზოგადოების პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში მიმდინარე ცვლილებების ეპოქაში. სოციალურ სფეროში მიმდინარე პროცესებმა არნახული გავლენა იქონია ამ თეორიაზე. შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკურმა დოქტრინამ მზა დებულებები მისცა კრიმინოლოგიურ მეცნიერებას და თვითონვე შემოუფარგლა დანაშაულობის მიზეზების კვლევის არეალი. ეს იყო შემთხვევა, როდესაც პოლიტიკურ საფუძველზე გამოტანილი დასკვნები მოგვევლინა მეცნიერული პროგნოზირების წყაროდ. (თუმცა, პოლიტიკური დოქტრინის გავლენა ამით არ ამოიწურა, რის შესახებაც დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ).

ამ კონცეფციის თანახმად, დაუშვებელია იმის მტკიცება, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში დანაშაულს არა აქვს სოციალური მიზეზები. თუ

არის დანაშაული, უნდა იყოს მისი მიზეზებიც (ბიოლოგიური ან სოციალური), მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ეს მიზეზები სოციალიზმის არსებობის შემთხვევაში დგას, რადგან ჩვენი საზოგადოებისათვის უცხოა დანაშაულის სოციალური საწყისები¹. კ. მარქსის ცნობილი დებულების მოშველიებით, რომლის თანახმად, წარმოებითი ურთიერთობები წარმოადგენენ საზოგადოებრივი განვითარების განმსაზღვრელ საფუძველს, მრავალფეროვანი ზედნაშენური მოვლენების, მათ შორის დანაშაულობის არსებობის ძირითად ბაზას, ამ კონცეფციის ავტორებმა ლოგიკურად დაასკვნეს, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში დანაშაულის მიზეზია კაპიტალისტური სამყარო, მისი მავნე ზეგავლენა და ჩვენი საზოგადოების ცალკეული ჩამორჩენილი ადამიანების შეგნებასა და ყოფაქცევაში ჯერ კიდევ შემორჩენილი ძველი ჩვევები და შეხედულებები², რომ სოციალისტური საზოგადოება ჯერ კიდევ ატარებს კაპიტალისტური წილიდან მომდინარე „თანდაყოლილ წყლულებს“³.

წარსულის მავნე გადმონაშთების კონცეფციის მომხრეებმა თავიანთ ამოცანად დაისახეს დანაშაულობის გამომწვევ მრავალფეროვან მოვლენათა კლასიფიკაცია. „მიზეზობრივ კავშირში რომ გავერკვეთ, ამისათვის არ კმარა მოვლენათა მეტ-ნაკლები რაოდენობის გამორკვევა, — წერდა გ. ზუიკოვი — აუცილებელია დავადგინოთ მათი ურთიერთგანლაგება მიზეზშედევობრივ კავშირში“⁴.

აღნიშნული კონცეფცია უკვე თეორიულ დონეზე ამუშაებს ცნებით აპარატს, იძლევა ძირითადი ცნებებისა და კატეგორიების დეფინიციას, მათ განზოგადებულ ახსნას.

ამ თეორიის თანახმად, დანაშაულობის მიზეზებს განეკუთვნებიან ის მოვლენები და პროცესები, რომლებიც წარმოშობენ დანაშაულის ჩადენის განზრახვას, აგრეთვე ახდენენ სამართალდამრღვევის უარყოფითი ზნეობრივი იერსახის ჩამოყალიბებას⁵.

ამ კონცეფციის მომხრენი ითვალისწინებენ, რომ დიალექტიკური მატერიალიზმის თანახმად, მიზეზ-შედევობრივი ჯაჭვი აუცილებლად გულისხმობს პირობის ცნებას და იძლევიან მის განმარტებას: „შედევის დადგომისათვის აუცილებელია დამატებითი პირობები, რომელთაც თავისთავად არ შეუძლიათ გამოიწვიონ მოცემული შედეგი, მაგრამ ქმნიან მიზეზის მოქმედებისათვის საჭირო შესაბამის გარემოს. დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობ პირობებს წარმოადგენენ ისეთი გარემოებები, რომლებიც დანაშაულებრივი განზრახვის რეალიზაციას და დანაშაულებრივი შედეგის მიღწევას აადვილებენ“⁶.

¹ Карпец И. И. О природе и причинах преступности в СССР, «Советское государство и право», 1964, № 4, с. 86.

² უტევსკი ბ. ს. სისხლის სამართალი, თბილისი, 1952, გვ. 7;

³ Козельцев Е. А. К вопросу о причинах преступности в СССР (Ученые записки Саратовского юридического института им. Д. И. Курского), Вып. XVI, Саратов, 1969, с. 31.

⁴ Зуйков Г. Г. К вопросу о понятии причин преступления и условий, способствующих его совершению. Вопросы предупреждения преступности, Вып. 2, М., 1965, с. 4.

⁵ Советская криминология, М., 1966, с. 57.

⁶ იქვე, გვ. 57.

წარსულის მაგნე გადმონაშთების კონცეფციის მომხრენი უდავოდ მჩინევენ, რომ დანაშაულობა, ერთის მხრივ, სოციალური მოვლენაა, რომელიც საყოველთაო ობიექტური ფაქტორების, სოციალური კანონზომიერების მოქმედებას ემორჩილება, ხოლო მეორეს მხრივ, დანაშაულობა ცალკეულ დანაშაულებრივ გამოვლინებათა, ცალკეულ პირთა ნებელობითი აქტების ერთობლიობაა⁷. დანაშაულისა და დანაშაულობის მიმართებას ისინი ზოგადისა და ერთეულის ფილოსოფიური კატეგორიების კრილში განიხილავენ⁸.

დანაშაულობისა და დანაშაულის ცნების გამიჯვნამ წარმოაჩინა გადასარკელ საკითხთა ახალი წრე — რა ხასიათისაა დანაშაულობისა და დანაშაულის გამომწვევი მიზეზები, განსხვავდებიან თუ არ ისინი ერთმანეთისაგან და როგორია მათი ურთიერთდამოკიდებულება.

ამ საკითხებზე წარსულის გადმონაშთების კონცეფცია ერთმნიშვნელოვან პასუხს იძლევა: დანაშაულის მიზეზების კვლევისას ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ: ა) დანაშაულობის, როგორც სოციალური მოვლენის მიზეზები და ბ) კონკრეტული დანაშაულების მიზეზები⁹. ვინაიდან ამ თეორიის მომხრეებს ნათელი წარმოდგენა არ ჰქონდათ დანაშაულობის, როგორც სოციალური მოვლენის სპეციფიკაზე და იგი მხოლოდ ცალკეულ ნებელობით აქტთა ერთობლიობად მიაჩნდათ, ამიტომ კონკრეტული კვლევის პროცესში დანაშაულობისა და დანაშაულის მიზეზებს შორის მიჯნა იკარგებოდა. მათი აზრით, დანაშაულობის მიზეზების ახსნისას შემდეგი ფორმულიდან უნდა გამოვიდეთ — წარსულის გადმონაშთების გავლენა ადამიანის ცნობიერებასა და ქცევაზე და იმპერიალისტური ბანაკის არსებობა და ფუნქციონირება¹⁰. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დანაშაულობის მიზეზების შესწავლა ნიშნავს „იმ კონკრეტული მიზეზებისა და პირობების გამოკვლევას, რომლებიც უშუალოდ განაპირობებენ ცალკეული სახის დანაშაულის არსებობას“¹¹.

წარსულის გადმონაშთების თეორიას მიზეზობრიობის კონცეფციის კვლევა მხოლოდ მიზეზისა და პირობის გამიჯვით არ ამოუწურავს. ფილოსოფიური დებულებების მომარჯვებით ხდება მიზეზთა და პირობათა მრავალფეროვანი კლასიფიკაცია. მხოლოდ ტერმინოლოგიური განსხვავებაა დანაშაულობის ძირითად, მთავარ (ა. შლიაპოჩნიკოვი)¹², ობიექტური ხასიათის (ა. მიხაილენკო, ი. გელფანდი)¹³, პირველი რიგის მთავარ მიზეზებს (ი. კარპეცი)¹⁴ შორის და მათში მოიაზრება 1) ყოფიერებისაგან ცნობიერების ჩამორჩენის

⁷ Яковлев А. М. Взаимодействие личности со средой как предмет криминологического исследования, «Советское государство и право», 1966, № 2, с. 55.

⁸ Кудрявцев В. Н. К вопросу об изучении причин преступности, «Советское государство и право», 1964, № 5, с. 12.

⁹ Карпец И. И. О природе и причинах преступности в СССР «Советское государство и право», 1966, № 4, с. 87.

¹⁰ იქვე, გვ. 87.

¹¹ Герцензон А. А. Практические вопросы организации изучения преступности, «Советская юстиция», 1958, № 1, с. 8.

¹² Шляпочников А. С. О классификации обстоятельств, способствующих совершению преступлений, «Советское государство и право», 1964, № 10, с. 92.

¹³ Михаиленко П. П., Гельфанд И. А. Предупреждение преступлений — основа успешной борьбы за полное искоренение преступности в СССР, «Советское государство и право», 1963, № 3, с. 74.

¹⁴ Карпец И. И. Проблема преступности. М., Юр. лит., 1969, с. 51.

ობიექტური კანონის მოქმედება, რომელიც კონკრეტულ გამოხატულებას უკლებს ადამიანის ქცევასა და ცნობიერებაში არსებულ მრავალფეროვან მონაშთებში, 2) სოციალიზმის გვერდით კაპიტალისტური სამყაროს არსებობა და მისი მავნე გავლენა. დანაშაულის უშუალო მიზეზად, როგორც წესი, აღიარებულია ადამიანის ცნობიერებაში ჩამოყალიბებული ინდივიდუალისტური განწყობა, რომელსაც თავის მხრივ იწვევს: 1. წარსულის გადმონაშთებისაგან გაუთავისუფლებელ პირთა გავლენა, 2. ბურჟუაზიული იდეოლოგიის ზემოქმედება¹⁵.

ამ კონცეფციის თანახმად, ანტისაზოგადოებრივი შეხედულებების და მათი დანაშაულებრივ ქმედობაში გამოვლინების ხელშემწყობი პირობები საზოგადოებრივ მოვლენათა მრავალფეროვან სფეროს მოიცავს: სახელმწიფოებრივი თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებებს, ბიუროკრატიზმს, სახელმწიფოებრივი დისციპლინის დარღვევას, დანაშაულობის წინააღმდეგ მებრძოლ ორგანოთა არასრულფასოვან მუშაობას და ა. შ. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ მათ შორის გადამწყვეტი როლი იდეოლოგიური მუშაობის სფეროში არსებულ ხარვეზებს ენიჭება¹⁶.

დანაშაულის ხელშემწყობი პირობების კლასიფიკაცია ხდება მიზეზისადმი დამოკიდებულების მიხედვით: 1) პირობები, რომლებიც ხელს უწყობენ ანტისაზოგადოებრივი განწყობის წარმოშობ მიზეზებს, 2) პირობები, რომლებიც ხელს უწყობენ დანაშაულის უშუალო მიზეზის მოქმედებას¹⁷.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ავტორი ცდილობს სუბიექტური ხასიათის მიზეზთა და პირობათა მრავალფეროვნებაში მიაკვლიოს ობიექტური ხასიათის ბაზისურ წინააღმდეგობებს, მაგრამ მართებული მეთოდოლოგიური საფუძვლის უკმარისობის გამო ისინი ისევ სუბიექტივიზმის ჩარჩოებში რჩებიან.

ამ კონცეფციის მომხრენი იდეოლოგიური პროპაგანდის ძლიერი ზეგავლენის გამო მეცნიერული დასაბუთების გარეშე აპრიორულად ამტკიცებდნენ, რომ წარსულის მავნე გადმონაშთები შემორჩენილია მხოლოდ ცალკეულ ადამიანებში¹⁸. მაგრამ ისტორიულად ძალზე მოკლე მონაკვეთმა აიძულა ისინი, რომ ამ გადმონაშთების მატარებელთა წრე გაეფართოებინათ და უფრო მეტიც, ელიარებინათ, რომ ყველაფრის ცნობიერების სფეროში გადატანა არამართებულია და იგი იდეალიზმს წააგავს¹⁹, თუმცა სამწუხაროდ, ასეთი ცალკეული დებულება მხოლოდ ფრაზებად დარჩა, მათი განვრცობა მეცნიერებაზე პოლიტიკური დოქტრინის ბატონობის პირობებში შეუძლებელი იყო.

წარსულის მავნე გადმონაშთების კონცეფციის მთავარი მისია პოლიტიკური დოქტრინისადმი ბრმა მორჩილება და მისი გამართლება იყო. სწორედ ეს იყო ძირითადი სახელმძღვანელო იდეა დანაშაულობის მიზეზების კლასიფიკაციის დროს. ეს უკანასკნელი მოკლებული იყო ობიექტურ-კრიტიკულ მემბს და სხვადასხვა პოლიტიკურ თეორიებსა თუ ხელმძღვანელთა იდეებს ეყრდნობოდა.

ამ თეორიის წარმომადგენელთა აზრით, პროლეტარიატის დიქტატურის

¹⁵ იხ. გ. ზუიკოვის დასახ. სტატია, გვ. 6-15.

¹⁶ Советское уголовное право, часть общая, М., 1962, с. 84.

¹⁷ იხ. გ. ზუიკოვის დასახ. სტატია, გვ. 15.

¹⁸ Герцензон А. А. Задачи изучения преступности, Сб.: Проблема изучения преступности, Юридическое изд-во НКЮ СССР, М., 1945, с. 15.

¹⁹ Карпец И. И. Проблема преступности, с. 53—55.

განვითარების ეტაპების შესაბამისად იცვლებოდა დანაშაულობის გამომწვევი მიზეზები. თუ კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლის პერიოდში ძირითადი იყო დამხობილ ექსპლოატატორულ კლასთა წინააღმდეგობა, წვრილბურჟუაზიული ანარქია, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაბალი დონე, სოციალიზმის მშენებლობის ეტაპზე უკვე თავს იჩენს ობიექტური — ომი და სუბიექტური — პიროვნების კულტი, თუმცა, წარსულის მავნე გადმონაშთები ორივე ეტაპზე დომინირებს²⁰. უფრო მეტიც, სოციალიზმის გამარჯვების შემდეგ ქვეყნის შიგნით კლასობრივი ბრძოლის გაძლიერების ცნობილი თეორიის და 30-იან წლებში მასთან დაკავშირებით განხორციელებული რეპრესიების გასამართლებლად განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა მიზეზად სწორედ კლასობრივი ბრძოლის გამწვავებაა გამოცხადებული²¹ და ცხადია, შესაბამისი უნდა ყოფილიყო მიზეზთა აღმოფხვრის გზები და საშუალებები.

რევოლუციის გამარჯვების შემდეგ განვილიმა რამდენიმე ათეულმა წელმა ახალი პრობლემის წინაშე დააყენა წარსულის გადმონაშთების კონცეფცია; მოვიდა ახალი თაობა, რომელსაც კაპიტალიზმის პერიოდში არ უცხოვრია, საიდან უნდა ჰქონოდეთ მათ წარსულის მავნე გადმონაშთები შემორჩენილი?!

საკითხის ამგვარი დასმა მოწმობს თვით „გადმონაშთების“ ცნების არსისა და ადამიანის ქცევასა და ცნობიერებაში მრავალფეროვან გადმონაშთთა მექანიზმის უცოდინარობას²². იგი უნდა აიხსნას ყოფიერების განვითარებისაგან ცნობიერების ჩამორჩენით. ამავე დროს ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჯერ კიდევ შემორჩენილ არაანტაგონისტური ხასიათის წინააღმდეგობების არსებობით, რომლებიც ელობებიან ცალკეულ ინდივიდში ანტისაზოგადოებრივ განწყობის აღმოფხვრას²³. საგულისხმოა, რომ ზემოდანმულ კითხვაზე სრულიად გულუბრყვილო პასუხს იძლევიან ავტორები: ახალგაზრდები წარსულის გადმონაშთებს მშობლებისა და ნაცნობების გავლენით ლებულობენ²⁴.

ძნელია წარმოდგენა იქონიო იმ თეორიის მეცნიერულ ღირებულებაზე, რომლის ძირითადი ამოსავალი დებულებები ასეთი ზერელე ხასიათისაა: წარსულის მავნე გადმონაშთების კონცეფციამ ერთმანეთისაგან გამიჯნა დანაშაულობა, როგორც სოციალური მოვლენა და კონკრეტული დანაშაული (თუმცა, ეს დებულება არც ფაქტორთა თეორიისათვის იყო უცხო). საკითხის ასეთი დასმა კი, თავის მხრივ, აყენებდა ახალ პრობლემას — რა მიმართულებით უნდა წარმართულიყო კვლევა, ზოგადიდან ერთეულისაკენ თუ პირიქით. აქ კიდევ ერთხელ გამოჩნდა წარსულის მავნე გადმონაშთების კონცეფციის შეზღუდულობა და მეთოდოლოგიური საფუძვლების უმართებულობა, ავტორთა აზრით, უფრო ეფექტურია ცალკეული დანაშაულის მიზეზების შესწავლის გზით დანაშაულობის როგორც სოციალური მთლიანობის შესწავლა, ანუ მოძრაობა ერთეულიდან ზოგადისაკენ²⁵. ამრიგად, აღნიშნული კონ-

²⁰ Остроумов С., Кузнецов Н. О причинах и условиях преступности в СССР. Вестник Московского университета, Серия X право, 1965, № 4, с. 45—54.

²¹ Герцензон А. А. Задачи изучения преступности, Сб.: Проблема изучения преступности, с. 15.

²² Карпец И. И. Проблема преступности, с. 53—55.

²³ იხ. გ. ზუიკოვის დასახ. სტატია, გვ. 12-14.

²⁴ Карпец И. И. О природе и причинах преступности в СССР, «Советское государство и право», 1966, № 4, с. 88.

²⁵ Кудрявцев В. Н. К вопросу об изучении причин преступности. «Советское государство и право». 1964. № 55. с. 12.

ცეფციის ვიწრო პრაგმატიკული ხასიათი უკანა პლანზე აყენებდა დანაშაულობას, როგორც სოციალურ მოვლენას და იგი იურიდიულ პრაქტიკაზე დაყრდნობით მიღებული სტატისტიკური მასალის უბრალო განზოგადებამდე დაჰყავდა. დანაშაულობის სოციალური ნიშნები, მისი სპეციფიკა მეცნიერული ინტერესების გარეთ რჩებოდა.

წარსულის მავნე გადმონაშთების კონცეფციის მეთოდოლოგიური საფუძველი ვულგარულ-მატერიალისტურ ფილოსოფიაში იძებნება, ფილოსოფიაში, რომლის ამოსავალი პრინციპია საკითხის აბსტრაქტულ-ისტორიული და არა კონკრეტულ-ისტორიული თვალსაზრისით გადაჭრა. მოვლენათა თანმიმდევრობა მიზეზობრივ ქაჭვთანაა გაიგივებული²⁶. ყოველივე ამას ურთიერთსაწინააღმდეგო დასკვნებამდე და რეალურ ცხოვრებასთან დაპირისპირებამდე მიყავართ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პოლიტიკური დოქტრინის გავლენა კრიმინოლოგიურ კვლევაზე ერთმნიშვნელოვანი არ იყო. მარქსისტული დებულება ფილოსოფიის მეთოდოლოგიური მნიშვნელობის შესახებ ძალაში რჩებოდა, ამიტომ პოლიტიკა ცდილობდა თავისი გავლენა მოეხვია კონკრეტული მეცნიერებისათვის ერთის მხრივ უშუალოდ, ხოლო მეორეს მხრივ, მეთოდოლოგიური ხასიათის პოზიციებიდან. ფილოსოფიაშიც იქმნება შესაბამისი თეორია, რომლის თანახმადაც ნეგატიური მოვლენების მიზეზები წარსულის გადმონაშთების და კაპიტალისტური სამყაროს არსებობის წიაღში უნდა ვეძებოთ²⁷.

წარსულის გადმონაშთების კონცეფცია თვითონ მისივე მომხრეთა კრიტიკის საგნად იქცა. იმ მართებული დებულებიდან გამომდინარე, რომ „დანაშაული არის კლასობრივი საზოგადოების კლასობრივი წინააღმდეგობების შედეგი“, ზოგიერთმა ავტორმა შემდეგი ხასიათის დასკვნა გააკეთა: დანაშაულობის ძირითადი მიზეზი კაპიტალისტური საწარმოო ურთიერთობების არსებობაშია და არა წარსულის მავნე გადმონაშთებში²⁸.

ამ მსჯელობაში უთუოდ არის „რაციონალური მარცვალი“. დანაშაულობის მიზეზებში მეცნიერული კვლევის ობიექტად სოციალური წინააღმდეგობის მიჩნევა უცილობლად წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. მაგრამ ამით თვით კონცეფციის სქემაში მაინც არ მომხდარა პრინციპული ხასიათის ცვლილება. დანაშაულობის მიზეზები ისევ კაპიტალისტური ურთიერთობების ნიშან-თვისებებად ჩათვალებს.

50-იანი წლების იმ ავტორთა უმრავლესობა, რომლებიც ამჩნევენ წარსულის მავნე გადმონაშთების კონცეფციის მცდარ მეთოდოლოგიურ საწყისებს, დანაშაულობის მიზეზების კვლევას სოციალისტურ სინამდვილეში იწყებს. მათი აზრით, ჩვენს ქვეყანაში არსებული დანაშაულობის მიზეზების კაპიტალისტური სამყაროს მავნე ზეგავლენაში კვლევა-ძიება მიზეზობრიობის მექანიკური გააზრების ტოლფასია²⁹. ამასთან დაკავშირებით, ხდება უკვე საკითხის სხვაგვარი პოზიციით გაშუქება: დანაშაულობის მიზეზების პრობლემა

²⁶ იხ. გ. ზუიკოვის სტატია, გვ. 4-5.

²⁷ Философская энциклопедия, М., 1967, т. 4, с. 237.

²⁸ Волков Г. И. Классовая природа преступлений и советское уголовное право, ОГИЗ, 1939, с. 148 — 159.

²⁹ Шляпочников А. Некоторые вопросы борьбы с преступностью. «Советская юстиция». 1957, № 3, с. 38.

უნდა განვიხილოთ დიალექტიკური მატერიალიზმის ძირითადი კატეგორი-
ის აუცილებლობისა და შესაძლებლობის თვალთახედვიდან³⁰.

წარსულის მავნე გადმონაშთების კონცეფციიდან გამომდინარე სიძნელე-
ების რეტროსპექტიული განხილვისთვის აზრით, შეიძლება გავაკეთოთ ზო-
გადი ხასიათის შემდეგი დასკვნები:

1. აღნიშნული კონცეფცია საკვლევ პრობლემას აბსტრაქტულ-ისტორი-
ული მეთოდით უდგებოდა. თუმცა, ამ თეორიის მომხრეთა აზრით, კონკრე-
ტულ-ისტორიული მეთოდის გამოყენება აუცილებელია³¹, მაგრამ ეს დე-
ბულება განხორციელებას ვერ პოულობს უშუალოდ მეცნიერული ანალიზი-
სას და იგი ლიტონ სიტყვებად რჩება. ამ კონცეფციის მომხრენი ფაქტორთა
თეორიას დანაშაულებენ ისტორიული მეთოდის უგულებელყოფაში, თავად კი,
თავიანთი მსჯელობების კონკრეტულ-ისტორიულ მიზანშეწონილობას, დანა-
შაულობის მიზეზებს კაპიტალისტური საზოგადოების არსთან დაკავშირებაში
ხედავენ³². სინამდვილეში დანაშაულობის მიზეზების დადგენა უნდა მომ-
ხდარიყო სოციალიზმის კონკრეტული სისტემის ჩარჩოებში. საბოლოოდ სა-
კითხისადმი კონკრეტულ-ისტორიული მიდგომა იცვლებოდა აბსტრაქტულ-ის-
ტორიული მეთოდით.

2. წარსულის მავნე გადმონაშთების კონცეფციის მომხრეები ნებსით თუ
უნებლიედ სუბიექტივიზმში ვარდებოდნენ. „დანაშაულის მიზეზებში, — უთი-
თებენ ისინი, — ჩვენ პირველ ყოვლისა ადამიანთა ცნობიერებასა და ქცევაში
არსებულ წარსულის გადმონაშთებს ე. ი. ანტისაზოგადოებრივ ეგოისტურ
შეხედულებებსა და ჩვევებს ვგულისხმობთ, რომლებიც ცალკეულ ადამიან-
ებს ახასიათებს³³. ამრიგად, თბიექტურ სფეროში წარსულის გადმონაშთე-
ბის უარყოფის შემდეგ კრიმინოლოგები დანაშაულობის მიზეზების სუბი-
ექტურ განმარტებას ახდენენ. ზოგიერთი ავტორი მართებულად უარყოფს
მეცნიერული კვლევის ასეთი ხაზით წარმართვას და აღნიშნავს, რომ „სწო-
რედ კლასობრივ ურთიერთობებში უნდა ვეძებოთ ყოველგვარი საზოგადო-
ებრივი მოვლენის ფესვები. ცდა იმისა, რომ ისინი (ფესვები — დ. მ.) მოცე-
მული ადამიანის მეგობართან, მეზობელთან, ოჯახის წევრთან და ა. შ. ურთი-
ერთობაში დაეინახოთ, ფუჭი საქმეა“³⁴.

3. წარსულის მავნე გადმონაშთების კონცეფცია მიზეზის ეკლექტიკური
გაგების სტიმულად გვევლინება. ერთი მხრით, აღიარებულია გადმონაშთები
ადამიანთა ცნობიერებაში, ხოლო მეორე მხრით, მითითებულია რიგ მოვ-
ლენებზე, რომლებიც დანაშაულობის აღმოფხვრას ხელს უშლიან³⁵.

4. დანაშაულობის მიზეზების კვლევაში პოლიტიკური დოქტრინის გა-
ბატონებამ და არამართებული მეცნიერული მეთოდების გამოყენებამ შექმნა
ილუზია საბჭოთა კავშირში დანაშაულობის კლების შესახებ და, რაც ყველაზე

³⁰ იქვე, გვ. 39.

³¹ Шляпочников А. С. В. И. Ленин и Коммунистическая Партия о задаче борьбы с преступностью, Сб.: Проблема искоренения преступности, М., 1965, с. 8.

³² Пионтковский А. А. Уголовное право РСФСР, с. 25—29.

³³ Остроумов С. С., Кузнецов Н. Р. Вопросы криминологии. О преподавании советской криминологии, «Советское государство и право», 1964, № 11, с. 94.

³⁴ Денисов Ю. Д., Спиридонов Л. И. Абстрактное и конкретное в советском правоведении, Л., Наука, 1987, с. 176.

³⁵ იხ. ვ. მიხაილენკოს, ი. გენფანდის დასახ. სტატია, გვ. 74.

უფრო მეტად მცდარი იყო: ამ კონცეფციის წარმომადგენელთა აზრით, ცილიზმი თვითონ შეიცავს თავის თავში დანაშაულობის კლებისა და მისი ლიკვიდაციის თვისებას, ამიტომ სპეციალური პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება მათ საჭიროდ არ მიაჩნდათ. თუმცა, 50-იანი წლების შემდეგ უკვე დაიწყო დანაშაულობის თავიდან აცილების მიზნით სხვადასხვა რეკომენდაციების შემუშავება. მაგრამ მათ მეტწილად ზედაპირული ხასიათი ჰქონდათ.

ამრიგად, რეალური სიტუაციის შენიღების გამო დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლამ კრაზი განიცადა. წარსულის მავნე გადმონაშთების კონცეფციამ პრაქტიკული ხაზითაც მნიშვნელოვანი შეცდომები გამოიწვია.

პერსონალიები

PERSONALIA

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისსლის სამართლის კათედრის გამგამ პროფესორმა ბიორგი ტაყაშვილიამ დაწერა ნაშრომი, რომელშიც ასახულია სასიძაღულო მემკვიდრის, საქართველოს სსრ მემკვიდრეებთან აკადემიის ფიზკ-კორესპონდენტის, ჩვენი შურონალის რედაქციის ფიზკის, აწ განსვენებული პროფესორის თინათინ ფიქათლის ცხოვრება და მოღვაწეობა.

რედაქციამ მიზანშეწონილად ჩათვალა შურონალის ფურცლებზე ნაწილ-ნაწილ გამოსაქვეყნოს ხსენებული ნაშრომი. სწავლული იურისტის ცხოვრება და შემოქმედება.

ბიორგი ტაყაშვილიამ

თინათინ წაჩათალი

წინასიტყვაობა

მემკვიდრის ცხოვრების, შემოქმედებისა და წნეობრივი პრინციპების ასახვა ჩვეულებრივად მხატვრული სიტყვის ოსტატს ხელეწიფება. მე კი საამისო პრეტენზია სრულიად არა მაქვს. და თუ მაინც ეს საქმე ვითავე, ამას პატივისცემის მიზეზი აქვს: 1951 წელს, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი ვიყავი, სხვებთან ერთად, ერთბაშად მოვიხიბლე პროფესორ თინათინ წერეთლის ლექცია-სემინარებით. აქედან მოყოლებული მისი მეცნიერული ხელმძღვანელობით ვმუშაობდი. თუ რაიმეს მივალწიეთ მისმა მოწაფეებმა, ამაში უპირველესი როლი მან და მისმა მეუღლემ, სწავლულმა იურისტმა, აწ გარდაცვლილმა ვლადიმერ მაყაშვილმა შეასრულეს. ამიტომ სრულიად ბუნებრივად მეჩვენება ჩემი მოკრძალებული ცდა ამ ნაშრომით გამოვხატო უღრმესი მადლიერება სანაქებო პედაგოგისა და მართლაც შემოქმედი მეცნიერისადმი.

...ავტორი გულითად მადლობას სწირავს ყველას, ვინც გაგვიზიარა საკუთარი შთაბეჭდილებები და მოგონებები თინათინ წერეთლის შესახებ.

ვასილ ნარეთლის იუზილე ქუთაისში

თბილის-ქუთაისის მატარებელია რბილი ვაგონის კუბე. აქ ჩემს გარდა ყველა წერეთელია: აკადემიკოსი გიორგი წერეთელი, პროფესორი თინათინ წერეთელი, ექიმი — მიკრობიოლოგი ელენე წერეთელი. ვმუსაფრობთ დინჯად, ხმადაბლა. ძალიან განიცდიან უფროსი დის — ქალბატონ ბაბოს ავადმყოფობას. შორაპანთან მიახლოვებისას ერთბაშად გამოცოცხლდნენ. მოიგონეს ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა, შორაპანს ჭიათურასთან რომ აკავშირებდა, ჭიათურა. სოფელი ცხრუკვეთი — წერეთლების საგვარეულო სოფელია. ამ სოფელში ერთი საუკუნის წინათ დაბადებულა მათი მამა — ვასილ წერეთელი.

ქუთაისამდე გზა ისე დაილია, რომ ისინი მამისა და დედის ცხოვრების ამბებს იხსენებდნენ. ერთი პირობა გადაწყვეტილი მქონდა, მხოლოდ მათი ნაამბობი გადმომეცა, მაგრამ ცდუნებამ დაძლია და საბოლოოდ ვამჯობინე თავდაპირველად მათი გვარის წარმომავლობასაც შევხებოდი თუნდაც იმიტომ, რომ საზოგადოდ წერეთლების გვარეულობამ წარუშლელი წვლილი შეიტანა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრებისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგში. ამიტომ თავისებური ტრადიციაც კი შეიქმნა: რომელიმე გამოჩენილი წერეთლის მოღვაწეობის დახასიათებამდე ჭერ მის შორეულ წინაპრებს გადასწვდებიან ხოლმე.

წერეთლების თავდაპირველი საცხოვრისი იმერეთში არ ყოფილა. ისინი აქ ზემო ქართლიდან მოსულან. „გორის

სამხრეთით, თრიალეთის მთის ჩრდილო მხარიდან მიემართება ქედი, რომელიც ახლაც ატარებს წერეთის ქედის სახელწოდებას, ხოლო იმავე რაიონში მდინარე ტანას შემდინარეთა ხეობაში, მდებარეობს სოფლები დიდი წერეთი და პატარა წერეთი“¹.

როგორც ჩანს, გვარსახელი წერეთელი ამ გეოგრაფიული სახელებიდანაა ნაწარმოები. ო. სოსელია ვარაუდობს: „თვით გეოგრაფიული სახელი წერეთი ნაწარმოებია წერეთლების მამამთავრის „წერ“-ის სახელიდან (თუ ასეთი არსებობდა) და შემდეგ კი ამ გეოგრაფიული სახელიდან — გვარსახელი წერეთელი“².

ქამთა მსვლელობაში წერეთლები ორ შტოდ გაყოფილან: ნაწილი იმერეთში გადასულა, ხოლო მეორე ნაწილი — მდინარე ფრონეს ხეობაში, ცხინვალის მახლობლად. ივანე ჯავახიშვილს დადასტურებული აქვს, რომ კიხთ-იმერეთში დამპყრობელთა შემოსევებისაგან გაწამებული ქართველები კიხთ-იკრეთს იხიზნებოდნენ და დროთა ვითარებაში იქ სახლდებოდნენ³. ასეთ გაწამებულ ქართველთა გვარს ეკუთვნოდა წერეთლების გვარიც. თემურ-ლენგის ლაშქრობებით საინგილოსა თუ ზემო ქართლში შევიწროებული ქართველთა გვარი XIV საუკუნეში სახლდება იმერეთში. წერეთლების აქ მოსვლა ზემო ქართლიდან ან საინგილოდან ან ორივედანაა საგულისხმებელი. ამ გვარმა დიდი გავლენა მოიპოვა იმერეთში და „...მთელი მეთვრამეტე საუკუნის მანძილზე, აგრეთვე სამეფოს გაუქმების შემდგომ პერიოდ-

1 ასათიანი ლ., ცხოვრება აკაკი წერეთლისა, თბ., 1965, გვ. 11.

2 სოსელია ო., ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), ტ. II, თბ., 1981, გვ. 80.

3 იხ. სოსელია ო., დასახ. ნაშრომი, გვ. 81.

ში, აქტიურ როლს ასრულებდა დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ისტორიაში. ამასთან, წერეთლების საგვარეულოს გამოჩენილ წარმომადგენელთა დიდი უმეტესობა, როგორც ზემოთ ითქვა, სწორად ერკვეოდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხებში, სწორად სახავდა საკუთარი ქვეყნის კეთილდღეობისათვის საჭირო და აუცილებელ ღონისძიებებს, რეალურად და საღად აფასებდა ქართული სამეფო-სამთავროების ორიენტაციის საკითხს და თანმიმდევრულად მოქმედებდა მის შესაბამისად⁴.

იმერთა მეფის ალექსანდრე მეხუთისა და შემდეგ მისი მემკვიდრის სოლომონ პირველის კარის მწირველი მოძღვარი იყო სამეფო აზნაური სვიმონ წერეთელი. 1772 წელს სოლომონ მეფეს სვიმონ წერეთლისა და მისი შვილის გრიგოლისათვის უბოძებია სოფელი ცხრუკეთი. გრიგოლი და მისი შთამომავლობა „მოდენიშვილ წერეთლებად“ იწოდებოდნენ. გრიგოლის ერთ-ერთ ვაჟს გიორგის ოთხი შვილი ჰყავდა: ევდოკია, მიხაკო, სერგი და ვასილი⁵.

ვასილ წერეთლის დაი ევდოკია (1883-1907) საბავშვო მწერალი იყო და კონას ფსევდონიმით საყმაწვილო მოთხრობებს აქვეყნებდა იმჟამინდელ ჟურნალ-გაზეთებში. ვასილის ძმას სერგის (1867-1919) ფარმაცევტული განათლება მიუღია რუსეთში და იქვე ეწეოდა ნაყოფიერ პრაქტიკულ-სამედიცინო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

ვასილის მეორე ძმა მიხაკო წერეთელი (1878-1965) ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლობდა კიევის უნივერსიტეტში, საიდანაც

1899 წელს გარიცხეს როგორც პოლიტიკურად არასაიმედო სტუდენტი⁶. 1901 წელს პარიზიდან გაასახლეს ანარქისტულ დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის. 1907 წლიდან საქართველოშია. მან უაღრესად შთაბეჭდავი სიტყვა წარმოსთქვა ილია ჭავჭავაძის ცხედრის ჩამოსვენების დროს, 1907 წლის 7 სექტემბერს.

იგი ასე დაემშვიდობა დიდ ილიას: „შენ კი, დიდებულო ადამიანო, ივერიის ტანჯულო ძევ, გვაპატიე აქ შეკრებილ სრულიად საქართველოს, რომ სწორედ იმ ადგილას მოგისპო სიცოცხლე ჩვენმა ზნეობით დაცემამ, სადაც შენ გულამოსკვნილი სტიროდი „ბედსა ქართლისასა“, გვაპატიე, რომ შენს შუბლს ტყვია ვარგუნეთ წილად დიდების გვირგვინის მაგივრად, გვაპატიე, რომ ჩვენს სატახტო ქალაქში ტრიუმფის მაგივრად სამგლოვიარო პროცესისა გაგიმართეთ! გვაპატიე, ეს შეეფერება შენ დიდ სულოვანობას! იქ, ზევით, პოეტთა მიერ შემკულ, მდებარე მთაწმინდაზედ განგასვენებთ ჩვენ მხცოვან, ტანჯულსა, ისტორიულ დედა-ქალაქ თბილისს რომ ბატონობს იღუმალად! მაგრამ ვაგლახ ჩვენ, რომ იქიდან „ველარ გადმოხედავ შენსა სამშობლო მხარეს და ტკიბილის ჭიკჭიკითა ველარ დაატკობ მის არემარეს“, ველარ იხილავ მომავალში შენსა ივერსა, „ფენიქსებრ განახლებულსა“, თუ შთამომავალმა ეს ბედი კიდევ გვარგუნა, მაგრამ აწმყოში მაინც ბედნიერი იქნები, რადგან ველარ იხილავ აგრეთვე იმ სიწითლეს, სირცხვილს, რომელიც აწ დაცემულმა ივერმა სჭამა შენი წამებითა და რომლის ჩირქსაც იგი დიდხანს ვერ მოიბანს“⁶.

ამის შემდეგ მ. წერეთელი საზღვარ-

⁴ რეხვიაშვილი მ., იმერთი XVIII საუკუნეში (ნარკვევები), თსუ გამ-ბა, 1982, გვ. 157.

⁵ გიორგის ძმის ოსებ წერეთლის უფროსი შვილი პროფ. ალექსანდრე წერეთელი (1889-1967) თვალსაჩინო ისტორიკოსი იყო, ხოლო უმცროსი შვილი, პროფ. ნიკოლოზ წერეთელი (1905-1982) გარდაცვალებამდე თბილისის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე მოღვაწეობდა.

⁶ იხ. ილიას სამრეკლო, თბ. 1987, გვ. 522.



გარეთ გაიხიზნა, მხოლოდ თებერვლის რევოლუციის შემდეგ მცირე ხნით ჩამოვიდა საქართველოში. როგორც აკად. თ. გამყრელიძე აღნიშნავს, მ. წერეთელი იყო ევროპულად აღზრდილი, რამდენიმე ენის მცოდნე. მან ცხოვრების უდიდესი ნაწილი უცხოეთში გაატარა. შეიძლება ამით აიხსნას მისი უზომო პატრიოტიზმი და ნოსტალგია. მიხაკო ადრევე გაიტაცა უკიდურესმა მემარცხენე ანარქისტულმა იდეებმა. იგი წერდა „baton“-ის ფსევდონიმით. მას გამოქვეყნებული ჰქონდა თხზულება „კანონი“ (სოციოლოგიური ეტიუდი). ეს ნაწარმოები ფართოდ იყო გავრცელებული იმდროინდელ საქართველოში. „სამშობლოს მოწყვეტილი, იგი ფართო მეცნიერულ მუშაობას ეწეოდა. იყო ბერლინისა და ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი, გამოაქვეყნა რიგი საყურადღებო ნაშრომები აღმოსავლეთმცოდნეობის დარგში: გამოკვლევები შუმერულ-ქართული ენობრივი ურთიერთობისა და ურარტული ენის შესახებ; მასვე ეკუთვნის მაღალ დონეზე შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ ბჭკარედი გერმანულ ენაზე, რომლითაც ფართოდ სარგებლობენ ამ პოემის უცხო ენებზე მთარგმნელები; გერმანულ ენაზე თარგმნა საბას „სიბრძნე სიცრუისა“ და ივანე ჯავახიშვილის რამდენიმე შრომა. მსოფლიო აღმოსავლეთმცოდნეობის ისტორიაში შევიდა, როგორც თვალსაჩინო მკვლევარი, რომელმაც მეცნიერებაში თანამედროვე შეხედულება დაამკვიდრა ურარტული ენის საკითხებზე“⁷. აქვე აუცილებლად უნდა მოვიტანოთ პროფ. ე. კოდუას ერთი საგულისხმო მოსაზრებაც: „კრიზისულმა სიტუაციამ დაბადა ერის ყოფიერებისა და დანიშნულების, მისი საზრისის გააზრების აუცილებლობა. კრიზისის ცნობიერება და სამოქმედო

პროგრამა დასახა ილიამ. ამიტომ ის არის ერის ყოფიერებისა და დანიშნულების გამაზრებელი. ეს მემკვიდრეობით გადაეცა შემდგომ თაობებს. ყოველი მათგანი სვამდა ილიას მიერ დასმულ კითხვას, როგორია ჩვენი ვითარება, რა უნდა ვაკეთოთ და რისთვის ვაკეთოთ? ამ კითხვების სისტემურ-თეორიული გააზრების ცდა იყო მიხაკო წერეთლის „ერი და კაცობრიობა“. უკვე რამდენიმე თაობა ისე მიდის სამოღვაწეო ასპარეზიდან, რომ ეს წიგნი არ უნახავს და ბუნებრივია არ იცნობს იმ პრობლემატიკას, რომელიც მასშია დასმული“⁸.

აქ შევჩერდეთ. მატარებელმა ქუთაისში ჩაგვიყვანა. დღეს, საღამოს ქუთაისის ექიმთა საზოგადოება დაბადებიდან 100 წლისთავის იუბილეს უბნის ღვაწლმოსილ ექიმსა და საზოგადო მოღვაწეს ვასილ წერეთელს. ჩვენი მიზანია ამ იუბილეს დავესწროთ. საღამომდე საკმაოდ დიდი დროა. ვინახულეთ მედიცინის ისტორიის ადგილობრივი მუზეუმი, სადაც საგულდაგულოდ შეურჩევიათ ქუთაისში მოღვაწე თვალსაჩინო ექიმების, მათ შორის ვასილ წერეთლის მოღვაწეობის ამსახველი ექსპონატები. გიორგი წერეთელმა შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაწერა: „ქუთაისის პირველ საავადმყოფოსთან დაარსებული მუზეუმი პირველი სამედიცინო მუზეუმია საქართველოში, რომლის მსგავსი ჯერჯერობით საქართველოს არცერთ სამედიცინო დაწესებულებასთან არ არსებობს. ამ მუზეუმში დიდის სიყვარულით და საქმის ცოდნით მოგროვილია მასალები ქუთაისისა და საერთოდ დასავლეთ საქართველოს მედიცინის მუშაკთა და მათი მოღვაწეობის შესახებ. ეს მუზეუმი ნათელ წარმოდგენას აძლევს მნახველს XIX-XX საუკუნეებში ჩვენში მედიცინის განვითარების

7 გამყრელიძე, თ., აკადემიკოსი გიორგი წერეთელი (1904-1973), თბ., 1984, გვ. 5-6.
 8 კოდუა ე., ერის საზრისის საკითხები ოციან წლებში, „ცისკარი“, 1988, № 9, გვ. 116.

შესახებ და იმ ღვაწლის შესახებ, რომელიც მიუძღვით ქართველ, პოლონელ, რუს და სხვა ექიმებს საქართველოში მედიცინის განვითარების საქმეში. განუსაზღვრელად დიდია ამ საქმის ორგანიზატორისა და სულის ჩამდგმელის, პირველი საავადმყოფოს მთავარი ექიმის ვახტანგ გიორგაძის დამსახურება და ვფიქრობთ, თუ ამ მხრივ მას სხვა დაწესებულებებისა და სამედიცინო ორგანიზაციების ხელმძღვანელები მიბაძევენ, დიდად შეუწყობენ ხელს საქართველოში საერთოდ მეცნიერების ისტორიის შესწავლის საქმეს. მუზეუმის ორგანიზატორები და ხელმძღვანელები დიდ მადლობას იმსახურებენ ყველას მხრივ, ვისაც ჩვენი მეცნიერების განვითარების ისტორია აინტერესებს“. ამ ჩანაწერს ხელი მოვაწერეთ და თარიღიც აღვნიშნეთ: 1967 წლის 6 დეკემბერი.

იმ საღამოს პედაგოგიური ინსტიტუტის სააქტო დარბაზში მოვიდნენ ექიმები, ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. მომხსენებელმა ვასილ გიორგაძემ ვასილ წერეთლის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ისაუბრა, გიორგი წერეთელმა კი მამის პიროვნებისათვის დამახასიათებელი და ექიმთათვის მისაბაძი ნიშან-თვისებები გააშუქა.

...ვასილ წერეთელმა ქუთაისის გიმნაზიაში შესვლისას რუსული ენა არ იცოდა, მაგრამ სულ მალე ისე კარგად დაეუფლა ამ ენას, რომ ამის გამო მასწავლებლის რისხვა და მტკივნეული წკიპურტიც დაიმსახურა. მასწავლებელს თურმე მოეჩვენა, რომ ვასილმა „დიქტანტი“ გადაიწერა. ასე განმეორდა ორჯერ თუ სამჯერ. ბოლოს და ბოლოს მასწავლებელი დარწმუნდა, რომ მოწაფე არ ცრუობდა და რისხვა პატივისცემით შეცვალა — ვასილი უკანასკნელი მერხიდან პირველ მერხზე გადმოსვა. ვასილ წერეთლის გადმოცემით, მასთან ერთად გიმნაზიაში სწავლობდა ნიკო მარი, რომელსაც ისე

კარგად შეუსწავლია ბერძნულ და ლათინური, რომ მასწავლებლებს მისი ეშინოდათ. ნ. მარს აქვე შეუსწავლია თანამედროვე უცხო ენებიც.

17 წლის ვასილს მამა გარდაეცვალა. მისმა დედამ — მაიამ, იაშვილის ქალმა, კატეგორიულად უარი თქვა გიმნაზიიდან შვილის გამოყვანასა და სამუშაოდ „კანცელარიაში“ მოწყობაზე. დედის ამ სურვილს ვასილიც თავამოდებით მხარს უჭერდა. იგი ნათესავეებს პირდებოდა, რომ მათი მატერიალური შემწეობის გარეშე, თვით შეძლებდა გიმნაზიის დამთავრებას კერძო გაკვეთილებით.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1884 წელს ვ. წერეთელი ოდესის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტი ხდება და, როგორც თვითონ იგონებდა, 1884-1887 წლებში გულმოდგინედ სწავლობდა ბუნებისმეტყველებას. აქ მისი ერთ-ერთი ლექტორი იყო ცნობილი ქიმიკოსი პროფ. ვასილ პეტრიაშვილი.

1886 წელს ქართველი სტუდენტობის ერთი ნაწილი დაუახლოვდა რუსეთის ხალხოსნების სტუდენტურ ფრაქციას. მათ შორის იყო ვ. წერეთელიც, რომელიც დიდი გატაცებით ეწეოდა პროპაგანდას სტუდენტობასა და მუშებს შორის. იგი დაუმეგობრდა ცნობილ შლისელბურგელს — ნ. მოროზოვს. „ვასილი — იგონებს გ. ლასხიშვილი, — იმხანად დიდი პროპაგანდისტი იყო და სულ პროზელიტებს ეძებდა, დაიჭერდა რომელსამე სტუდენტს და საშველს არ მისცემდა, სანამ არ მოარჯულებდა. ხშირად ვნედავით ამნაირ სურათს: „კურილკას“ (ვეებერთელა დარბაზი) ერთ თავში ვასილი დაიჭერდა ვისმეს, წაავლებდა ტუყურკის ფოლაქში ხელს და ცხარედ უქადაგებდა, თან სულ მოიწევდა: სტუდენტი უკან იწევდა და ბოლოს ორივენი დარბაზის მეორე კედელს მიაწყდებოდნენ, გასაქანი არსად იყო და სტუდენტიც ნებდებოდა. ოღონდ თა-

ვი დაედწია უღმრთელო პროპაგანდის-
ტისაგან. ხანდახან საქმე სხვაგვარადაც
თავდებოდა. ერთხელ ვასილმა ხელში
ჩაიგდო ერთი მათემატიკოსი ქართვე-
ლი, რომელიც ძალიან და ძალიან
შორს იდგა ყოველგვარი პოლიტიკისა-
გან, მათემატიკოსი დარბაზის შუამდევ
დაჰყვა ჭასილს, აქ კი შეჩერდა, გა-
წითლდა, გაჭავრდა და ხმამაღლა შეს-
ძახა: „ბასლუში, ჩტო ტი ხოჩიში ნე-
ხოჩუ რესპუბლიკიო“. ვასილმა ჩვენთ-
ან მოიბრინა და შემოგვფიცა, —
ღმერთი, რჯული, რესპუბლიკა არც კი
მიხსენებიაო“⁹.

ოდესაშივე იწყებს ვ. წერეთელი
კ. მარქსის „კაპიტალის“ შესწავლას.
თავის მოგონებებში იგი წერს: „ხალ-
ხოსნობის იდეოლოგიამ მე ვერ და-
მაკმაყოფილა, ვგრძნობდი ხალხოსნუ-
რი თეორიის სუსტ მხარეს და ხელი
მივყავი მარქსის „კაპიტალის“ შესწავ-
ლას და კიდევაც შევისწავლე“. პოლი-
ტიკურმა მუშაობამ იმდენად გაიტაცა
ვ. წერეთელი, რომ მან 1887 წელს თა-
ვი დაანება საბუნებისმეტყველო ფა-
კულტეტს და იურიდიულ ფაკულტეტ-
ზე გადავიდა. ვ. წერეთლის ეს გადაწ-
ყვეტილება არ მოიწონა პროფ. ვ. პე-
ტრიაშვილმა. ვ. წერეთელი იგონებ-
და: მახსოვს, ერთხელ მთელი ღამე
მარიგებდა გათენებამდის, იურიდიული
ფაკულტეტი არაფერს არ მოგცემს, სა-
ბუნებისმეტყველო ფაკულტეტი რეა-
ლურ დადებით განათლებას იძლევაო.

1887 წელს ვ. წერეთელმა აქტიუ-
რი მონაწილეობა მიიღო სტუდენტთა
მოძრაობაში მეფის მთავრობის წინა-
აღმდეგ, გახდა რევოლუციური ორგა-
ნიზაციის „ნაროდნაია ვოლია“ წევ-
რი, შემდეგ მიემხრო რევოლუციურ-
ლიბერალურ მოძრაობას. იგი გარიც-
ხეს ოდესის უნივერსიტეტიდან მე-3
პუნქტით, ე. ი. მგლის ბილეთით, და-

ატუსალეს და ეტაპით საქართველოში
გადმოგზავნეს გ. ლასნიშვილთან და
კ. მესხთან ერთად. „ვასილ წერეთელი
იმ დროს პოლიტიკური ეკონომიით
იყო გატაცებული, ხოლო ამისთანა
გატაცება მას ყოველთვის როგორც
აშორებდა ამა ქვეყანას, ახლაც მთელ
საეტაპო მგზავრობის დროს ის თით-
ქმის არავითარ ყურადღებას არ აქ-
ცევდა, რაც მის გარშემო ხდებოდა და
ფილოსოფოსივით ჩაფიქრებული იყო
ხოლმე. ხანდახან თეორიულ მუსაიფ-
საც დაგვიწყებდა. როსტოვში იმ დღეს
ძალიან ციოდა. სალდათებს გაჩქარე-
ბულნი მივყავით და წამლაუწუმ
„ჩქარა“, „ჩქარას“ გვეძახოდნენ. უც-
ბად ვასილი მოგვიახლოვდა მე და კო-
ტე მესხს და დაგვიწყო: — ძალიან სა-
ინტერესოა ადამ სმიტის გამოკვლევა
საშუალო საუკუნეებში ქალაქების
ზრდის შესახებ... — თუ ღმერთი
გწამს, თავი დაგვანებე, ვასილ — შე-
ვედრა კოტე მესხი, რა მეადამსმიტე-
ბა, — სული კბილით გვიჭირავსო“¹⁰.

ექვსი წლის განმავლობაში ვ. წერე-
თელი უფლებდაყრილი იყო. ამიტომ
დიდ ქალაქებში ცხოვრება და სახელ-
მწიფო სამსახურში შესვლა აკრძალუ-
ლი ჰქონდა. მატერიალურად ძალიან
უჭირდა. შემთხვევით შემოსავალს
ეძებდა. ერთ-ერთ ასეთ შემთხვევით
შემოსავალს წარმოადგენდა 1890 წელს
მონაწილეობა ფილოქსერას საწინააღ-
მდეგო ღონისძიებათა ექსპედიციაში.
უნდა გამოეკვლიათ ფილოქსერას გავ-
რცელების არე. ვ. წერეთელი რაზმის
სხვა წევრებთან ერთად დაიარებოდა
სოფელ-სოფელ ვენახებში და ეძებდა
ფილოქსერას, რისთვისაც თვეში 60 მა-
ნეთი ეძლეოდათ. ამ მოგზაურობას ისი-
ნი იყენებდნენ თავიანთ პოლიტიკუ-
რი მრწამსის პროპაგანდის მიზნით.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

⁹ ლასნიშვილი გ., მემუარები, ტფილისი, 1934, გვ. 15.
¹⁰ ლასნიშვილი გ., დასახ. ნაშრომი, გვ. 37.



საქართველოს დამფუძნებელი კრება

საქართველოს დამფუძნებელი კრება გაიხსნა 1919 წლის 12 მარტს და თავის მოვალეობას ასრულებდა 1921 წლის 18 მარტამდე, საქართველოს ოკუპაციამდე. დამფუძნებელი კრება ანუ საქართველოს პარლამენტი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის სიტყვებით რომ ვთქვათ, იყო ხალხის წარმომადგენლობითი ორგანო, არჩეული საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და პროპორციული წესით. პარლამენტს როგორც საკანონმდებლო ორგანოს ეკისრებოდა კანონების, დეკრეტების და დადგენილებების გამოცემა. „პარლამენტის უფლებაა — ნათქვამია კონსტიტუციაში, — ა) კანონმდებლობა; ბ) უმაღლესი გამგებლობა რესპუბლიკის ჯარისა და საზოგადოებრივი უსივრცელი შეიარაღებული ძალისა; გ) ომის გამოცხადება; დ) დამტკიცება საზავო, საჯარო და ამგვარ ხელშეკრულებებისა უცხო სახელმწიფოებთან; ე) ამინისტია; ვ) ბიუჯეტის დამტკიცება; ზ) საშინაო და საგარეო სესხის აღება; ლ) თანამდებობის პირთა არჩევა; კონსტიტუციით ან კანონით მისდამი მიკუთვნებულობა და თ) საერთო კონტროლი აღმასრულებელი ხელისუფლებისა“.

დამფუძნებელი კრების წინ ამ მოვალეობას საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ასრულებდა ეროვნული საბჭო, რომელიც 1917 წლის 19 ნოემბერს იქნა არჩეული და რომელსაც 1918 წლის სექტემბრიდან „საქართველოს პარლამენტი“ ეწოდა. საქართველოს პარლამენტმა გასწია ფართო მოსაზრადებელი მუშაობა დამფუძნებელი კრების არჩევნების წინადადებას და ჩატარებისათვის. 1919 წლის თებერვალში იქნა დადგენილი დამფუძნებელი კრების არჩევნების ხელშეწყობის ენთელსიზმით ჩატარდა რესპუბლიკის ყველა რეგიონში. არჩევნებში მონაწილეობდა 505477 კაცი. ე. ი. ამომრჩეველთა 80 პროცენტზე მეტი. საარჩევნო კომპანიაში 15-მდე პარტია იყო წარმოდგენილი. ხმების მიხედვით სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ გაიყვანა 109 დეპუტატი, ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ — 8 დეპუტატი, სოციალ ფედერალისტებმა — 8 დეპუტატი, სოციალისტ-რევოლუციონერებმა — 5 დეპუტატი. დანარჩენმა პარტიებმა ვერცერთი დეპუტატი ვერ გაიყვანეს, რადგან სავალდებულო რაოდენობა ხმების ვერ დააგროვეს.

დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა გახსნა სოციალ-დემოკრატიული პარტიის უხუცესმა წევრმა სილიბისტრო ჯიბლაძემ. არჩეულ იქნა პრეზიდიუმი. წაკითხული იქნა დამოუკიდებლობის აქტი შემდეგი დამატებით: „საქართველოს დამფუძნებელი კრება არჩეული, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციული საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ — თავის პირველსავე სხდომაზე 1919 წლის 12 მარტს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს და აღსტურებს საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ 1918 წლის მაისის 26-ს ნაშუადღევს ა. ხ. 10 წუთზე თბილისში გამოცხადებულს საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს“.

მეორე სხდომაზე ნოე უორდანიას მთავრობამ ჩააბარა თავისი რწმუნება. შედგა ახალი მთავრობა ნოე უორდანიას მეთაურობით. მე-4 და მე-5 სხდომებზე სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ და სხვა პარტიებმა წარმოადგინეს თავიანთი დეკლარაციები. ეროვნული-დემოკრატიები, სოციალისტ-ფედერალისტები და სოციალისტ-რევოლუციონერები ოპოზიციაში ედგნენ მთავრობას და შეაცრად აკრიტიკებდნენ მის საქმიანობას.

დამფუძნებელმა კრებამ თავისი არსებობის მთელ მანძილზე განიხილა დამოუკიდებელი

საქართველოს საშინაო და საგარეო ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი საკითხი. ამ კრების სტენოგრაფიული ანგარიშებით (იგი ქვეყნდებოდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ და მატეხად) შესაძლებელია 1919-1920 წლ. მარტამდე საქართველოს სისხლსავსე ცხოვრების სურათის სრულად აღდგენა.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც იხილებოდა ჩერ ეროვნული საბჭოს, ხოლო შემდეგ პარლამენტის სხდომებზე იყო საქართველოს მოქალაქეობის საკითხი. მოქალაქეობის კანონ-პროექტის განხილვას მიეძღვნა დამფუძნებელი კრების მე-14, მე-16 და მე-18 სხდომები. საკითხის განხილვაში მონაწილეობდა ყველა პარტიის წარმომადგენელი დეპუტატი. გამოითქვა ბევრი თვალსაზრისი, რომელთაც დღესაც არ დაუპირგავთ ცხოველმყოფელობა.

გთავაზობთ დამფუძნებელი კრების აღნიშნული სხდომების სტენოგრაფიულ ანგარიშს, კერძოდ, ამ სხდომების იმ ნაწილს, რომელიც შეეხება მოქალაქეობის კანონ-პროექტის განხილვას.

ბაბატა სურგულაძე

მეთოთხმეტე სხდომა*

1919 წელი. მაისის 8. ტფილისი. სასახლე.

თავმჯდომარეობენ დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალექსანდრე ლომთათიძე და სიმონ მღვივანი. მღვივობს დამფუძნებელი კრების მდივნის ამხანაგი შარაშიძის ასული. პრეზიდიუმში არიან: კონსტანტინე ჯაფარიძე, გრიგოლ ნათაძე. სხდომა იწყება სიმონ მღვივანის თავმჯდომარეობით 12 საათ. და 16 წუთ.

მოქალაქეობის კანონპროექტი

პავლე საყვარელიძე. ბატონებო, დამფუძნებელ კრების საკონსტიტუციო კომისიამ მოქალაქეობის შესახებ შემოიტანა ახალი მთლიანი კანონ-პროექტი თანახმად დამფუძნებელ კრების სურვილისა, რომელიც გამოითქვა ერთ-ერთ უკანასკნელ სხდომაზე.

კანონ-პროექტი არის მთლიანი იმ აზრით, რომ იქ არის გადმოტანილი ყველა ის არსებითი მუხლები, რომელიც იყო მიღებული პირველ კანონით, იმ კანონით, რომელიც მიიღო ეროვნულმა საბჭომ.

ამ მხრივ ამ კანონში არის ყველა ის ძირითადი დებულებები, რომელიც არსებითად შეეხებიან მოქალაქეობას და

რომელიც შეტანილი უნდა იქნეს შემდეგ ძირითად საკონსტიტუციო კანონებში. ამ აზრით ეს კანონი არის მთლიანი. საზოგადოთ უნდა მოგახსენოთ, რომ ეს საკითხი რთული საკითხია, იურიდიულ მეცნიერებაში მოქალაქეობის საკითხი. ხალხი აუცილებელია სახელმწიფოსათვის, ეს თავისთავად ცხადია, სახელმწიფო ემყარება ხალხს, ისე როგორც ტერიტორიას. ასე, რომ უხალხოდ შეუძლებელია წარმოვიდგინოთ სახელმწიფო. ხალხი კი, — ეს შემკრებლობაა მოქალაქეთა, ანუ ქვეშევრდომთა. ხალხი სახელმწიფოებრივ თვალსაზრისით, არის კრებული ქვეშევრდომებისა, კრებული

* სტილი დაკუთლია

მოქალაქეებისა. ამიტომ მოქალაქეობის საკითხი არის ერთი უდიდეს საკითხთაგანი. რას შეიცავს მოქალაქეობა?

შინაარსი მოქალაქეობისა შეიცავს ერთის მხრით უფლებას, უფლებათა მთელ რიგს, მეორეს მხრივ მოვალეობათა მთელ რიგს ამავე მოქალაქისას. მაშასადამე, მოქალაქე არის აღჭურვილი განსაზღვრული უფლებებით და მოქალაქეს აქვს განსაზღვრული მოვალეობა სახელმწიფოს მიმართ. მოქალაქე არის ვალდებული შეასრულოს სახელმწიფოს წინაშე მთელი რიგი მოვალეობისა და ამავე დროს მოქალაქე არის აღჭურვილი უფლებებით სახელმწიფოს მიმართ.

რა არის მოვალეობა მოქალაქისა? მოვალეობა მოქალაქისა მდგომარეობს იმაში, რომ ის ემორჩილება სახელმწიფოს, ვალდებულია დაემორჩილოს და ამავე დროს ვალდებულია ერთგული იყოს სახელმწიფოსი. ეს არის ძირითადი არსებითი მოვალეობა მოქალაქისა, მას არ შეუძლია არ დაემორჩილოს სახელმწიფოს, სახელმწიფოს ძირითად ძალაუფლებას, მის სუვერენობას. მეორეს მხრივ მას არ შეუძლია უღალატოს მას. ეს ერთის მხრივ. მეორეს მხრივ მოქალაქეს აქვს უფლებაც. მართო მოვალეობა არ არის მოქალაქისათვის, ის არის და აღჭურვილი უნდა იყოს უფლებითაც. მას აქვს უფლება თავისუფლად ლაპარაკისა, მოქმედების და სხვ. გარდა ამისა მას აქვს პოლიტიკური უფლებები, იმისთანა უფლებები, რომლითაც მოქალაქენი სარგებლობენ. ჩვენ ავირჩევთ, მაგალითად, ადგილობრივ თვითმართველობაში, ვირჩევთ საკანონმდებლო დაწესებულებაში და სხვა. ამ გვარია არსებითი მცნება მოქალაქეობისა.

თქვენ კარგად იცით, რომ დღევანდელ განვითარების საფეხურზე სახელმწიფოები ცალ-ცალკე არსებობენ. შეიძლება მოვესწროთ იმ დროს, როდესაც სახელმწიფოები გაერთიანდ-

ბიან, შეიძლება მოვესწროთ იმ დროს, როდესაც სახელმწიფოები ცალ-ცალკე აღარ იქნებიან. როდესაც ერთი საერთაშორისო, რაღაც საკანონმდებლო ორგანო შეიქმნება. და მაშინ შეიძლება თვითონ მცნება ქვეშევრდომებისა შეიცვალოს. ეს შეიძლება, მაგრამ, ეს შორს არის ჩვენგან. დღევანდელ დღეს კი სახელმწიფონი არსებობენ ცალ-ცალკე და სხვა და სხვა განვითარების საფეხურზე სდგანან. ამიტომ მოქალაქეობის საკითხი დღეს წყდება სახელმწიფოებრივ, ნაციონალურ საზღვრებში. ყველა სახელმწიფოს თავისი საკუთარი კანონი აქვს თავისი მოქალაქეობისა.

არის რამდენიმე სახელმწიფო, რომლებიც ხელშეკრულებას დებენ ურთიერთ შორის მოქალაქეობის შესახებ. მაგალითად შვეიცარია და საფრანგეთი სდებენ ხელშეკრულებას, რომ დაახლოვებით ერთგვარი კანონმდებლობა იყოს. ნაკარნახევია ეს იმ მოსაზრებით, რომ კონფლიქტი არ მოხდეს ამ ორ სახელმწიფოს შუა. მაგალითად არის სხვა სახელმწიფოები, დავასახელებ გერმანიას და შეერთებულ შტატებს და სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოთ. გერმანია და სამხრეთ ამერიკის რესპუბლიკებს შორის არის ერთგვარი ხელშეკრულება, რომლის ძალით მაგალითად, გერმანელი, როდესაც გადავა ამ სახელმწიფოებში და განსაკუთრებულ დროს განმავლობაში იცხოვრებს იქ, ხდება *lo ipso* იქაურ სახელმწიფოს მოქალაქე, ამავე დროს, იქაურ სახელმწიფოს მოქალაქე, თუ გადმოვა გერმანიაში განსაზღვრული ვადის განმავლობაში, ხდება თავის თავად გერმანიის მოქალაქე, ნატურალიზაციის წესი არ არის საჭირო, ამ გვარი ხელშეკრულებანი არის. მაგრამ, უდიდეს შემთხვევაში, სხვა და სხვა კანონმდებლობა და არავითარი შეთანხმება არ არის მოქალაქეობის შესახებ. აქედან იზადება უდიდესი საკითხი საერთაშო-



რისო კერძო უფლებების. ეს გახლავთ უფლებათა კოლიზია, უფლებათა შეტაკება. ძალაუნებურად შეტაკება ხდება, როდესაც უფლებების გამომცემელი ერთი და იგივე არაა. მაგალითად, საქართველოში უფლებას სცემს დამფუძნებელი კრება. ეს არის უმაღლესი წყარო უფლებებისა. სხვაგან, მაგალითად რუსეთში, აზერბაიჯანში სხვა უფლებების წყაროა. ამნაირად, შესაძლებელია იქ სხვანაირი კანონი მიიღონ და ჩვენი კანონი დაეტაკოს იმ კანონს. ამგვარად ხდება ერთგვარი კოლიზია უფლებათა. დიდი ცდა არის, რომ ეს კოლიზია არ გახდეს, არ იყოს წინააღმდეგობა. მაგრამ ჭერჭერობით ეს უნაყოფოა. თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ ორიოდ შეთხვევას, რომელზედაც მე მიგიითითეთ. (თავმჯდომარის ალაგს იჭერს ალ. ლომთათიძე).

რაში არის ეს კოლიზია? აი რაში არის. საზოგადოთ კითხვას მოქალაქეობისას აქვს ორი დასაწყისი, ორი პრინციპი.

ერთი პრინციპია, პრინციპი სისხლისა, შთამომავლობისა, პრინციპი წარმოშობისა; და მეორე — პრინციპი ტერიტორიალური. ვთქვათ ჩვენი ფიქრით საქართველოს მოქალაქის შვილი სადაც უნდა დაიბადოს ის, — არის საქართველოს მოქალაქედ. ეს არის სისხლის პრინციპი. მაგალითად საფრანგეთში ცხოვრობს ქართველი, ის არის ჩვენი მოქალაქე, მისი შვილი ითვლება საქართველოს მოქალაქედ. მეორე პრინციპი სულ სხვა არის. ავიღოთ, საქართველოს მოქალაქე უცხო სახელმწიფოში ცხოვრობს, მას იქ შვილი დაებადა, ის ჩაითვლება იმ სახელმწიფოს მოქალაქედ. ეს ორი პრინციპი უპირდაპირდება ერთმანეთს. ზოგიერთ სახელმწიფოს აქვს სისხლის, შთამომავლობის პრინციპი, ეს არის გერმანულ უფლებების ქვეყნები. მაგრამ სხვა სახელმწიფოში არ იზიარებენ, და აღიარებენ ტერიტორიალურ პრინციპსა. მა-

გალითად, სამხრეთამერიკის რესპუბლიკები ჩილი, ბრაზილია და სხვა, აგრეთვე დანია — ისინი აგებენ მოქალაქეობას და ქვეშევრდომობას ტერიტორიალურ პრინციპზე. დანიის მოქალაქეს ჩვენში შვილი რომ დაებადოს, ის იქნება დანიის კანონის ძალით საქართველოს მოქალაქე.

მაგრამ არის მესამე რიგი სახელმწიფოებისა, რომლებიც აერთიანებენ ამ ორ პრინციპს. ეს არის მესამე შერეული პრინციპი, მაგალითად საფრანგეთი. საზოგადოდ ლათინური სახელმწიფოები ტერიტორიის პრინციპს აღიარებდნენ, მაგრამ შემდეგ იძულებული გახდნენ ქედი მოეხარათ შთამომავლობითი პრინციპის წინაშე და შერეული სისტემა, შერეული პრინციპი ელიარებიათ.

ჩვენი ქვეშევრდომობის კანონი უაღრესად ხაზს უსვამს პირველ პრინციპს. იგი უფრო სისხლის და შთამომავლობის პრინციპს აძლევს უპირატესობას. მაგრამ ტერიტორიალურ პრინციპსაც არ ვუარყოფთ საგსებით. ქეშმარიტებაა, რომ გერმანიის კანონმდებლობა უაღრესად დაწინაურებული და პროგრესულია, აქ შთამომავლობის პრინციპს უპირატესობას აძლევენ მეორე პრინციპზე, ტერიტორიის პრინციპზე. გერმანიის პრინციპი ლაპარაკობს, რომ მოქალაქე და მისი შვილი, სადაც უნდა დაიბადოს ის არის იმ სახელმწიფოს მოქალაქე, საიდანაც გამოსული არის. ამ პრინციპს აქვს უპირატესობა, საკონსტიტუციო კომისიამ უპირველესად ყოვლისა მიაქცია ყურადღება ამ პრინციპს. საქართველოს მოქალაქის შვილი, ვამბობთ ჩვენ, სადაც უნდა დაიბადოს, აქ თუ საზღვარ-გარეთ, საქართველოს მოქალაქე მამისგან შობილი არის საქართველოს მოქალაქე.

მოქალაქეობას აქვს ორი მხარე: ერთი ის, როდესაც იბადება მოქალაქეობა, მეორე ის, როდესაც იკარგება ეს მოქალაქეობა.

პირველ ყოვლისა დაბადებით მოი-

პოვება მოქალაქეობა, მეორე ქორწინებით. მაგალითად საქართველოს მოქალაქე ითხოვს უცხო სახელმწიფოს ქალს ცოლად, მისი ცოლი ხდება საქართველოს მოქალაქეთ. შემდეგ ნატურალიზაციით, შვილებით. მაგ. იშვილებ უცხო ტომის ბავშვს, რომელიც ხდება ჩვენი მოქალაქე. როგორ იკარგება მოქალაქეობა? იკარგება იგი ნატურალიზაციით სხვა სახელმწიფოში, ქორწინებით და სხვ.

აქ საინტერესო არის დაპირდაპირება ჩვენი მოქალაქისა და უცხოელისა. რა განსხვავებაა მათ შორის? ზოგიერთნი, განსაკუთრებით ესერები, კრიტიკას უკეთებენ ჩვენს კანონს. ყველას უნდა მივცეთ უფლებაო, უნდა გავათანასწოროთო. ჩვენ კი ვზღუდავთ, კედელს ვაშენებთ, ვარჩევთ — ეს უცხოელია, ეს ჩვენი მოქალაქეაო და სხ. ეს დიდი სერიოზული საკითხია და ესე გადაწყვეტა მისი, რომ ყველა ადამიანები ვართ და თანასწორი უფლება მივცეთ ყველას, რაკი აქ არიან უნდა მიიღონ მონაწილეობა ყველამ თანასწორათო — შეუძლებელია, ეს იქნება დარღვევა ყოველივე სახელმწიფოებრიობისა და ეს ჩვენ არ შეგვიძლიან.

რატომ ვართ წინააღმდეგი, რომ უცხოელს ჰქონდეს ისეთივე უფლება, როგორც აქვს ჩვენ მოქალაქეს? ჩვენ ვამბობთ, რომ მივცეთ ასეთი უფლებები უცხოელთ, რომელნიც შემოვლენ აქ საქართველოში — უფლება პოლიტიკური, შესაძლებელია სახელმწიფოში სრული არევი-დარევი მოხდეს. წარმოიდგინეთ, რომ ყველა რუსეთიდან ჩამოსულთ, ყველა გერმანელს, ან ინგლისელებს, რომელნიც არიან აქ, ყველას მივცეთ უფლება, რომ ჩვენ საქმეში, ჩვენს კანონმდებლობაში მონაწილეობა მიიღონ, როგორც ჩვენ მკვიდრთ, ადგილობრივ მცხოვრებთ, ეს შეუძლებელია. შეუძლებელია მათ იმუშაონ და იკანონმდებლონ აქ, სანამ მოქალაქენი არ გამხდარან.

რაც შეეხება მოქალაქეობას უფლებებს, ამ სფეროში ჩვენ მათ ვათანასწორებთ. ხოლო პოლიტიკურ უფლებით სარგებლობისათვის მოქალაქედ განხდომია საჭირო. ეს კი უცხოელს შეუძლია ნატურალიზაციით. საჭიროა ერთგვარი სტაჟის გავლა, რომლის შემდეგ უცხოელი მოიპოვებს ჩვენ მოქალაქეობას. ქალის და კაცის უფლებებზე მსჯელობენ აქ. წარსულ კრებაზე, როგორც მახსოვს, ესერებმა განაცხადეს ქალის შესახებ, ვითომ ჩვენი აზრით ქალი ნივთი იყოს, უცხოელზე გათხოვებისას როგორ შეიძლება დაკარგოს ჩვენი მოქალაქეობაო. ეს ბატონებო, ჩვენი მონილი კი არ არის, ჩვენ რა თქმა უნდა მომხრენი ვართ თანასწორ უფლებებისა, მაგრამ შეუძლებელია იმ ფაქტის უარყოფა, რომ უცხოეთში გათხოვილი ქალი შორდება თავის პირვანდელ სამშობლოს და კარგავს ფაქტიურად თავის პირვანდელ მოქალაქეობას. ჩვენი მოქალაქე ქალი, რომ გათხოვდეს საფრანგეთში, პარიზში, რუსეთში დასტოვებს თუ არა ის ფაქტიურად ჩვენს მოქალაქეობას? თავისთავად ცხადია, დასტოვებს. თუ ჩვენ დავავალებთ მას, რომ უთუოდ საქართველოს მოქალაქედ დარჩეს, ეს განუხორციელებელი და უაზრო დავალება იქნება. ის მიჰყვება ქმარს, მას აქვს ერთგვარი ოჯახური ურთიერთობა ქმართან, აქედან იბადება მრავალი ვალდებულება, მოვალეობა, უფლება-მემკვიდრეობა, მოკლედ საოჯახო უფლებები, ყველა ეს ძალაუნებურად ბოჭავს მას. ძალიან იშვიათი იქნება, რომ ჩვენმა მოქალაქე ქალმა, უცხოელის ცოლმა, მოითხოვოს — „არ მინდა დავრჩე პირვანდელ ქვეშევრდომობაშიო“. ეს იშვიათი მოვლენა არის და როცა ეს ხდება, ხდება ყოველთვის ან განქორწინების ან დაქვრივების შემდეგ. მაშინ მას შეუძლია დაუბრუნდეს პირვანდელ ქვეშევრდომობას. საერ

თოდ უმეტეს შემთხვევაში ქალი იძენს ქმრის ქვეშევრდომობას, მოქალაქეობას.

საქართველოში როგორი მდგომარეობა იყო? საქართველო არ იყო გუშინ სახელმწიფო, ის ხელმეორედ გაჩნდა დღეს, გამოაცხადა თავის თავი სახელმწიფოდ 26 მაისს. მაშასადამე მას, როგორც სახელმწიფოს, ჰქონდა ორი მოვალეობა ამ საკითხში. ერთის მხრივ უნდა მოენახა სახელმწიფოებრივი საფუძველი მოქალაქეობისა, მეორეს მხრივ ჩვეულებრივი წესი ეგრედწოდებულ მოქალაქეობის მოპოებისა და შექმნისა დაეკანონებინა. პირველი მან შეასრულა პირველი კანონით ეროვნულ საბჭოში. ახლა ჩვენ ამას ვაგსებთ მეორე ჩვეულებრივი, მოქალაქეობის ჩვეულებრივი მიღების, მოპოების და დაკარგვის წესებით. პირველი კანონი რას ამბობს ამის შესახებ თქვენ კარგად გახსოვთ.

პირველი კანონი ამბობს, რომ ყველა მოქალაქე, მკვიდრი საქართველოს რესპუბლიკისა, არის საქართველოს მოქალაქე, მხოლოდ მკვიდრი გვესმოდა და ეხლაც გვესმის მცხოვრები განსაკუთრებით მიწერილნი ამა თუ იმ ადმინისტრაციულ ერთეულზე. 19 ივნისამდე 1914 წლისა. უმეტესობა მთელი საქართველოს მოქალაქეებისა ამ კანონით ამოიწურება, ამ კანონის ფარგლებში არიან. მაგრამ ბატონებო, ამ კანონის გარეშე დარჩა კიდევ ერთგვარი კატეგორიები ხალხისა, ქართველნი და არა-ქართველნი, რომელნიც საქართველოს მოქალაქეთ ჩაითვლებიან თუ კანონი ამას გამოაცხადებს. აი ასეთი ქართველნი, ასეთი არა-ქართველნი არიან და ჩვენ ვამბობთ: ყველა არა-ქართველნი ქვეშევრდომნი ყოფილ რუსეთის იმპერიისა, რომელნიც 19 ივნისს 1914 წლამდე, უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში ცხოვრობდნენ საქართველოში — ჩაირიცხებიან საქართველოს მოქალა-

ქედ, თუ 3 თვის განმავლობაში იმ კანონის გამოცხადების შემდეგ განაცხადებს, რომ მას სურს საქართველოს მოქალაქეობა.

იბადება საკითხი, რატომ არის 1914 წელიწადი აღებული. ეს ომის დატარება არის; ომის შემდეგ მოხდა დიდი გადატრიალება, ხალხის გადასვლა-გადმოსვლა, გადასახლებ-გადმოსახლება. ლტოლვილნი ბევრი გადმოსახლდნენ, ამან არივდარია საქმე, ამიტომ განისაზღვრა ეს ომით. ომამდე შედარებით ნორმალური მდგომარეობა იყო. ამ ნორმალურ მდგომარეობაში თუ სცხოვრობდა ვინმე განუწყვეტლივ 3 წლის განმავლობაში ე. ი. 1912 წლიდან, ის არის საქართველოს მოქალაქე თუ განაცხადა, რომ მას სურს ეს. გარდა ამისა იბადება საკითხი, 1914 წლის შემდეგ შეიძლება დაბინავდა ვინმე აქ ქვეშევრდომი ყოფილი რუსეთისა. რა ვქნათ ამ შემთხვევაში? უარყოფით მათი სურვილი, რომ გახდნენ ჩვენი მოქალაქენი? ჩვენ ვამბობთ, — ყველა ქვეშევრდომი ყოფილ რუსეთის იმპერიისა, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს: საქართველოში სცხოვრობს 3 წლის განმავლობაში, საქართველოს ტერიტორიაზე შეუძენია უძრავი ქონება, ან და სცხოვრობს თავისი შრომით და ამავე დროს 3 თვის განმავლობაში განაცხადებს, რომ მას სურს საქართველოს მოქალაქეობა — ასეთი ყოფილი რუსეთის ქვეშევრდომი გახდება ჩვენი მოქალაქე.

ერთი კატეგორიაა ის, რომელსაც 1914 წლამდე 3 წელიწადი უნდა ეცხოვრა, მეორე კატეგორიას შეიძლება შემდეგაც ეცხოვრა, მაგრამ აქ ცოტათი გაძნელებულია მიღების პირობები.

მესამე კატეგორია შეეხება ქართველებს, რომელთაც სურთ ჩვენი მოქალაქეობა, მაგრამ პირველ მუხლის კანონის ძალით არ არიან მიწერილნი. მათზე ჩვენ ვამბობთ: ქართველები,

ყოფილი რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომნი, სადაც უნდა იყვნენ ისინი სულ ერთია, ამ პირობების გარეშეც იქმნებიან მიღებული საქართველოს მოქალაქედ. მხოლოდ ეს სურვილი მათ უნდა გამოუცხადონ სამი თვის განმავლობაში, თუ რუსეთში არიან მახლობელ კონსულს და თუ საქართველოში — მომრიგებელ მოსამართლეს. აქ ერთი საკითხი იბადება: განცხადება ვის უნდა მისცენ მაგალითად ყოფილ რუსეთის ქვეშევრდომებმა, რომელნიც მოისურვებენ საქართველოს მოქალაქეობას? ამის შესახებ ჩვენ ვლაპარაკობთ: საუმჯობესოა განცხადების პირობების შესახებ დოკუმენტები წარედგინოს მომრიგებელ მოსამართლეს. მომრიგებელი მოსამართლე განიხილავს ფორმალურ მხრივ და თუ ის აკმაყოფილებს განსაზღვრულ პირობებს, — მისცემს მოწმობას, რომ ის არის საქართველოს მოქალაქე. აი ეს არის ყველა ის მუხლები, რომელიც შეეხება არა-ჩვეულებრივ, არა-ნორმალურ წესებს.

მაგრამ მეორეს მხრივ კანონ-პროექტი შეეხება საზოგადოდ იმას, თუ როგორ შეიძინება საქართველოს მოქალაქეობა და როგორ დაიკარგება ის. მოქალაქეობა შეიძინება დაბადებით. ჩვენ ვამბობთ: შობილი საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე მამისაგან, როგორც საქართველოში ისე საქართველოს გარეთ, არის საქართველოს მოქალაქე. ეს არის სისხლის ანუ შთამომავლობის პრინციპი. ჩვენი მოქალაქის შვილი, სადაც უნდა დაიბადოს, აგრეთვე ცოლი ან ქვრივი საქართველოს მოქალაქისა არის ჩვენი მოქალაქე. შემდეგ ქორწინების გარეშე დაბადებული საქართველოს მოქალაქისაგან არის საქართველოს მოქალაქედ და თუ არის საქართველოს მოქალაქე, მისი შვილი ქორწინებაში თუ ქორწინების გარეშე შობილი არის ჩვენი საქართველოს მოქალაქე. შემ-

დეგ ჩვენ შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ, რომ საქართველოს მოქალაქე ქალი გათხოვდა უცხოეთში, მაგრამ ქმარი გარდაიცვალა და ის დაბრუნდა ისევ სამშობლოში, მოინდომა დაბრუნებისას აღდგენა თავის პირვანდელი მოქალაქეობისა. მას უნდა მიეცეს უფლება მოქალაქეობისა. გარდა ამისა ჩვენ ვამბობთ: ჩვენი მოქალაქე უცხოეთში გათხოვილი ქალი მისი უწლოვანო შვილები, განქორწინების თუ დაქვრივების შემდეგ, ჩვენ მოქალაქეთ ჩაირიცხებიან თუ ისინი ერთი წლის განმავლობაში და სრულწლოვანების შემდეგ არ განაცხადებენ რომ ისინი შეინარჩუნებენ მამის ქვეშევრდომობას. აქ არის ტერიტორიალური პრინციპის შემოღება, მხოლოდ შეზღუდვით.

გარდა ამისა არის ეგრედ წოდებული ნატურალიზაცია უცხოეთის ქვეშევრდომისა, ანდა უქვეშევრდომისი. ისინი შეიძინენ, მოიპოვებენ მოქალაქეობას ნატურალიზაციის წესით. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს იმას, რომ მოქალაქე, უცხო ქვეშევრდომი, ანდა უქვეშევრდომი, თუ იმას ორი წლის განმავლობაში უცხოვრია ჩვენს ტერიტორიაზე განუწყვეტლივ, აღძრავს შუამდგომლობას, რომ მიიღოს ქვეშევრდომობა საქართველოში. ამ შუამდგომლობის შემდეგ გადის ორი წელიწადი და ამის შემდეგ მას მიენიჭება საქართველოს მოქალაქეობა, თუ იგი მავნე პირი არ არის სახელმწიფოსთვის, საზოგადოებისთვის. საერთოდ სამი წელიწადი გამოდის ნატურალიზაციისთვის.

ვინ ანიჭებს მას? სხვა და სხვა სახელმწიფოებში სხვა და სხვა აზრია, სხვა და სხვა წესია ამის შესახებ. ბევრგან პარლამენტი სწყვეტს ამ საკითხს ნატურალიზაციისას. ბევრგან აღმასრულებელი ძალა-უფლებით აღჭურვილი ორგანო, მთავრობა, ან პრეზიდენტი აღდგენს ამას. ჩვენ ვღებულობთ სხვა სისტემას. ჩვენი აზრით, აღდგ-



ლობრივ თვითმმართველობა ღებულ-
 ობს თხოვნებს მოქალაქის ნატურალი-
 ზაციის შესახებ. იგივე თვითმმართვე-
 ლობა, ადგილობრივი თვითმმართვე-
 ლობის საბჭო სწყვეტს საკითხს ნატუ-
 რალიზაციისას, უხცო მოქალაქის ჩვენ
 მოქალაქედ გადაქცევისას. გარდა ამი-
 სა ჩვენ ვიცით, რომ არის უცხო ქვე-
 შვევროდომი ქართველი, არა რუსეთის
 სახელმწიფოს ქვეშვევროდომი, მოქალა-
 ქე სხვა რომელიმე სახელმწიფოსი.
 ასეთებისთვის ჩვენ ერთგვარ გამონაკ-
 ლის ვაკეთებთ. როცა ასეთი ქართვე-
 ლი მოისურვებს საქართველოს ქვეშე-
 ვროდომობას, ჩვენ შეიძლება არ მივი-
 ლოთ, ნატურალიზაციის ყველა პირობა,
 ვადის აღუნიშვნელად შეგვიძლია მივი-
 ლოთ, თუ განაცხადებს, რომ მას სურს
 საქართველოს მოქალაქეობა. სპარსეთ-
 ში ან სხვა რომელიმე სახელმწიფოში
 არის ქართველი ქვეშვევროდომი ამ უც-
 ხო სახელმწიფოსი, მან გამოაცხადა
 — მინდა საქართველოს ქვეშვევრო-
 მობაო, ჩვენ ვაცხადებთ, რომ შეიძ-
 ლება ასეთი ქართველისთვის ვადა არ
 მივიღოთ მხედველობაში, ან შევამცი-
 როთ. ეს ერთი.

მეორე. შეგვიძლია განსაკუთრებუ-
 ლი პირობები მივიღოთ ისეთი პირე-
 ბისთვის, რომელთაც რაიმე ღვაწლი
 მიუძღვის სახელმწიფოს წინაშე. ასე-
 თი ღვაწლით მოსილი პირი, უცხოე-
 ლი, შეიძლება მივიღოთ აქ ვადის მო-
 უთხოვნელად ან მისი შემცირებით.

ამგვარია მოქალაქეობის მოპოვება.

რაც შეეხება მოქალაქეობის დაკარ-
 გვას, ეს უფრო მოკლედ არის აღნიშ-
 ნული. უპირველეს ყოვლისა ჰკარგავს
 ჩვენ საქართველოს მოქალაქეობას ის,
 ვინც ნატურალიზაციის წესით მოი-
 პოვებს მოქალაქეობას უცხო სახელ-
 მწიფოში. მაგალითად, თუ ჩვენმა მო-
 ქალაქემ მოიპოვა, ვთქვათ საფრანგე-
 თში, ან აზერბაიჯანში ან სომხეთში
 მოქალაქეობა, ის ამით ჰკარგავს ჩვენს
 მოქალაქეობას. არის მეორე წესი მო-

ქალაქეობის დაკარგვისა. ეს განსაკუთ-
 რად გათხოვება მოქალაქე ქალისა უცხოე-
 თში და უცხოელზე. იგი ჰკარგავს
 ჩვენ მოქალაქეობას. მაგრამ აქ ერთს
 კომპრომისს ვაკეთებთ, ვუშვებთ პა-
 ტარა გამონაკლისს იმის გამო, რომ
 ასეთს ქალს უფლება ეძლევა სურ-
 ვილი განაცხადოს საქართველოს მო-
 ქალაქედ დარჩენისა. აქ შეიძლება და-
 იბადოს კონფლიქტი იმ სახელმწი-
 ფოსთან, რომლის მოქალაქესაც მის-
 თხოვდა ჩვენი სახელმწიფოს მოქა-
 ლაქე ქალი, შეიძლება ეს სახელმწი-
 ფო სულ სხვა კანონმდებლობას ად-
 გია. შეიძლება მან სთქვას: რაკი იგი
 ჩვენი მოქალაქის ცოლია, მაშასადამე
 ჩვენ მოქალაქედ უნდა გახდესო. ას-
 ეთი კონფლიქტი შეიძლება მაგ-
 რამ ამის გასწორებას ჩვენ ვან-
 დობთ თვითონ ქალის ნებას. ეს ქა-
 ლმა უნდა გადასწყვიტოს. თუ შეიძ-
 ლება გათხოვდეს უცხოელზე და ამა-
 ვე დროს დარჩეს ჩვენ მოქალაქედ,
 ამის საწინააღმდეგო არაფერი გვექნე-
 ბა. თუ უცხო სახელმწიფოს კანონის
 ძალით ქალს შეუძლია იყოს უცხოელ
 მოქალაქის ცოლი და იმავე დროს იყ-
 ოს ჩვენი მოქალაქე თავისთავად ცხა-
 დია კონფლიქტი აღარ იქნება. გარდა
 ამისა ჰკარგავს მოქალაქეობას ის, ვინც
 უცხო სახელმწიფოს სამსახურში ჩაი-
 რიცხება მთავრობის დაუეთხზავად.
 ასეთი პირნი ჩვენ მოქალაქეებად ვერ
 იქნებიან. ამგვარად არის აღნიშნული
 მოქალაქეობის მოპოვების წესი ერთი
 მხრით და მეორე მხრით დაკარგვის
 წესი. ამ მოკლე შესავალის შემდეგ
 ნება მიბოძეთ წავიკითხო კანონი მო-
 ქალაქეობისა. როგორც გითხარით, აქ
 გადმოტანილია ყველა ის მუხლები,
 რომელიც აღნიშნული იყო პირველ კა-
 ნონში ეროვნულ საბჭოს მიერ მიღე-
 ბულში.

აქ კიდევ გამომჩნა ორი რამ. ერთი
 ის, რომ ორი მოქალაქეობა აკრძალუ-
 ლია ჩვენი კანონმდებლობით. ის მოქა-

ლაქე, რომელიც სხვა სახელმწიფოს მოქალაქე არის, ჩვენი ქვეშევრდომი, ვერ იქნება. ჩვენ ის გვაინტერესებს, რომ უცხო ქვეშევრდომი არ იყოს ჩვენი ქვეშევრდომი, ეს დაბადებს დიდ უხერხულობას, დიდ საშიშროებას, შეიძლება სახელმწიფოური საიდუმლოება წაიღოს აქედან, შეიძლება ჩვენი უფლებით ისარგებლოს და არავითარი მოვალეობა არ შეასრულოს, მეორეს მხრივ, როგორც წინედ მოგახსენეთ, პოლიტიკური უფლება აქვს მხოლოდ მოქალაქეს.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის კრების წევრს ივანე გობეჩიას.

ივანე გობეჩია. მოქალაქენო, დამფუძნებელ კრების წევრნო!

სოციალისტებს, რომლებიც შეადგენენ დამფუძნებელ კრების დიდ უმრავლესობას, არ უნდა სჭირდებოდეს თავის მტკრევა მოქალაქეობის საკითხის განხილვის დროს, მაგრამ სავალალოც ის არის, რომ ჩვენ ვერ შევთანხმდით თავიდან ამ საკითხის გადაწყვეტაში. მართალია, ისტორია ჩვენ მრავალ მაგალითებს გვაძლევს იმისას, თუ როგორ იქცეოდა ამა თუ იმ დროს მთავრობა სხვა და სხვა სახელმწიფოებში, რომელთა ფარგლებში რამოდენიმე ერი მოსახლეობდა: ასეთ შემთხვევაში მთავრობა ხან ერთს ეყრდნობოდა, ხან მეორეს, ერთი მეორეზე გადაკიდებდა და თვითონ კი ყოველთვის ბატონობდა, მაგრამ მე მგონი, რომ რევოლუციურ ცეცხლის ალში შობილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და მისი დამფუძნებელი კრება ვერ იხელმძღვანელებს და არც უნდა იხელმძღვანელოს ისტორიის ასეთი მაგალითებით. მე უნდა გავაცხადო თქვენს წინაშე, რომ ამ კანონპროექტს შედარებით იმ კანონთან, რომელიც ეროვნულ საბჭოს მიერ მიღებული იყო 1918 წლის 16 ივლისს, დიდი პროგრესი ემჩნევა, მაგრამ ეს

კანონ-პროექტი სავსებით ჩვენ მაინც ვერ გვაკმაყოფილებს.

ჩვენს ფრაქციას პირდაპირ მიუღებლათ მიაჩნია მთელი პირველი ნაწილი ამ კანონ-პროექტისა. ას წელზე მეტია, რაც საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, არ არსებობდა. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა საქართველოში, დასახლდნენ სხვა და სხვა ერის შვილები, ქართველი ერის დემოკრატია მუდამ ძმურათ ცხოვრობდა სხვა ერის დემოკრატისთან, რადგან მათ სადაო და გასაყოფი არაფერი ჰქონდათ. ამ მოვლენას წინათ თითქმის ყოველი სოციალისტური პარტია, რომელიც მოქმედებდა საქართველოში, ხაზგასმით აღნიშნავდა ხოლმე და საქვეყნოთ აცხადებდა, რომ ის ერთნაირად იცავს საქართველოში მობინადრე ყელა ერის მშრომელთა ინტერესებს. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ — კი ზოგიერთ სოციალისტურ პარტიებმა თავის ძველ სოციალისტურ ტრადიციებს უღალატეს და თავიანთი ინტერნაციონალური დროშა შესცვალეს ნაციონალისტური დროშით. რასაკვირველია, ამას თავის მიზეზები აქვს. მაგრამ ეხლა ამაზე არ ღირს ლაპარაკი. მე მინდა ავღნიშნო ის, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ჩვენმა სოციალდემოკრატიულ პარტიამ სავსებით შეითვისა ბუნება ნაციონალური პარტიების, რომელიც ქვეყნის და ხალხის ხსნას და შევლას ერთა სოლიდარობაში-კი არ ეძებენ, არამედ ისეთ პირობების შექმნაში, რომლებიც ერთა შორის უფლსა და მტრობას ნიადაგს უმზადებენ. ამ ჩემს აზრს სავსებით ადასტურებს პირველი ნაწილი მოქალაქეობის კანონპროექტისა, რომლითაც ერთგვარი პრივილეგია ენიჭება იმ ერს, რომელიც უმრავლესობას შეადგენს საქართველოს ტერიტორიაზე (გვაზავა: სად არის ეს პრივილეგია?)

(არსენიძე: ეს პრივილეგია კი არ არის, მოვალეობაა), მე არ მესმის, რომელი უფლებით შეგვიძლია ვისარგებლოთ და ვიხელმძღვანელოთ, როდესაც ჩვენ, რესპუბლიკის დაარსებისთანავე, ჩვენს ტერიტორიაზე მოსახლე ერებს ვცობთ სხვა და სხვა კატეგორიებათ და ერთს ერს სხვა ერებთან შედარებით ვანიჭებთ უპირატესობას? ჩვენი სახელმწიფოს დამოუკიდებლობა მხოლოდ შარშან გამოცხადდა, მოქალაქეები მას მხოლოდ ეხლა უჩნდება. ჩვენ ახლო წარსულში დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრებით არ გვიცხოვრია და ამიტომ არ შეგვიძლია გადაჭრით ვსთქვათ, რომ ესა თუ ის ერი, რომელიც სცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე, ნაკლები ნდობის ღირსია, რადგანაც ის არის დაინტერესებული საქართველოს რესპუბლიკის არსება-განმტკიცებაში. მე შემიძლია თამამად განვაცხადო, რომ არც ერთი ერის უმრავლესობას, ე. ი. არც ერთი ერის დემოკრატიას, რომელიც სცხოვრობს საქართველოში, არ ჩაუდენია არავითარი დანაშაული საქართველოს ნორჩ დემოკრატიულ რესპუბლიკის წინაშე და ამიტომ საქართველოში მოსახლე ყოველ ერის ინტერესები თანასწორათ უნდა იყოს დაცული მოქალაქეობის კანონში. შესაძლებელია ჩვენ დიდი პოლიტიკოსები ვიყვეთ და რალაც უძლიერესი სახელმწიფოს შექმნას ვლამობდეთ და ამიტომ გვსურს დავეყრდნოთ ჩვენი სახელმწიფოს შენების დროს მხოლოდ ერთ ერს. მე ვიტყვი, რომ ეს ყოველად შეუძლებელია; ისინი, ვინც ფიქრობს, რომ ჩვენში ერთ ერზე დაყრდნობით შეიძლება რესპუბლიკის არსებობის შენარჩუნება და განმტკიცება, ძლიერ სცდებიან. სწორედ ასეთი პირებია, რომ ძირს უთხრიან ჩვენს სახელმწიფოს და არა სასურველ მომავალს უმზადებენ მას.

1918 წლის 26 მაისამდე საქართვე-

ლოს რესპუბლიკა არ არსებობდა, საქართველოს ტერიტორიაზე-კი სცხოვრობდნენ ქართველები, სომხები, თათრები, ბერძენები და სხვები. ისინი თითქმის ყველა რუსეთის სახელმწიფოს ქვეშევრდომები იყვნენ და ხელი ხელ ჩაკიდებული ერთად, ძმურათ იბრძოდნენ რუსეთის თვითმპყრობელობის და დიდმპყრობელობის წინააღმდეგ. რა მოხდა 26 მაისს? ის, რომ განსაზღვრული ტერიტორია გამოცხადებულ იქნა დამოუკიდებელ სახელმწიფოთ — საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკათ. ეხლა მე თქვენ გეკითხებით, ვის აქვს უფლება თავის თავი ჩათვალოს ამ ახალი რესპუბლიკის მოქალაქედ? ყველა იმას, ვინც სცხოვრობდა საქართველოს ტერიტორიაზე განურჩევლად ეროვნებისა, სქესისა და სარწმუნოებისა. სხვანაირათ ვერ იმსჯელებს არამც თუ სოციალისტი, არამედ უბრალო დემოკრატიც (ხმაურობაა. თავმჯდომარე — ზარი). ჯერ მე კიდევ არ დამიკარგავს იმედი, რომ რუსეთის დიდმა რევოლუციამ საქართველოს თავისუფლებასთან ერთად მისცა რევოლუციონური დამფუძნებელი კრება. ამას მე ვამბობ იმიტომ, რომ აქ უმრავლესობა თავის თავს სოციალისტებათ სთვლის (ხმაურობა).

თავმჯდომარე: ზარი. უმორჩილესად გთხოვთ ადგილიდან ნუ ინიბებთ ლაპარაკს.

ივანე გობეჩია. როგორი რეპლიკებითაც არ უნდა გამიმასპინძლდეთ, მე მაინც ვაცხადებ, რომ კრების წევრთა უმრავლესობა თავის თავს სოციალისტებს უწოდებს და სანამ სოციალისტობაზე ხელი არ აუღიათ, მე უფლება მაქვს მათ მეტი მოვსთხოვო. მართალია, უმრავლესობის ფრაქციამ ბევრი ისეთი შეცდომა ჩაიღინა, რაც სოციალისტს, შეიძლება. არ ეპატიებოდეს, მაგრამ ჩვენ ამ შეცდომებს-კი არ ვაფარებთ ხელს, არამედ ამ ტრიბუნიდან ვაკრიტიკებთ. როდესაც გა-



მოცხადებულ იქნა საქართველოს დამოუკიდებლობა, მაშინ ჩვენ არ ვიცოდით, ვინ იყო გულწრფელი მომხრე საქართველოს დამოუკიდებლობისა, არ შეიძლება უსაბუთოდ ამა თუ იმ პირის, ამა თუ იმ ერის გულში ფათური. შესაძლებელია სხვა ტომის, სხვა ერის შვილი ათასჯერ უფრო მომხრე იყოს საქართველოს დამოუკიდებლობისა, ვიდრე ზოგიერთი შვილი თვით ქართველი ერისა. თქვენც არ უარყოფთ იმას, რომ ქართველ ერში მოიპოვება ბევრი ისეთი პირი, რომელიც სრულიად არ სცნობს საქართველოს დამოუკიდებლობას. ავიღოთ, მაგალითად, ქართველი ბოლშევიკები. ისინი არც წინეთ იყვნენ და არც ეხლა არიან საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრენი, მაგრამ ჩვენ მათთვის მოქალაქეობის უფლება არ აგვიყრია და შესაძლებელია, ზოგიერთი იმათთაგანი მონაწილეობასაც იღებდა დამფუძნებელ კრების არჩევნებში (ხმა: ციხეებში ისხდნენ.) დიახ, ციხეებშიც ისხდნენ, მაგრამ ყველას ციხეები ხომ ვერ ჩაიტევდა და ამიტომ მოქალაქეობის უფლებითაც შეეძლო ბევრს მათგანს ესარგებლა. მაშასადამე, როგორ უნდა გავიგოთ ჩვენ დედა-აზრი ამ მოქალაქეობის კანონ-პროექტისა? სიმძიმის ცენტრი აქ საქართველოს დამოუკიდებლობის მომხრეობაშია, თუ ქართველობაში? მე გადაჭრით ვაცხადებ, თუ ჩვენ ასეთნაირ კანონს გასავალი მივეციოთ საქართველოში, ცუდს სამსახურს გაუწევთ ჩვენს რესპუბლიკას (არსენიძე: პრივილეგია რომ ვერ ვნახე). მოთმინება იქონიეთ და მოგახსენებთ, ბ-ნო არსენიძე! თუ დიდი რევოლუციის შედეგია ჩვენი დამფუძნებელი კრების მოწვევა, თუ რევოლუციამ მისცა თავისუფლება და დამოუკიდებლობა საქართველოს, თუ რევოლუციაში ყველა ერის რევოლუციონური დემოკრატია იღებდა მონაწილეობას, მე მგონი, რევოლუციონ-

ნერები და სოციალისტები ამ დამფუძნებელ კრებაში მოქალაქეობის კანონის შემუშავების დროს არ უნდა ხელმძღვანელობდნენ იმათ, თუ რომელს ერს ეკუთვნის ის პირი, რომელიც სცნობს ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებში; და არ უნდა ანიჭებდნენ ამის მიხედვით მხოლოდ ერთს ერს სხვა და სხვა პრივილეგიებს (ხმა: სად არის ეს?). მოგახსენებთ. მოქალაქეობის კანონ-პროექტის პირველ მუხლში ნათქვამია, რომ „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეთა ჩათვლება ყოველი მკვიდრი, რომელიც მიწერილი იყო რესპუბლიკის ტერიტორიის რომელსამე ადმინისტრაციულ ერთეულზე 1914 წლის ივლისის 19-ამდე“. რატომ 1914 წლის ივლისის 19-მდე და არა 1918 წლის მაისის 26-ამდე? 1914 წლის 19 ივლისი — ეს რა დატაა, არ მესმის (არსენიძე: არ გესმით?). არა, მე კარგათ მესმის, რომ 1914 წლის 19 ივლისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა არ არსებობდა და ამ დატას არავითარი კავშირი არ აქვს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღესთან. მე თქვენ გეკითხებით, რატომ არ უნდა ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთ ის მკვიდრი, რომელიც მიწერილი იყო რესპუბლიკის რომელსამე ადმინისტრაციულ ერთეულზე 1915, 1916, 1917, 1918 წლების 19 ივლისამდე (ხმა: 1920 წელს). 1920 წელს სოცდემოკრატები, ალბათ, მიიღებენ ისეთ კანონს, რომლითაც მოქალაქეობის უფლებას წართმევენ იმათთაგან, ვინც იყო მიწერილი რომელსამე ადმინისტრაციულ ერთეულზე 1914 წლის 19 ივლისამდე (სიცილი. ზარი). 1914 წლის ივლისის 19-ის თარიღი სრულიად უსაფუძვლოდ არის ჩაჩხერილი პირველ მუხლში, თვით ეს მუხლი სრულიათ ზედმეტია, რადგანაც მოქალაქეობის მოპოებისათვის იმას-კი არ

უნდა ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა, იყო თუ არა ესა თუ ის პირი მიწერილი რომელსამე ადმინისტრაციულ ერთეულზე, არამედ იმას, სცხოვრობდა თუ არა ესა თუ ის პირი საქართველოში.

ამიტომ ჩვენი ფრაქცია მოითხოვს, რომ პირველი მუხლი სრულიად ამოღებულ იქნეს ამ კანონ-პროექტიდან.

კანონ-პროექტის პირველ ნაწილის მეორე, მესამე და მეოთხე მუხლებში აღნიშნული არიან მხოლოდ ყოფილი რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომები, რომლებთაც ენიჭებათ საქართველოს მოქალაქეობის უფლება, ჩემის აზრით ამის აღნიშვნა ზედმეტია, რადგანაც ჩვენ უნდა მივიანიჭოთ მოქალაქეობის უფლება ყველა პირთ — ყველა სახელმწიფოთა ქვეშევრდომებს, რომლებიც სცხოვრობენ საქართველოში, თუ ისინი უარს არ განაცხადებენ საქართველოს მოქალაქეობაზე. კანონ-პროექტის მეორე მუხლის თანახმად, საქართველოს მოქალაქეობა შეუძლია მოიპოვოს ყოფილ რუსეთის იმპერიის ყოველ ქვეშევრდომმა, თუ უკანასკნელი 1914 წლის ივლისის 19-მდე სამი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ სცხოვრობდა საქართველოს ტერიტორიაზე, ე. ი. თუ საქართველოს მოქალაქეობის მსურველი პირი არ არის ქართველი, არის, მაგალითად, ბერძენი, ან თათარი, და ის სცხოვრობდა რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1914 წლის ივლისის 19-ამდე ორი წელიწადი და თერთმეტი თვე, — ის ვერ ელირდება საქართველოს მოქალაქეობას, რადგანაც მას აკლია ერთი თვე. ვერავითარი მოსაზრებით ვერ გამართლებს დემოკრატი, თუ ის მიუდგომელად არ იმსჯელებს, ამ მუხლის მოთხოვნილებას. ნუ თუ ყოველი არა ქართველი, რომელიც 1914 წლის ივლისის 19-ამდე სამ წელიწადზე ნაკლები სცხოვრობდა საქართველოს ტერიტორიაზე, არ იქნება მომხრე ჩვენი რატომ გგონიათ თქვენ, რომ ყოველი

ქართველი, რომელიც 1914 წლის ივლისის 19-ამდე განუწყვეტლივ, თუ გინდ 20 წლის განმავლობაში სცხოვრობდა საქართველოში, უსათუოდ იქნება მომხრე საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის დამოუკიდებელ არსებობისა? რამდენიც უნდა ეცადოთ, ამ მუხლის მოთხოვნილების დასაბუთებას ვერ შესძლებთ, რადგანაც ის მეტად ხელოვნურია, არა მიზანშეწონილი და ანტიდემოკრატიული, ამიტომ ის ყოველად მიუღებელია ჩვენთვის.

კანონ-პროექტის მესამე მუხლში ორი მოთხოვნილებაა წამოყენებული იმ პირთათვის, ვინც საქართველოს მოქალაქეობას მოისურვებს 1) უნდა ჰქონდეს რაიმე უძრავი ქონება საქართველოს რესპუბლიკაში, ან თავის თავის საქირაო შრომით საზრდობდეს და 2) არა ნაკლებ სამი წლისა განუწყვეტლივ სცხოვრობდეს საქართველოს ტერიტორიაზე. ეს მუხლიც ჩვენთვის მიუღებელია, რადგანაც ჩვენ ქონებრივი ცენზის წინააღმდეგი ვართ და ყოველი სოციალისტი, რომელიც თავის მრწამსს არ უღალატებს, ამ შემთხვევაში მაინც ქონებრივი ცენზის დაწესების წინააღმდეგი იქნება ამა-სთანავე უნდა ითქვას ისიც, რომ საქართველოს ტერიტორიაზე სამი წლის ცხოვრების ხანგრძლივობის მოთხოვნაც უსამართლო იქნებოდა, რადგანაც ერთ წელიწადზე ნაკლებია, რაც თვით ჩვენი რესპუბლიკა არსებობს და თუ უსათუოდ საჭიროა მოქალაქეობის მოპოვებისათვის საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრების რაიმე ხანგრძლივობა, ეს უკანასკნელი უკიდურეს შემთხვევაში, არ უნდა აღემატებოდეს თვით ჩვენი რესპუბლიკის არსებობის დროს. მესამე მუხლი საქართველოს მოქალაქეთა გარეშე დასტოვებს აგრეთვე სრულიად უსამართლოდ ისეთ პირსაც, რომელიც სამი წელიწადიც რომ სცხოვრობდეს საქართველოში. მაინც ვერ ელირ-

სება საქართველოს მოქალაქეობას. ავი-
ლოთ მაგალითად მხატვარი, რომელიც
საქირაო შრომით არ ირჩენს თავს და
არც უძრავი ქონება აქვს, მაგრამ სამი
წელიწადი სცხოვრობს საქართველოში
და თავს ირჩენს თავის ნაწარმოების
გაყიდვისაგან შემოსული ფულებით.
შეუძლია თუ არა მას, მესამე მუხლის
მიხედვით, გახდეს საქართველოს მოქა-
ლაქედ? რასაკვირველია არ შეუძლია.

ესლა ჩვენ შევეჩებით კანონ-პროე-
ქტის იმ მუხლს, რომელშიაც წინდახე-
დულია ქართველებისათვის პრივილე-
გია. ეს არის მეხუთე მუხლი, რომლის
ძალით ყოფილი რუსეთის იმპერიის ყო-
ველი ქვეშევრდომი ქართველი ჩარიცხუ-
ლი იქნება საქართველოს მოქალაქეთ პი-
რველ, მეორე და მესამე მუხლებში
აღნიშნულ პირობათა გარეშე. მარ-
თალია, საქართველოში ქართველი
ერი მცხოვრებთა უდიდესს ნაწილს
შეადგენს, მაგრამ საქართველოს დე-
შოკრატული რესპუბლიკა თანასწო-
რად უნდა იცავდეს, როგორც უძრავ-
ლესობის ერის, აგრეთვე პატარა ერე-
ბის ინტერესებს, თუ კი ისინი მოი-
სურებენ საქართველოს რესპუბლი-
კის ფარგლებში ცხოვრებას. საქარ-
თველო უნდა გახდეს ნამდვილ დედათ
და არა დედინაცვლად მის ფარგლებ-
ში მოსახლე ყველა ერთა შვილებისა-
თვის, ეს მუხლი კი დიდ გაუგებრობას
გამოიწვევს, რადგანაც ის ქმნის აშკა-
რა პრივილეგიას ქართველთათვის (არ-
სენიძე: ეს მოვალეობაა!). არა ბატო-
ნებო, ეს მოვალეობა კი არ არის,
პრივილეგია არის, რადგანაც ბ-ნი არ-
სენიძე ძალით ვერც ერთს ქართველს
ვერ გახდის საქართველოს მოქალაქედ
(ხმა: რაშია პრივილეგია?). პრივილე-
გია იმაში მდგომარეობს, რომ მეხუ-
თე მუხლის ძალით, თუ რომელიმე
პირი არასოდეს არ ყოფილა მიწერი-
ლი საქართველოს ტერიტორიის რო-
მელსამე ადმინისტრაციულ ერთეულ-
ზე თუ მას არასოდეს არ უცხოვრია

საქართველოში და არც უძრავი ქონე-
ბა აქვს მას საქართველოში, ისტორი-
კულურად ჩაირიცხება საქართველოს მო-
ქალაქეთ მხოლოდ იმიტომ, რომ ის
ქართველია (კედი: წაართვეთ ქარ-
თველობა!). ასეთი უფლებით ამ კანონ-
ის ძალით ვერ ისარგებლებს უცხო
ერის შვილი, თუგინდ ის ესლა საქარ-
თველოში სცხოვრობდეს. და აი ამაში
მდგომარეობს, ჩვენის აზრით, ის პრი-
ვილეგია, რომელზედაც მე თქვენ
მოგახსენეთ. ისტორიამ იცის ისეთი
მაგალითიც, როცა სახელმწიფო უც-
ხოელებსაც ანიჭებდა მოქალაქეობას
(ხმა: ამერიკაში!). ამერიკაში კი არა,
საფრანგეთში. ის, ვინც იცნობს საფ-
რანგეთის რევოლუციის ისტორიას,
დაადასტურებს იმას, რომ რევოლიუ-
ციონურ საფრანგეთმა მოქალაქეობის
უფლება მიანიჭა უცხოელებს და უც-
ხოელები საფრანგეთის დამფუძნებელ
კრებაშიც კი გავიდნენ. ასეთ მაგა-
ლითს ადგილი ჰქონდა საფრანგეთის
რევოლიუციის დროს, როდესაც რე-
ვოლიუციონურ საფრანგეთის სახელ-
მწიფო საქე ხელთ ეპყრო ბურჟუაზი-
ას და ნუ თუ ჩვენი სოციალისტური
დამფუძნებელი კრება არ მიანიჭებს
მოქალაქეობის უფლებას ყოველ უც-
ხოელს, რომელიც სცხოვრობს საქარ-
თველოში, რომელსაც სწამს საქარ-
თველოს დამოუკიდებლობა და რომე-
ლსაც სურს საქართველოს მოქალა-
ქეობა? რუსეთის დიდმა რევოლუციამ
მოგვანიჭა ჩვენ თავისუფლება, მან
შვა საქართველოს დამოუკიდებლობაც
და ჩვენც ვალდებული ვართ ჩვენი
ნორჩი სახელმწიფოს აღშენების დროს
ვიხელმძღვანელოთ ძველი რევოლიუ-
ციის ისტორიით და მივიანიჭოთ ჩვენ-
ში მცხოვრებ ყველა უცხო ერთა შვი-
ლებს მოქალაქეობა.

ამ კანონპროექტის მეორე ნაწილ-
ში ჩვენს ფრაქციას მხოლოდ ორი
ცვლილების შეტანა ჰსურს, მაგრამ,
სანამ ამ ცვლილებებზე მოგახსენებ-



დეთ, ერთს რამეს აღვნიშნავ. აქ მომ-
ხსენებელმა ბ-ნ საყვარელიძემ სთქვა,
რომ წინეთ, როდესაც დამფუძნებელი
კრება იხილავდა მოქალაქეობის დამა-
ტებით კანონ-პროექტს, ესერების
ფრაქციის წარმომადგენელმა განაცხადა,
რომ ქალი არ არის ისეთი საგა-
ნი, რომელმაც, თუ უცხოელს მის-
თხოვდა, დაკარგოს თავის ძველი მო-
ქალაქეობა და მასზე დამოკიდებული
სხვა უფლებებიო. სოციალისტ-რევო-
ლუციონერები ეხლაც ამ აზრს იცავენ.
ქალი თუ მისთხოვდა უცხოელს,
თავის ადამიანობას არ კარგავს (ხმა:
ჩვენ ვიცით ეს). თქვენ, შესაძლებე-
ლია, ეს ეხლაც ცოტათ მაინც გაი-
გეთ, მაგრამ წინეთ, როდესაც ძველ
კანონ-პროექტს ვიხილავდით, ეს არ
გესმოდათ. თქვენის აზრით, ქართველი
ქალი, თუ მისთხოვდებოდა უცხოელს,
თითქმის უკანასკნელის მონა შეიქნე-
ბოდა და თავის საქართველოსადმი
დამოკიდებულებას რადიკალურად შე-
სცვლიდა. თქვენ ამ შემთხვევაში გა-
მოდდიოდით იმ შეხედულებიდან, რომ
კაცი ყოველთვის ახდენს ქალზე მეტ
გავლენას და ამიტომ, თუ საქართვე-
ლოს მოქალაქე ქალი უცხოელს მის-
თხოვდა, იგი ვერ დარჩება საქართვე-
ლოს ერთგულ მოქალაქედ. ადამიანის
უფლება მოითხოვს იმას, რომ ამ შე-
მთხვევაში თვით ქალს მიეცეს თვით-
გამორკვევის უფლება, და თუ თქვენ
ამას წინეთ არ შვრებოდით, ეს იმის
მომასწავებელია, რომ თქვენ არ გქონ-
დათ სწორი წარმოდგენა ქალზე. არც
ის არის მართალი, თითქოს ცოლი ყო-
ველთვის განიცდიდეს ქმრის მეტ გავ-
ლენას. პირიქით, ხშირად ქმარი გა-
ნიცდის ცოლის მეტ გავლენას და ის-
ეთ მდგომარეობაში იმყოფება, რო-
მელსაც რუსები უწოდებენ «подънаш-
макомъ»-ს.

ასეთ მოვლენის მიხედვით, რომ
ჩვენ კანონები ვსწეროთ, მაშინ ხომ
ვერც ერთი საქართველოს მოქალაქე

ვერ ითხოვს უცხოელ ქალს. მარტო
ლაქეობის კანონში ჩვენ არ უნდა შე-
ვიტანოთ ისეთი რამ, რაც ადამიანის —
ქალის თუ ვაჟის — პიროვნებას დაამ-
ციკრებს. ასეთი მუხლი იყო ძველ კა-
ნონ-პროექტში და ამიტომ ჩვენი ფრა-
ქცია იძულებული იყო დაეცვა ქალის
უფლებები. ამ კანონ-პროექტს კი ამ
მხრივ ერთგვარი პროგრესი დაეტყო,
რადგანაც, მეათე მუხლის ძალით, ქა-
ლი, თუ უცხო ქვეშევრდომს მისთხო-
ვდა, საქართველოს მოქალაქეობას
პარგავს მხოლოდ იმ შემთხვევაში,
თუ ის არ განაცხადებს სურვილს სა-
ქართველოს მოქალაქედ დარჩენისას.
ბ-ნ საყვარელიძეს არც ეხლა აქვს
სწორი წარმოდგენა ქალის უფლებებ-
ზე. რადგანაც მან მეათე მუხლის უკა-
ნასკნელი პარაგრაფი ისე დაასაბუთა,
თითქოს ჩვენს ქალებს რაღაც შეღა-
ვათს ვანიჭებთ, როდესაც ჩვენ, უც-
ხოელზე მითხოვების დროს, ქალის
თვითგამორკვევის უფლებას ვალიარ-
ებთ მოქალაქეობის საკითხში. ბ-ნ სა-
ყვარელიძემ განაცხადა, რომ ჩვენ ცო-
ტათი მაინც უნდა გავფართოვოთ ქა-
ლის უფლებებიო. მაშასადამე ბ-ნ სა-
ყვარელიძეს არ მიაჩნია სასურველად
და კანონიერად ქალ-ვაჟთა უფლებე-
ბის გათანასწორება.

მეშვიდე მუხლის პირველ შენიშ-
ვნაში სწერია: „ყოველი უცხო ქვე-
შევრდომი, რომელსაც რაიმე თვალსა-
ჩინო ღვაწლი მიუძღვის რესპუბლი-
კის წინაშე თავის მეცნიერული შრო-
მით, სამხედრო დახმარებით, საზოგა-
დოებრივ მოღვაწეობით თუ სხვა
მხრივ, შეიძლება ამ ვადის (სამი
წლის) მოუთხოვნელადაც იქნეს მიღე-
ბული საქართველოს მოქალაქედ“.
ჩვენის აზრით აქ ზედმეტია იმის ჩა-
მოთვლა, თუ რაში უნდა გამოიხატე-
ბოდეს უცხო მოქალაქის თვალსაჩინო
ღვაწლი. ამის გამორკვევა ჩვენ უნდა
მივანდოთ ადგილობრივ თვითმართვე-
ლობებს, რომლებსაც კანონით დაკი-

სრულყოფილი აქვთ უცხოელთათვის ნატურალიზაციის წესით მოქალაქეობის მიანიჭება.

ჩვენი ფრაქციის აზრით აგრეთვე სრულიად უნდა ამოღებულ იქნეს ამ კანონ-პროექტიდან მეშვიდე მუხლის მეორე შენიშვნა, სადაც ნათქვამია, რომ ვადის მოუთხოვნელად შეიღებება მიღებულ იქნეს საქართველოს მოქალაქედ ყოველი უცხო ქვეშევრდომი ქართველი. ეს შენიშვნაც აწესებს ერთგვარ პრივილეგიას ქართველებისათვის, რასაც არ მოითხოვს ჩვენი სახელმწიფოს ინტერესი და არც მისი ღირსება. თუ ჩვენ საერთოდ უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომებისაგან ნატურალიზაციით საქართველოს მოქალაქეობის მოპოებისთვის მოვითხოვთ, რომ ისინი სამი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ სცხოვრობდნენ რესპუბლიკის ტერიტორიაზე, რა მოსაზრებით უნდა გავანთავისუფლოთ ამ მოთხოვნისაგან უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომი ქართველი. აქ მხოლოდ ერთი მოსაზრების მოყვანა შეიძლება, რომ ქართველი ტომით, სისხლით, უფრო გულწრფელად მოისურვებს საქართველოს მოქალაქეობას, ვიდრე უცხო ქვეშევრდომი არა ქართველი. ეს, შესაძლებელია, ასეც მოხდეს მომავალში, მაგრამ უცხო ქვეყნის ქვეშევრდომი ქართველი, რომელსაც გულწრფელად სურს საქართველოს მოქალაქეობა და უყვარს საქართველო, ასეთ პრივილეგიას თქვენგან არ მოითხოვს, ის ამ შემთხვევაში საერთოდ წესს დაემორჩილება. ჩვენ კი, თუ მხოლოდ უცხო ქვეშევრდომ ქართველთათვის შემოვიღეთ ასეთი ადგილი წესი საქართველოს მოქალაქეობის მოპოებისა, ამით ჩვენ საქართველოს ბევრს ვერაფერს შევმატებთ, მაგრამ ჩვენი დამოუკიდებლობის მტრებს კი ვათქმევინებთ... (არსენიძე: ამის გეშინიან?) თქვენ რომ არაფრის გეშინიათ, მითხარით, რა გაგიკეთები-

ათ საქართველოს კეთილდღეობისათვის, ბ-ნო არსენიძე? (ხმაურობაა. ხარი). ასეთი მუხლის მიღებით ჩვენ ვათქმევინებთ საქართველოს დამოუკიდებელ არსებობის მტრებს, რომ ქართველებმა შექმნეს არა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, არამედ ქართველთათვის ნაციონალისტური რესპუბლიკა.

სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქცია ამ კანონ-პროექტის მთელი პირველი ნაწილის ნაცვლად ადგენს მხოლოდ ორ მარტივ მუხლს, რომელთა მიღება კრების მიერ დააკმაყოფილებს ყოველ სოციალისტს თუ კი უკანასკნელი მხოლოდ სიტყვით არ არის სოციალისტი; აგრეთვე ჩვენ მიერ კრებისათვის წარსადგენად განზრახულ მუხლებმა უნდა დააკმაყოფილოს ყოველი დემოკრატი, რომელიც გულწრფელი მომხრეა ჩვენი რესპუბლიკის დამოუკიდებლობისა და მისი გაჯანსაღება-გამაგრებისა.

ჩვენი აზრით მოქალაქეობის კანონის პირველი მუხლი უნდა იქნეს ასეთნაირი: „საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მოქალაქეთ ჩაითვლება ყოველი პირი, რომელიც სცხოვრობდა საქართველოს ტერიტორიაზე ამ კანონის გამოქვეყნებამდე, თუ ის სამი თვის განმავლობაში დღიდან ამ კანონის გამოქვეყნებისა არ განაცხადებს უარს საქართველოს მოქალაქეობაზე“. (არსენიძე: ინგლისის ჯარიც?).

არა, ბ-ნო არსენიძე, ინგლისის ჯარის კაცი ვერ გახდება საქართველოს მოქალაქეთ, რადგანაც ეს წინდახედულია კანონ-პროექტის მეორე ნაწილის მეათე მუხლში, რომლის ძალით საქართველოს მოქალაქეობას ჰკარგავს, ვინც უცხო სამსახურში ითვლება.

მეორე მუხლი უნდა იქნეს ასეთი: „პირველ მუხლში აღნიშნული განცხადება წარედგინება ადგილობრივ მომრიგებელ მოსამართლეს, რომელ-

იც საქართველოს მოქალაქეობაზე უარის მთქმელთ აღნიშნავს განსაკუთრებულ წიგნში.“

საკონსტიტუციო კომისიის კანონპროექტის მიხედვით მომრიგებელ მოსამართლესთან განცხადების შეტანა სავალდებულოა იმ პირთათვის, რომლებსაც მსურთ საქართველოს მოქალაქეობა. სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციის წინადადებით განცხადების შეტანა სავალდებულოა მხოლოდ იმისათვის, ვისაც არ სურს საქართველოს მოქალაქეობა. ჩვენ მიერ წამოყენებული წესი უფრო გაუადვილებს ხალხს მოქალაქეობის მოპოვებას, საკონსტიტუციო კომისიის მიერ მიღებული წესი-კი სრულიად უსაფუძლოთ შეაფიქროებს ამ შემთხვევაში ხალხს. სხვას, რომ თავი დავანებოთ, ქალაქი ეხლა რესპუბლიკაში ძლიერ ცოტაა და მასთან მეტად ძვირი და მისი ტყუილა-უბრალოთ გაფუჭებას არც სახელმწიფოს ინტერესი მოითხოვს.

დასასრულ უნდა გავაცხადოთ, რომ სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციას შეაქვს საკონსტიტუციო კომისიის კანონპროექტში ის ცვლილებები, რომლებზედაც მე თქვენ მოგახსენებთ, და დარწმუნებულია, რომ ის, ვინც ანგარიშს უწევს მშრომელთა ინტერესს, მხარს დაუჭერს და ხმას მისცემს იმ ორ მუხლს მოქალაქეობის კანონისას, რომელიც მე თქვენ წაგიკითხეთ და რომლებიც მიღებულ უნდა იქნეს ნაცვლად საკონსტიტუციო კომისიის კანონპროექტის პირველი ნაწილისა.

თავმჯდომარე. კრების წევრი არსენიძე.

რაუდენ არსენიძე. (ს.-დ.) მოქალაქენო, დამფუძნებელ კრების წევრნო! ჩვენი ფრაქცია მხარს უჭერს ამ კანონს და მხარს უჭერს სწორედ მის პირველ ნაწილს შემდეგ მოსაზრებით.

სახელმწიფოს არ შეუძლია დაყრდნობილი ისეთ ელემენტებზე, რომელიც არ არის გამორკვეული და ჩამოყალიბებული და რომელთა შესახებ სახელმწიფოს არ შეუძლიან სთქვას, თუ ვის ეკუთვნის ესა თუ ის მოქალაქე, მას თუ სხვა რომელიმე სახელმწიფოს. განსაკუთრებით არ შეუძლიან მის შემდეგ, რაც მას აქვს სჭული, სუვერენული კანონმდებლობითი დაწესებულება. გაურკვევლობა დასაშვებია კიდევ, როდესაც დროებითი მთავრობაა, ან დროებითი მდგომარეობა. მაგრამ, როდესაც უკვე დადგინებულია საკანონმდებლო დაწესებულება, განა შეგვიძლიან ჩვენ მივმართოთ ჩვენ ამომრჩეველებს და უთხრათ: ვინ იცის, ჩვენი მოქალაქე ხართ თუ არა? ეს ყოვლად წარმოუდგენელია. ასეთი სახელმწიფო შეარყევდა იმ საფუძველს, რომელზედაც სდგას. (გობეჩია: „ეს თქვენის აზრით“). რასაკვირველია, სოციალ-დემოკრატების აზრით, და არა ესერების აზრით, და განსაკუთრებით გობეჩიას აზრით.

რაზე უნდა აშენდეს სახელმწიფო? არსებობს ორი პრინციპი, — ტერიტორიალური და სისხლის, შთამომავლობის პრინციპი. ჩვენ კანონპროექტში მიღებული არის პირველი პრინციპი, როგორც მთავარი ღერძი: ვინც ამ ტერიტორიაზე ცხოვრობს, და მასთან დაკავშირებულია, — გავლით კი არა, არამედ მუდმივით, რომელიც თავის ინტერესებს უკავშირებს ამ სახელმწიფოს, ამ ტერიტორიის ინტერესებს, — ის, ცხადია, არის მოქალაქე იმ სახელმწიფოსი, იმ ორგანიზმისა, რომელიც ამ ტერიტორიაზე წარმოიშვა. ცხადია, სხვა გვარი წარმოდგენა სახელმწიფოსი, და სახელმწიფო ორგანიზმისა არ შეიძლება. ყველა სახელმწიფო ამ პრინციპით ამ წესით არის აშენებული, და ჩვენ არ შეგვიძლია რაიმე გამონაკლისი შევქმნათ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).



ბიბლიოგრაფია

შურნალ „საბჭოთა სამართალში“ 1989 წელს გამოქვეყნებული მასალების საძიებელი

მონივნავ სარედაქციო სტატიები და ოცივიალური მასალები

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები, № 1, გვ. 10.

მხოლოდ ციფრები, № 2, გვ. 64.

დანიშვნა, № 2, გვ. 66.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის დადგენილება, № 3, გვ. 11.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება, № 3, გვ. 18.

განცხადება თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შემსვლელთათვის, № 3, გვ. 76.

ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მომხდარ ამბებთან დაკავშირებული გარემოებების გამომძიებელი კომისია, № 4, გვ. 17.

დასკვნა 1989 წლის 9 აპრილს კომენდატის სათის შემოღების კანონიერების შესახებ, № 4, გვ. 19.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მომხდარი ამბების გარემოებათა გამომკვლევ კომისიის ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ქვეკომისიის მიერ გაწეულ სამუშაოთა დასკვნა, № 4, გვ. 24.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1989 წლის 9 აპრილს თბილისში მომხდარ გარემოებათა გამომკვლევ კომისიის სამედიცინო ქვეკომისიის დასკვნა, № 4, გვ. 26.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქ. თბილისის 1989 წლის 9 აპრილის ამბების გარემოებათა გამომკვლევ კომისიის საგამოძიებო ქვეკომისიის წინასწარი დასკვნა, № 4, გვ. 35.

ყრილობა და სამართლებრივი სახელმწიფო, № 5, გვ. 8.

რისხვის ზარები, № 5, გვ. 7.

დამნაშავეობასთან ბრძოლის მკვეთრი გაძლიერების შესახებ, № 6, გვ. 8.

სსრ კავშირის კანონის ძალაში შესვლის წესის შესახებ, № 6, გვ. 5.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილის ამბების გარემოებათა გამომკვლევ კომისიის საგამოძიებო ქვეკომისიის დასკვნა 1989 წლის 9 აპრილს ქ. თბილისში შიტინგის აღკვეთის გადაწყვეტი-

ლების მიღების კანონიერების შესახებ, № 6, გვ. 8.

მხოლოდ ციფრები, № 6, გვ. 62.

სამახსოვრო საჯარო მოძრაობის წესების დამრღვევთათვის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შესახებ, № 6, გვ. 73.

სსრ კავშირში მოსამართლეთა სტატუსის შესახებ, № 7, გვ. 12.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება, № 7, გვ. 21.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის დადგენილება, № 7, გვ. 22.

მოსამართლის (სახალხო მსაჯულის) ფიცი (პროექტი), № 7, გვ. 26.

ახალციხის რაიონის გამამზადიანებულ ქართველთა ქართული გვარები, № 7, გვ. 55.

ვინ — მართლად, ვინ — მრუდე სარკეში.. № 8, გვ. 11.

ერის სამსჯავროზე... № 8, გვ. 23.

კოლექტიური შრომითი დავის (კონფლიქტების) გადაჭრის წესის შესახებ, № 9, გვ. 8.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის სრულყოფისა და იურიდიული სამსახურის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ, № 9, გვ. 8.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს ხესია, № 10, გვ. 8.

საქართველოს სსრ კანონი საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატების შესახებ, № 10, გვ. 5. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება სასამართლო წყობილების შესახებ, № 10, გვ. 22.

სასამართლო წყობილების შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლები, № 10, გვ. 28.

საქართველოს იურისტთა კავშირის დამფუძნებელ ყრილობაზე, № 10, გვ. 20.

სამოქალაქო სამართალი, შრომის სამართალი, სამეურნეო სამართალი, ეკოლოგია

ლ. ჭანტურია — საბითუმო ვაჭრობა და სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამართლებრივი რეგულირება, № 1, გვ. 54.

მ. მოსესოვი — ვაჭრობის წესების დარღვე-

ვათა ობიექტური მხარე, № 3, გვ. 60.

გ. შაინიძე — ეკონომიკის მართვის გარდაქმნის საკანონმდებლო უზრუნველყოფა, № 5, გვ. 11.

ბ. პეტროსიანი — იურიდიული სამსახურის ძნელებლობანი, № 5, გვ. 15.

ვ. ბიჭაშვილი — საპასპორტო რევიმი და დანაშაუვების პროფილაქტიკა, № 5, გვ. 23.

რ. შენგელია — სახელმწიფოსა და მისი ორგანოების, როგორც სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტების, თანაფარდობის საკითხისათვის, № 5, გვ. 50.

ბ. შონია — მებღეობის ამხანაგობის წევრთა უფლება-მოვალეობანი, № 6, გვ. 63.

მწვანე გზა კოოპერაციას, № 7, გვ. 27.

სოციალური უზრუნველყოფა — ყურადღების ცენტრში, № 8, გვ. 70.

ლ. ჭანტურია — საქალაქო აგლომერაციების სამართლებრივი რეგულირება, № 9, გვ. 27. იურიდიული კადრების მომზადება სახალხო მეურნეობისათვის № 9, გვ. 35.

იურიდიული სამსახურის სადღეისო ამოცანები, № 10, გვ. 66.

გ. მავარელიძე — ნამიბიის პრობლემა და საერთაშორისო სასამართლო, № 8, გვ. 64.

სისხლის საზარტალი, პროცესი, თეორია, აგონისტარი, მესპარტიზა, ბროლა ლოთოგასთან, პროსტიტუციათან და ნაკომანანასთან, სისხლის საზარტლის კანონის პროექტის განხილვა

თ. ჭუსოვეცი — ახალშობილის მკვლელობის საკითხისათვის, № 1, გვ. 59.

გ. ლალიაშვილი — სოციალისტური საკუთრების დატაცების საქმეთა საბუღალტრო ექსპერტიზა, № 7, გვ. 64.

დ. სულაქველიძე — მეცნიერული აზრის სამსჯავროზე, № 2, გვ. 3.

ა. კვიციანი, ი. კრასიკოვი — საჭიროა საფუძვლები კიდევ უფრო დაიხვეწოს, № 2, გვ. 11.

შენიშვნები და წინადადებები სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტზე, № 2, გვ. 15.

ო. გამყრელიძე — დანაშაულის ჩადენის ადგილის ცნებისათვის, № 2, გვ. 40.

ა. გაბაიანი — ქალთა შორის ვენერიულ სნეულებათა გავრცელების კონკრეტულ-სოციალოგიური გამოკვლევის ზოგიერთი შედეგი, № 2, გვ. 46.

ქ. ლუაშვილი — წვრილმანი ხულიგნობის გამიჯვნა დანაშაულებრივი ხულიგნობისაგან, № 2, გვ. 49.

ო. გამყრელიძე — დანაშაული ადამიანთა წინააღმდეგ, № 3, გვ. 3.

ა. ფალიაშვილი — სისხლის სამართლის საქმის განახლება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, № 3, გვ. 19.

კ. ქაშაძე — შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებათა რეგლამენტაცია და გამოყენება, № 3, გვ. 25.

ვ. ხონიდი — ყველა რეალურად შესაძლო ვერსიის შემოწმების ორგანიზაცია, № 3, გვ. 42.

გ. გეგუქკორი — დაციკვთ კანონის მოთხოვნები შრომა-გასწორების დაწესებულებებში, № 3, გვ. 45.

ბ. ბიჭაძე — საზოგადოებრიობის მონაწილეობა წინასწარ გამოძიებაში, № 3, გვ. 54.

გ. ნაჭყებია — დანაშაულის კვალიფიკაციის ორმაგი ბუნების შესახებ, № 4, გვ. 59.

ო. ალავეცი, ა. ანჯაფარიძე — სიხლე, რომელიც მხარდაჭერის ღირსია, № 5, გვ. 56.

გ. ქეიკავა — სარკინიგზო საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზა, № 6, გვ. 39.

გ. კოშმანაშვილი — ავტოტექნიკური ექსპერტიზის კომპეტენციის საკითხისათვის, № 6, გვ. 43.

გ. ბახტაძე, ი. გალცივი, ვ. სიმონიშვილი — კვლის ასაღები ახალი საშუალება, № 6, გვ. 47.

კ. კობახიძე — სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა გამოძიებისათვის, № 6, გვ. 50.

მ. ქურდაძე — ქეშმარიტების პრობლემა წინასწარი გამოძიების თეორიასა და პრაქტიკაში, № 7, გვ. 38.

ა. ფალიაშვილი — სისხლის სამართლის საქმეთა წარმოება ზედამხედველობის წესით, № 9, გვ. 42.

ქ. მჭედლიშვილი — დედის მიერ ახალშობილის მკვლელობის საკანონმდებლო რეგულირების საკითხისათვის, № 9, გვ. 50.

ა. კვაშილავა — რეკომენდაციები ზოგიერთი სისხლისსამართლებრივი ნორმის ჩამოყალიბების შესახებ, № 9, გვ. 58.

ო. გამყრელიძე — სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებანი, №9, გვ. 64.

გ. ნაჭყებია — გაგების მეთოდის ზოგიერთი ასპექტი სისხლის სამართლის მეცნიერებაში, № 10, გვ. 70.

სახელმწიფო საზარტალი, ბარდაქანა, საბადრო პოლიტიკა, საზარტლმხარნივი სახელმწიფოს შუამხანა

გ. ინწირველი — პოლიტიკური რეფორმა და საბჭოთა კონსტიტუციური კანონმდებლობის განვითარება, № 1, გვ. 4.



- ვ. შარაშენიძე — სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირების ახალი ეტაპი, № 1, გვ. 31.
- კ. ნარშაია — სოციალური შემეცნების მძლავრი იარაღი, № 1, გვ. 42.
- გ. ერემოვი — საბჭოთა კავშირის ახალი დემოკრატიული ორგანოები, № 4, გვ. 3.
- მ. კეკელია — ორი კვირა ტელეეკრანთან, № 4, გვ. 12.
- ი. ფუტყარაძე — საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის სამართლებრივი ასპექტები, № 4, გვ. 46.
- ვ. სიმონიშვილი — საჭიროა თუ არა პროფესიული დახასიათება? № 4, გვ. 65.
- სავანგებო მდგომარეობა, № 5, გვ. 27.
- გ. ხუბუა — კანონი სოციალისტურ სამართლებრივ სახელმწიფოში, № 5, გვ. 58.
- ვ. ფარქოსაძე — რესპუბლიკათა შორის ეროვნულ-ტერიტორიული ურთიერთობის საკითხისათვის, № 6, გვ. 18.
- ო. გამყრელიძე — სეპარატისტული მოძრაობა აფხაზეთში, № 6, გვ. 25.
- ი. ფუტყარაძე — საქართველო რადიკალურად გარდაქმნილ საბჭოთა ფედერაციაში, № 7, გვ. 3.
- ხელისუფლების დასაყრდენი, № 7, გვ. 66.
- ი. ფუტყარაძე — პოლიტიკური სისტემას გარდაქმნის მნიშვნელოვანი ეტაპი, № 8, გვ. 3.
- გ. ერემოვი — სოციალისტური სამართლებრივი სახელმწიფო, № 9, გვ. 18.
- ა. აბესაძე — სახელმწიფო მმართველობის აპარატი და გარდაქმნა, № 10, გვ. 50.
- ა. არსენაშვილი — ეროვნებათაშორის ურთიერთობათა სამართლებრივი პრობლემები, № 10, გვ. 56.

**სამართალდაცვითი ორგანოების
სამშინაოების კვატრის, დანაშაულის
პროფილაქტიკა, ისტორია**

- ერთიანი საქართველოს სიმბოლო, № 1, გვ. 3.
- მკითხველი და „ქმნა მართლისა სამართლისა...“, № 1, გვ. 49.
- დ. ავრამოვი — ჟურნალისტური კოდექსები, № 1, გვ. 67.
- ინფორმაცია № 1, გვ. 70; № 2, გვ. 72; № 3, გვ. 67; № 4, გვ. 69; № 6, გვ. 72; № 7, გვ. 71; № 8, გვ. 75.
- ცნობილი სიხლის სამართლის საქმეები — № 1, გვ. 72; № 2, გვ. 75; № 3, გვ. 69; № 4, გვ. 75; № 5, გვ. 75; № 7, გვ. 74.
- ნეკროლოგი — № 1, გვ. 77; № 2, გვ. 71; № 8, გვ. 77.

- ბიბლიოგრაფია — № 1, გვ. 78.
- ი. იაკოვლევი, ა. ნიკიტინი — რატომ ვერ „შეეწო“ სკოლას სამართლებრივი კურსი, № 2, გვ. 29.
- ა. არსენაშვილი — სიყვარულით არჩეული გზა, № 2, გვ. 35.
- ზ. მარტიაშვილი — სახელმწიფო ნოტარიუსი; მილიციის მაიორი, № 2, გვ. 37-38.
- გ. ნადარეიშვილი — სახელმწიფო და სამართალი, სოციალური წყობილება და კულტურა დავით აღმაშენებლის საქართველოში, № 2, გვ. 57; № 3, გვ. 37; № 4, გვ. 55.
- ლ. ჭანტურია — ერთი ტერმინის მოკლე განმარტება, № 2, გვ. 67.
- რ. შამალაძე — პატივი ვცეთ ტრადიციებს, № 2, გვ. 69.
- ა. არსენაშვილი — დავიცივთ მიწათსარგებლობის კანონმდებლობა, № 3, გვ. 8.
- ვ. კერესელიძის დაცვითი სიტყვა, № 3, გვ. 32.
- ჩვენ, ისინი და „არაფორმალური შუამავლები“, № 3, გვ. 49.
- ჩვენი კრიტიკული გამოსვლის შემდეგ, № 3, გვ. 68.
- იგავი, № 4, გვ. 80.
- ვ. აბაშაძე — ი. ჭავჭავაძის ერთი იურიდიული გამოკვლევის გამო, № 5, გვ. 30.
- ბ. სავანელი — დისკუსია თუ ავანტიურა, № 5, გვ. 43; № 6, გვ. 32.
- თ. ნინიძე — რენე დავიდის „თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემის“ მეორე რუსული გამოცემის გამო, № 5, გვ. 65.
- კ. ხეცურიანი — საბინაო კანონმდებლობის სოციალური მნიშვნელობა № 5, გვ. 73.
- სასამართლო და იუსტიცია — № 6, გვ. 29.
- ნ. მეტრეველი — „დღი სჯულისკანონის“ იურიდიული ტერმინოლოგიის ზოგადი მიმოხილვა, № 6, გვ. 56.
- გ. შეთეკური — „სამართლეს მიყვეთ, ძმობილნო“, № 6, გვ. 67.
- ვ. აბაშაძე — იროდიონ სურგულაძე და მისი ნაშრომი „ხელისუფლება და სამართალი“, № 7, გვ. 43; № 8, გვ. 55.
- ბ. ზოიძე — ანდერძი გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში, № 7, გვ. 51.
- გ. ერემოვი — ნაშრომი ადმინისტრაციული სამართლის საკითხებზე, № 7, გვ. 69.
- გ. მეფისაშვილი — ცოხვრების დიდ გზაზე, № 8, გვ. 73.
- სხვადასხვა — № 8, გვ. 80; № 10, გვ. 79.
- ვ. შადური — ხალხის ინტერესების სადარაჯოზე, № 9, გვ. 13.
- ვ. თორღია — ახალი დამხმარე სახელმძღვანელო საბჭოთა აღმაშენებლობაში, № 9, გვ. 72.
- ბ. დავითაია — მკვლელობა ფარდის მიღმა, № 9, გვ. 73.

«სახელმციპო და სამართალი» («Государство и право») (на грузинском языке). Ежемесячный научно-практический журнал Союза юристов ГССР.

Адрес редакции: Тбилиси, пр. Давида Агмашенебели, 103, тел.: 95-88-49; 95-58-87.
ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ.

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии,
Тбилиси, ул. Ленина, 14.

6136/9
26

100-8

ფანი 60 კვ.

ინდექსი 76185



555